ᲞᲔᲢᲠᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ 2013 №013 (13 929) ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲪ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲚᲐᲕᲣᲠᲘᲪ

4

გუშინ ჰამბურგთან საკონტროლო მატჩში ლევან კობიაშვილი „ჰერტას“ კაპიტანი იყო

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲒᲘ, ᲓᲐᲤᲐᲡᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲘ:

ᲖᲐᲖᲐᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲑᲠᲣᲙᲚᲘᲜᲗᲐᲜ

ᲥᲣᲚᲐ 13
ᲛᲝᲮᲡᲜᲐ 11
ᲞᲐᲡᲘ 8

12

ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲝᲚᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ!

ᲞᲔᲞᲡ ᲒᲐᲘᲔᲠᲜᲨᲘ ᲒᲐᲭᲠᲝᲪ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲡ?

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲮᲝᲡᲔᲕ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

8-9

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲡ ᲤᲝᲢᲝ ᲒᲙᲐᲠᲜᲐᲮᲝᲑᲡ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲐᲜᲔᲕᲘᲜᲐ

11

ᲙᲝᲢᲔ ᲢᲣᲚᲣᲨᲘ — ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲧᲣᲚᲣᲛᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

ᲙᲐᲙᲐ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ...

7

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ ᲠᲝᲑᲘᲜᲘᲝᲡᲗᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ტორპედო

ონიანი ინტერესს ადასტურებს

დილაში გაურკვევლობა დინამოს წისქვილზე ასხამს წყალს

საქართველოს 3-გზის ჩემპიონი ქუთაისის "ტორპედო" დღეს იკრიბება და ეროვნული თასისა და ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას შეუდგება. კლუბში მიმდინარე ამბებზე ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ.

ქუთაისელები მარბელაში

მოსამზადებელი ეტაპის გეგმებზე კლუბის პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძე** გველაპარაკა: *"გუნდი ქუთაისში შეიკრიბება და თავიდან "ტორპედოს" ბაზაზე ივარჯიშებს. 1-ელ თებერვალს კი შეკრების მეორე ნაწილის გასავლელად გუნდი ესპანეთში გაემგზავრება და „მარბელას თასზე" ითამაშებს. როგორც ვიცით, ტურნირზე ტრადიციულად ძლიერი გუნდები მონაწილეობენ – მოსკოვის "სპარტაკი", კიევის "დინამო"... სულ რვა გუნდი, ჯგუფში 4-4 მოხვდება და ყველა ადგილის გამოსავლენად თამაშებია დაგეგმილი. ანუ შეხვედრები, მინიმუმ, 4 ძლიერ მეტოქესთან გვექნება".*

გიორგი ონიანი

გუნდში მიმდინარე საკადრო ცვლილებებზე კი ჩხიკვაძემ ზოგადად ილაპარაკა: *"ჯერ დაზუსტებით მხოლოდ იმას გეტყვით, რომ გუნდი დატოვა ლექსო კვახაძემ, კლუბთან კონტრაქტი კი 23 წლის ცენტრალურმა მცველმა ბიძინა (ბუკა) ცინცაძემ გააფორმა. ცინცაძე ბოლო 2 წელი ლატვიის უმაღლეს ლიგაში „დაუგავაში" თამაშობდა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახლდათ და გასულ წელს ამ ბალტიისპირული ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ცინცაძემ "ტორპედოსთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ესპანურ შეკრებაზე გამოგვყვება. რა თქმა უნდა, სხვა ცვლილებებიც იქნება, შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატოთ, მაგრამ ეს საკითხები უახლოეს დღეებში გადაწყდება და ჯერ ვერაფერს გეტყვით".*

გიორგი ონიანი: მოლაპარაკება მართლაც დავიწყეთ

ერთ-ერთი მოთამაშე, რომელიც, ალბათ, ქუთაისის"ტორპედოში" ჩაირიცხება, გიორგი ონიანია. 29 წლის მცველმა მიმდინარე სეზონი გორის „დილაში" ლამის შეუცვლელად ჩაატარა, პირველ ეტაპზე გამართული 22 შეხვედრიდან გორელთა ფორმა 20-ში მოირგო, საიდანაც 18 ძირითადში დაიწყო და 3 გოლი გაიტანა.

ონიანმა "დილასთან" კონტრაქტი 2011-2012 წლების სეზონის დასრულებისთანავე გააფორმა, რადგან "ზესტაფონთან" ხელშეკრულების ვადა დაუსრულდა და კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

გიორგიმ ქუთაისური კლუბის ინტერესი დაგვიდასტურა:

- ჯერ "ტორპედოში" არ გადავსულვარ. საკითხი ახლა წყდება და უახლოეს დღეებში მეცოდინება, "ტორპედოში" ვითამაშებ თუ არა. მაგრამ დასამალი არ არის, რომ ქუთაისში მართლაც მინვევენ და უკვე მოლაპარაკება გვქონდა.

- გორის "დილასთან" ხომ კონტრაქტი გაკავშირებს?

- "დილა" უკვე დავტოვე, კონტრაქტი დამიმთავრდა და ეს ხელს მიწყობს. თავისუფალი აგენტი გავხდი და არჩევანს თავისუფლად გავაკეთებ. მიუხედავად იმისა, რომ გორში დიდი ხანი არ მითამაშია, ამ კლუბის მადლიერი ვარ, ძლიერი შემადგენლობა გვყავდა და ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით, მაგრამ ახლა წამოსვლა მერჩივნა. გია გეგუჩაძეს ველაპარაკე და მას ჩემი დატოვება სურს. "ტორპედოში" თამაში ჩემთვის უფრო მისაღებია.

- რატომ? გულახდილად თქვი, "დილა" მართლაც იშლება?

- ასეც ვერ ვიტყვი. მაგრამ ლიდერები, სალუქვაძე, შაშიაშვილი და ახალკაცი წავიდნენ. ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" ითამაშებს ხოჯავა, რომელიც ბოლოს ფორმაში შედიოდა და ჩვენთვის დიდი ძალა იქნებოდა. სავარაუდოდ, „დილას" მეკარე მარინ სკენდერიც დატოვებს.

- ეს იმას ნიშნავს, რომ "დილა" ჩემპიონობისთვის ვეღარ იბრძოლებს.

- მიჭირს ლაპარაკი, ძალიან არ მინდა, რომ ასე მოხდეს. ალბათ, კლუბს ძველებურად დიდი ბიუჯეტი აღარ ექნება. ფაქტია, რომ ლიდერების წასვლა გუნდს არ წაადგება და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუჭირდება.

გუნდში კიდევ ბევრი კარგი მოთამაშეა და იმედია, ისინი პოზიციების შენარჩუნებას მოახერხებენ. მაგრამ ჯერ არ ვიცი, გუნდში ისინი დარჩებიან თუ არა. გააჩნია იმასაც, მწვრთნელად ვის დანიშნავენ, მაგრამ სანამ ახალი მწვრთნელი გუნდს შეკრავს და შეათამაშებს, დრო გავა – ეს არის პრობლემა. "დინამო" კი აწყობილი გუნდია და ეს ვითარება წყალს მის წისქვლის ასხამს.

იმოქმედებს თუ არა ეს ყველაფერი "დილას" შედეგებზე, მეორე წრეში გამოჩნდება. ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი ძალიან გულდასაწყვეტია. "დილა" ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ტურნირს ინტერესი შემატა, ევროპის ლიგის პლეი ოფში გავიდა და ახლა მისი დასუსტება ყველას გულს დასწყვეტს. ნებისმიერ შემთხვევაში "დილას" წარმატებას ვუსურვებ.

- მართალია, რომ ყველას ექვსთვიანი კონტრაქტები გქონდათ?

- პირადად მე ექვსთვიანი მქონდა, ქუთაისის "ტორპედო" კი გაცილებით ხანგრძლივ და სტაბილურ კონტრაქტზე დამელაპარაკა, რაც ჩემთვის და ნებისმიერი სხვა მოთამაშისთვის ბევრს ნიშნავს.

- ქუთაისის "ტორპედოსთან" პირობები შესათანხმებელი გაქვს?

- ამაზე უნდა დავილაპარაკოთ და იმედია, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება.

მერაბ მამულაშვილი

● დილა

ახალი ხალხი და იმედის ნაპერწკალი

ბექა გოცირიძე მოედანს დაუბრუნდა

ბექა გოცირიძე (მარცხნივ) ერთ დროს ნაკრების ფეხბურთელი იყო

გორის „დილა" დედაქალაქში ჩამოვიდა და გუშინ „ბენდელას" სტადიონზე ვუყურე ამ გუნდის ვარჯიშს.

„დილას" ამბავი მოგეხსენებათ: წინა სეზონში გუნდს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასპონსორებდა, ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ კი „დილას" დაფინანსების ეს წყარო შეუწყდა. იურიდიულად „დილა" ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კლუბია, მაგრამ დამატებითი სახსრების გარეშე გუნდს ძალიან გაუჭირდება მოწინავეთა შორის ყოფნა, არადა, შარშან „დილამ" დავით ყიფიანის სახელობის თასი მოიგო და ცოტა დააკლდა ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად.

შარშანდელი „დილას" შემოქმედი **მამუკა ჯუღელი** გახლდათ, ვისი მენეჯერული მარიფათის წყალობით არაერთი ქართველი ფეხბურთელი მოხვდა რუსეთში და სხვა ქვეყნებშიც კი და ყველა მოთამაშე ჯუღელის მადლიერი დარჩენილა. ჯუღელმაც მეტწილად სწორედ ამ ფეხბურთელებს მოუყარა თავი „დილაში", მაგრამ ზემოთ ხსენებული ვითარების გამო „დილაში" ამ დროისთვის ზუსტად არ იციან, რა როგორ იქნება.

გუშინდელ ვარჯიშზე „დილას" შემადგენლობაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა - მცველი **ალექსანდრე კვახაძე,** ვინც მანამდე ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდა. კვახაძე საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია და უდავოდ გააძლიერებს გუნდს. კვახაძე „ვიტ ჯორჯიას" აღზრდილია, ამ გუნდიდან მოხვდა ეროვნულ ნაკრებში, სადაც 12 კეპი მოიხვეჭა. 28 წლის კვახაძე ცენტრალური მცველი გახლავთ, შეტევაში ჩართვაც შეუძლია.

„დილას" გუშინდელ ვარჯიშზე შევნიშნეთ **ირაკლი მაისურაძეც**. ეს 24 წლის შუახაზელი ბელარუსული „ვიტებსკიდან" მივიდა რუსთავის „მეტალურგში", თავი მოანონა **თემურ ქეცბაიას** და ეროვნული ნაკრების თავკაცმა რამდენჯერმე გამოიძახა, ერთხელ ათამაშა კიდეც ნაკრებში. მაისურაძე ბურთს კარგად ფლობს და ცხადია, ასეთი მოთამაშე განსაკუთრებულად ფასეულია.

„დილაში" ვარჯიშობს 24 **წლის ბექა გოცირიძეც**. ის საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, **გაიოზ დარსაძის** ჯილა გახლდათ და ამ მწვრთნელის დროს მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა, 12 კეპი და ორი გოლი - ასეთია მისი ნაკრებული მონაგარი.

ბექა თბილისის „ამერიდან" გაიცნო საფეხბურთო მილეთმა. შემდეგ „ზესტაფონში" გადავიდა, გოცირიძეს ყველაფერი კარგად წაუვიდა, სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი გახდა და უკრაინულ „დნიპროში" გადავიდა, მერე იქიდან „კრივბასში" გაანათხოვრეს. გოცირიძემ „ზესტაფონში" ბევრი კარგი მატჩი ჩაატარა, მოედანზე ცეცხლს ანთებდა, გულშემატკივარსაც განსაკუთრებულად უყვარდა.

უკრაინიდან საქართველოში რომ ჩამოვიდა, ავტოავარიაში მოყვა თბილისის შემოგარენში, ბექას ოპერაცია დასჭირდა - ელენთა ამოაჭრეს.

ელენთა სისხლმბადი ორგანოა და ექიმებს სხვადასხვა აზრი გაუჩნდათ - ზოგი ამბობს, რომ ასეთი ოპერაციის შემდეგ სპორტსმენის კარიერის გაგრძელება გამორიცხულია, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ელენთის გარეშეც შესაძლებელია პროფესიული სპორტი.

დაახლოებით ორწელიწად-ნახევარი გოცირიძეს პროფესიულ დონეზე ფეხბურთი არ უთამაშია, თითქოს სევდიანად დასრულდა მისი საფეხბურთო კარიერა, მაგრამ ბექა ხელახალ აპირებს ფეხბურთელობას - წონამომატებული მოედანზეა და ვარჯიშობს.

ამასობაში „დილა" ახალ სპონსორს და ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებს, მანამდე კი გუნდს **ვანო ხორგუაშვილი** და **გიორგი ტუღუში** ავარჯიშებენ.

„დილა" კარგი სიახლეების მოლოდინშია, გუნდში ცნობილი სახეების გამოჩენამ თითქოს იმედის ნაპერწკალი აანთო.

დავით თავართქილაძე

● ლეგიონერი

ლადო დვალიშვილი: ახალ კლუბში ერთ კვირაში გადავალ

ლადო დვალიშვილი

ლადო დვალიშვილმა სეზონის პირველი ნახევარი ვარშავის "პოლონიაში" გაატარა და შედეგიანობითაც გამოირჩა. საქართველოს ნაკრების 26 წლის თავდამსხმელმა პოლონურ ექსტრაკლასაში 15 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა, რითაც "პოლონიას" საუკეთესო მეგოლეა და მისი გვარი პოლონეთის ჩემპიონატის ბომბარდირებშიც ფიგურირებს. "პოლონია" კი დღეისთვის 28 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ "ლეგიას" ხუთი ქულით ჩამორჩება.

მოკლედ, სპორტული თვალსაზრისით დვალიშვილს "პოლონიაში" ყველაფერი რიგზე ჰქონდა, თუმცა ამავეს ვერ ვიტყვით მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტზე – უკვე საკმაო ხანია, "პოლონიაში" არასტაბილური ვითარებაა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამის გამო "პოლონია" არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და დვალიშვილსაც ეს აქვს გადაწყვეტილი. ჯერ კიდევ ზაფხულში საუბრობდნენ მის სავარაუდო ტრანსფერზე, მაგრამ მაშინ ლადომ ზამთრამდე მოცდა ამჯობინა.

მასთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე ვარიანტმა გაიჟღერა, თუმცა "ლელოსთან" საუბარში დვალიშვილმა თქვა, რომ საბოლოო შეთანხმებისთვის ჯერ არავისთან მიუღწევია.

"ამჟამად პოლონეთში ვიმყოფები და ჩემი აგენტი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩემს მსურველ კლუბებთან. სანერვიულო არაფერი მაქვს, რადგან საკმაოდ საინტერესო წინადადებები მივიღე და იქ გადავალ, სადაც ჩემი კარიერისთვის უკეთესი იქნება თამაში. საუბარია როგორც პოლონურ, ასევე სხვა ქვეყნის კლუბებზე, რომელთა სახელის დაკონკრეტებაც ახლა არ ღირს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი დაახლოებით ერთ კვირაში გაირკვევა და ჩემი ახალი კლუბის ვინაობასაც ყველა მალე შეიტყობს", - გვითხრა დვალიშვილმა.

ლევან ჯანეზაშვილი

ფუტსალი

მარცხნიდან: ჯაბა ჯამბურია და ავთანდილ ასათიანი — თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტო

ავთანდილ ასათიანი:

მძიმე თამაშები გველის, მაგრამ უნდა გავიმარჯვოთ

ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრები მალტას (23 იანვარს) და მოლდოვას (24 იანვარს) დაუპირისპირდება.

ჯგუფის პირველადგილოსანი აპრილში ჰოლანდიაში ელიტ რაუნდში ითამაშებს, სადაც ევროპის ჩემპიონატის ფინალისტის ვინაობას B ჯგუფის (ჩეხეთი, ბელარუსი, ჰოლანდია) გამარჯვებულთან გაარკვევს. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 12 საუკეთესო გუნდის მონაწილეობით 2014 წელს ბელგიაში გაიმართება.

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ ასათიანმა პრესკონფერენცია გუნდის კაპიტანთან, ჯაბა ჯამბურიასთან ერთად გამართა.

მთავარი თემა მალტაში გასამართი შესარჩევი ეტაპი იყო, აგრეთვე, მანამდე მალტის საერთაშორისო ტურნირზე გუნდის გამოსვლა და ერთთვიანი შეკრება შეაჯამა.

ავთანდილ ასათიანი:

- საკმაო ხანია, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ვემზადებით. მალტის ტურნირის ჩათვლით, ლამის ერთთვიანი შეკრება გამოგვივიდა. ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ, ბიჭებმა ორიოდე დღით დაისვენეს და ვარჯიშები ისევ განვაახლეთ.

იმედია, ეს შესარჩევი ეტაპი ჩვენთვის წარმატებული გამოდგება და ერთხელ და სამუდამოდ დავაღწევთ თავს დაბალი რანგის შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობას. ჩვენი მიზანი ევროპის საუკეთესო ნაკრებებს შორის დამკვიდრებაა. შარშან ოქტომბერში პორტუგალიასთან გასვლაზე მოგებამ დაგვარწმუნა, რომ ნაკრებს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია და ევროპული ფუტსალის ელიტაში დამკვიდრება შეგვიძლია.

- მალტის ტურნირზე რას იტყოდით?

- ძალიან სასარგებლო ტურნირი იყო და მიმაჩნია, რომ რაც შეიძლება მეტი ასეთი თამაში გვჭირდება, გუნდი და თითოეული მოთამაშე რომ გაიზარდოს და უფრო თავდაჯერებული გახდეს. ბიჭებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. ასეთი ტურნირები ჩვენთვის, მწვრთნელებისთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს, გაზრდა და გამოცდილება კი ყველას ესაჭიროება.

მეორე ადგილი დავიკავეთ, საბერძნეთთან წავაგეთ, მალტას მოვუგეთ და ინგლისთან ფრედ ვითამაშეთ. ვერ ვიტყვი, რომ გუნდის გამოსვლით დიდად კმაყოფილი ვარ. მაგრამ იყო რამდენიმე მომენტი, რომელმაც დაგვანახვა, რომ ჩვენს ბიჭებს თამაში შეუძლიათ. ასე იყო საბერძნეთთან, რომელიც მოსაგები იყო და წავაგეთ. ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდის პოტენციალი გამოჩნდა. იმედია, შესარჩევ ციკლში ყველა მოთამაშე საკუთარ შესაძლებლობებს გამოავლენს და საქართველოს ასახელებს. საერთოდ, მძიმე თამაშები გველის და მობილიზაცია გვჭირდება.

- შემადგენლობა ოპტიმალურია?

- ყველა ვარჯიშობს, „იბერიას" ლიდერის, გოგა ალთუნაშვილის გარდა, რომელსაც ტრავმა აწუხებს და ბოლო 2 დღე არ უვარჯიშია. მაგრამ გვაიმედებენ, რომ მომჯობინდება, მალტაში გამოგვყვება და იქ სათამაშოდ 100 პროცენტით მზად იქნება.

- შესარჩევი ციკლის მეტოქეებზე რას გვეტყვით?

- მალტას 10:1 მოვუგეთ და რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ ძლიერი მეტოქეა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შესარჩევში მოგება გარანტირებული გვაქვს. ზერელე დამოკიდებულება არ წაგვადგება. ამიტომ ბიჭებს მძიმე ბრძოლისთვის განვაწყობთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველი შეხვედრა სწორედ მასპინძლებთან გვაქვს და თავს შეგვაკლავენ, ჩვენ კი რაც შეიძლება მეტი სხვაობით მოგება გვჭირდება.

რაც შეეხება მოლდოვის ნაკრებს, ის 2011 წლის შესარჩევი ეტაპიდანაც გვახსოვს, მებრძოლი გუნდია. მაშინ ვერ დავამარცხეთ, მერე კი გახსოვთ, გვიჩივლეს და ამ ყველაფრის გამო, პირადი ანგარიშებიც გასასტუმრებელი გვაქვს.

სხვათა შორის, მატჩებს შორის ჩვენ ერთდღიანი პაუზა გვაქვს და იმედია, ძალების აღდგენასა და ქულების მაქსიმუმის დაგროვებას მოვახერხებთ.

- ეს ერთდღიანი პაუზა მეტოქეებზე უპირატესობას ხომ არ გაძლევთ?

- ასე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან გადაბმული კალენდარი სჯობდა. მაგრამ რაც არის, არის, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და დაბალ ზონას თავი დავაღწიოთ. და ვიმეორებ, მოლდოვასთან რევანში უნდა ავიღოთ.

- თუ შესარჩევი ეტაპიდან ელიტ რაუნდში გადახვედით, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას კიდევ დაგეგმავთ?

- ჯერ ეს ეტაპი გადავლახოთ და ამ თემაზე მერე ვილაპარაკოთ. საერთოდ, ოფიციალურ შეხვედრებზე არ არის დამოკიდებული ნაკრების სპარინგების დაგეგმვა, თამაშები ყოველთვის საჭიროა. ისე, ჩვენი ჯგუფიდან ელიტ რაუნდში გასულს ძლიერი მეტოქეები დაუპირისპირდებიან, ჰოლანდია, ბელგია და ჩეხეთი. ცხადია, მათთან სერიოზული ბრძოლები იქნება.

ჯაბა ჯამბურია: - ძალიან რთული შეხვედრები გველის, სადაც ფეხის დაცდენის უფლება არ გაგვაჩნია. ვეთანხმები ასათიანს, რომ მოლდოვა ძლიერი გუნდია და რევანშის აღება ჩვენთვის პრინციპული საკითხია. მაგრამ მათი წინააღმდეგობის დაძლევის იმედი გვაქვს და ამ შანსის გამოსაყენებლად ყველაფერს გავაკეთებთ. იმავე მალტასთან სერიოზული დამოკიდებულება გვმართებს, რადგან ფეხბურთში სიურპრიზები სნორედ მაშინ ხდება, როდესაც მეტოქეს არ აფასებ.

მერაბ მამულაშვილი

ვიტ ჯორჯია

კონტრაქტი პირველ ახალწვეულთან

უკვე გაცნობეთ, რომ "ვიტ ჯორჯია" სეზონის მეორე ნახევრისთვის შეკრების გარეშე მოემზადება. ვეტერინარები საკუთარ "მცხეთა პარკზე" ივარჯიშებენ და საკონტროლო მატჩების ნაწილსაც იქ გამართავენ. გუნდის მზადების გეგმებში კორექტივები შეიძლება დიდთოვლობამ შეიტანოს.

უმაღლესი ლიგის გუნდები ნელ-ნელა მზადების ტემპს კრეფენ და სატრანსფერო სიახლეებიც უკვე ყველა მათგანის ბანაკიდან ისმის. გამონაკლისი არც "ვიტ ჯორჯიაა", რომელმაც კონტრაქტი პირველ ახალწვეულს გაუფორმა. ეს განაპირა მცველი **გიორგი მჭედლიშვილია**, რომელსაც დღეს 21 წელი უსრულდება. სეზონის პირველი ნახევარი მან მარტვილის "მერანში" გაატარა, რომლის მაისურითაც უმაღლესი ლიგის 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მჭედლიშვილმა ვეტერინარებთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

"ვიტ ჯორჯია" ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში ითამაშებს. **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი იქ დღეისთვის 22 ქულით მესამე ადგილზეა და უმაღლესი ლიგის ფინიშამდე ათი ტურით ადრე გასავარდნ ზონას ცხრა ქულით უსწრებს.

ლევან ჯანეზაშვილი

დინამო

ვოსკობოინიკოვი დუბლიორობს

ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი

თბილისის "დინამოში" უარყვეს ინფორმაცია, თითქოს კლუბი **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვმა** დატოვა. ესტონეთის ნაკრების ფორვარდი საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდში 2012 წლის ზაფხულში ჩაირიცხა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გაუჭირდა.

როგორც გვითხრეს, 29 წლის თავდამსხმელი გუნდიდან ჯერ არ გაუშვიათ და ახლა „დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობს. თუმცა, ეს ფაქტი სწორედ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თბილისური კლუბის თავკაცები ვოსკობოინიკოვთან განშორებას აპირებენ.

ამავე დროს, კლუბში თვლიან, რომ **ზურაბ არზიანისა** და **დავით კვირკველიას** ტრანსფერი ნაკლებად სარწმუნოა. ორივე მათგანი გორის "დილას" მენეჯერის, **მამუკა ჯუღელის** ფეხბურთელია და საეჭვოა, ფეხბურთელები "დინამოში" გამოუშვასო. თუმცა, ვნახოთ, წარმოუდგენელი მაინც არაფერია...

მერაბ მამულაშვილი

მეტალურგი

მიხეილ ალავიძე

ჰოსმანი მიდის, ალავიძე მოდის

რუსთავის „მეტალურგმა" ვარჯიში განაახლა და სატრანსფერო საქმიანობასაც შეუდგა.

მიმდინარე სეზონისთვის „მეტალურგმა" ლეგიონერი აიყვანა - 23 წლის ხორვატი მეკარე **ივან ჰოსმანი,** რომელმაც მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში შვიდი მატჩი ჩაატარა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ხორვატის და რუსთავული გუნდის გზები გაიყრება და უცხოელის ადგილს ქართველი დაიკავებს - 25 წლის **მიხეილ ალავიძე.**

ეს მეკარე წინა სეზონში ბათუმის „დინამოს" წევრი გახლდათ, ამ სეზონში კი არსად არ უთამაშია. აჭარაში მისვლამდე ალავიძემ ორი წელი უზბეკურ „შურთანში" ითამაშა, მანამდე კი რუსთავული გუნდის კარს იცავდა და ნაცნობ გარემოში მოუწევს დაბრუნება. ალავიძის „მეტალურგში" ჩარიცხვას წერტილი მალე დაესმება.

შეგახსენებთ, რომ „მეტალურგმა" ამ სატრანსფერო პერიოდში უკვე დაიმატა ორი ფეხბურთელი: 32 წლის შემტევი **რომან ახალკაცი** და 32 წლის შუახაზელი **ლევან კორღალიძე.**

დავით თავართქილაძე

ფიფას რეიტინგი

უთამაშებლად ვპროგრესირებთ

გამოქვეყნდა ფიფასა და "კოკა კოლას" მორიგი ერთობლივი რეიტინგი. ბოლო ერთი თვის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ რამდენიმე სანაკრებო მატჩი, ისიც ამხანაგური ჩატარდა და შესაბამისად, რეიტინგში დიდი ცვლილებები არ არის. თუმცა საქართველოს ნაკრებმა 73-ედან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა.

რაც შეეხება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი გუნდის მეტოქეებს, ესპანეთმა რეიტინგის ლიდერობა შეინარჩუნა და უახლოეს მდევარ გერმანიას სოლიდური უპირატესობით უსწრებს, საფრანგეთი და ბელარუსი შესაბამისად, მე-17 და 65-ე პოზიციაზე დარჩნენ, ფინეთი კი ერთი საფეხურით დაქვეითდა და დღეისთვის 84-ეა.

ცნობისთვის, პოსტსაბჭოთა სივრციდან საქართველოს ნაკრებს უსწრებენ რუსეთი (მე-9), უკრაინა (44-ე), უზბეკეთი (56-ე) და ბელარუსი (65-ე).

შეგახსენებთ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდი უახლოეს მატჩს ტირანაში ჩაატარებს, სადაც ალბანეთის ნაკრებს ამხანაგურად შეხვდება და იქ წარმატების შემთხვევაში სარეიტინგო მდგომარეობას გაიუმჯობესებს.

საუკეთესო ათეულში ცვლილებები საერთოდ არ არის და ეს ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. არგენტინა
4. იტალია
5. კოლუმბია
6. ინგლისი
7. პორტუგალია
8. ჰოლანდია
9. რუსეთი
10. ჰოლანდია
...72. საქართველო

ყველაზე თვალშისაცემი ბრაზილიის ათეულს მიღმა ყოფნაა, რაც ნაწილობრივ პენტაკამპეონთა არასტაბილური ასპარეზობით, ნაწილობრივ კი იმით არის განპირობებული, რომ ბრაზილიელები საშინაო მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირისგან თავისუფალნი არიან, ამხანაგურ შეხვედრებში კი ნაკლები ქულები ირიცხება. ბრაზილიის ნაკრები მხოლოდ და მხოლოდ მე-18 პოზიციაზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

DINAMO TBILISI 1925

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს
კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მილების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — დინამო (ბათუმი). ადგილი XI

შეხვედრა წარსულთან

გია გურული

მხოლოდ ჩვენ კი არა, ალბათ, ბევრ ნეიტრალურ გულშემატკივარსაც გაუხარდებოდა ბათუმის „დინამოს“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება; ჰო, მართლაც ასეა: საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული კლუბი ოთხი სეზონის განმავლობაში პირველ ლიგაში ასპარეზობდა და აი, აჭარული კლუბის ნანატრი დაბრუნებაც შედგა! შეგახსენებთ, რომ ბათუმის „დინამომ“ უმაღლესი ლიგის საგზური **გია გურულის** ხელმძღვანელობით მოიპოვა და ვის უნდა გაჰკვირვებოდა, რომ ამ სეზონში გუნდის გაძღოლაც სწორედ მას მიანდეს. 48 წლის სპეციალისტისათვის ბათუმის „დინამო“ პირველი გუნდი იყო, დამოუკიდებლად რომ წვრთნიდა. თუმცა სამწვრთნელო ასპარეზზე გარკვეული გამოცდილება ჰქონდა: ნლების წინ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ალენ ჟირესის** თანაშემწე გახლდათ. თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიას“, პოლონური „კატოვიცესა“ და ფრანგული „ლე ავრის“ მართლაც ჩინებულმა ფორვარდმა ის გუნდი ჩაიბარა, სადაც დაიწყო კიდეც თავისი პროფესიული კარიერა. რა თქმა უნდა, დებიუტანტი-მწვრთნელისგან ჩემპიონობისათვის თუ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას არავინ ითხოვდა: ბათუმის „დინამოს“ საამისოდ არც შესაფერისი შემადგენლობა ჰყავს და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ეგ კი არა, უკვე მერამდენე წელინადია, რაც ბათუმში სტადიონი აღარ არის! ჰოდა, ამ სეზონში აჭარული კლუბის არცთუ წარმატებული თამაშის ერთ-ერთი მიზეზი საკუთარი სტადიონის არქონაც არის: გუნდი საშინაო მატჩებს ხომ ქობულეთის ხელოვნურსაფრიან მოედანზე ატარებს. იმედი დავიტოვოთ, რომ სახელისუფლებო ცვლილებები ბათუმის „დინამოზეც“ საკეთილდღეოდ აისახება, თორემ მართლაც სირცხვილია, რომ ამ რეგიონის გუნდს ასეთი არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს. რა თქმა უნდა, წინ გადამწყვეტი, მეორე ეტაპია, მაგრამ ბათუმელებს მართლაც დიდი ჯაფა მოუწევთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ხოლო იმის იმედად ყოფნა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს, ან ამა თუ იმ კლუბს (მათ შორის, ბათუმის „დინამოსაც“) რაიმე „საფეხბურთო ამნისტიაც“ შეეხოს, დღესდღეობით აბსურდულად მიგვაჩნია. თუმცა, ვინ იცის...

...კვლავაც გავიმეორებთ: პირველ ეტაპზე ბათუმელთა ასპარეზობას წარმატებულს მართლაც ვერ ვუწოდებდით და ამას ქულათა რაოდენობა და სატურნირო ცხრილის ბოლოსწინა ადგილიც ადასტურებს. ასეთი შედეგის ერთ-ერთ მიზეზად შემადგენლობის ხშირი როტაციაც მიგვაჩნია: ფეხბურთელთა ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო ერთი და იმავე შემადგენლობით ზედიზედ ორი მატჩი გუნდს, ფაქტობრივად, არც უთამაშია. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ფეხბურთელთა გამოუცდელობაც: რამდენიმე მოთამაშის გარდა უმრავლესობა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებდა მოკლედ, აჭარულ კლუბს პრობლემები თავზე საყრელი ჰქონდა, მაგრამ კონკურენტებს კატასტროფულად არ ჩამორჩება და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსსაც ინარჩუნებს.

მეკარე

თუ არ ვცდებით, პირველ ეტაპზე მხოლოდ ბათუმის „დინამო“ იყო, ოთხი მეკარე რომ გამოსცადა! აქედან ყველაზე მეტი მატჩი 26 წლის **შოთა მამინაშვილმა** ჩაატარა; თუმცა ვიდრე ტრავმას მიიღებდა, ძირითად მეკარედ გუნდის ახალწვეული, 22 წლის უკრაინელი **ივან პიცანი** მიიჩნეოდა.

ამირან მუჯირი (მარცხნივ) თბილისის დინამოსთან მატჩში — ფოტო: www.fcdianmo.ge

დაცვა

უმაღლეს ლიგაში პირველ ეტაპზე ყველაზე მეტი გოლი (47) ბათუმის „დინამომ“ გაუშვა და ეს, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მეკარეების ბრალი ნამდვილად არ იყო. ზემოთ როტაცია რომ ვახსენეთ, ყველაზე ხშირად სწორედ ამ რგოლს ეხებოდა და გუნდში ერთადერთი ფეხბურთელი (არა მხოლოდ მცველებში), ვინც 20-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, 25 წლის **ზვიად ლობჟანიძე** იყო. დისკვალიფიკაციის გამო ბევრი გაუცდა 24 წლის **ნიკა ხუხიას**, სხვადასხვა მიზეზის გამო არცთუ ხშირად უწევდათ თამაში უმაღლეს ლიგაში გამოცდილების მქონე მცველებს - 26 წლის **ვაჟა ქორიძესა** და 24 წლის **კარენ მაკარიანს.** აი, 19 წლის **ვალერიან თევდორაძემ** კი მხოლოდ ორი შეხვედრა გამოტოვა.

ნახევარდაცვა

ამ რგოლშიც ხშირად ხდებოდა როტაცია, თანაც გუნდში რამდენიმე ახალწვეული უშუალოდ სეზონის მსვლელობისას მივიდა: 22 წლის **ირაკლი კვეკვესკირი** (უნგრეთიდან) და 25 წლის **ოლექსანდრ ტიმჩიშინი** (უკრაინიდან). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი რამდენიმე პოზიციაზე ასპარეზობდა და ერთი გოლის გატანაც მოახერხა. შუახაზელთა შორის უნდა აღვნიშნოთ 22 წლის **თორნიკე ბერიძე,** თბილისის „დინამოსთან“ სტუმრად ჩატარებულ მატჩში „დუბლი“ რომ შეასრულა. ყველაზე „ტკბილი ლუკმა“ კი ბოლოს შემოვინახეთ: გუნდის კაპიტანს, 38 წლის **ამირან მუჯირს** ასაკი ვერაფერს აკლებს და კვლავაც გამორჩეულია არა მხოლოდ თავის გუნდში, არამედ, საერთოდ, ჩემპიონატში!

თავდასხმა

28 წლის **ირაკლი ცნობილაძესა** და 23 წლის **დათა სიჭინავას** უმაღლეს ლიგაში ადრეც უასპარეზიათ (სხვადასხვა გუნდში), თუმცა პირველ ეტაპზე „წყვილად“ მხოლოდ 3 გოლი გაიტანეს; ალბათ, უფრო მეტს მოელოდნენ პერსპექტიული ფორვარდის, 22 წლის **ალექსანდრე ბაციკაძისგან,** აი, რაც შეეხება 25 წლის **მიხეილ ჯორბენაძეს**, უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო. „მერანთან“ სულაც ჰეთ-თრიქი შეასრულა, მაგრამ შემდეგ ტრავმა მიიღო და გუნდს ვეღარ ეხმარებოდა. ცალკე უნდა აღვნიშნოთ 18 წლის **ნიკა დიასამიძის** ჩინებული დებიუტი - ამ მართლაც საინტერესო ფეხბურთელმა გოლების უმრავლესობა შეცვლაზე შემოსულმა გაიტანა და ნიჭიერი რომ არ ყოფილიყო, თბილისის „დინამოში“ არ მოიწვევდნენ.

საუკეთესო მატჩი

VII ტურში ბათუმის „დინამომ“ დიდი ანგარიშით (4:0) მარტვილის „მერანს“ რომ სძლია, რაღა თქმა უნდა, ეს შეხვედრა უნდა მიგვეჩნია პირველ ეტაპზე საუკეთესოდ; თუმცა, იმავეს თქმა შეიძლება „ზესტაფონთან“ ორივე დაპირისპირებაზე - ქვეყნის მოქმედ ჩემპიონებთან ორივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა!

ყველაზე ცუდი მატჩი

ასეთი „შინაარსის“ შეხვედრა პირველ ეტაპზე არაერთი იყო და ამას სატურნირო ცხრილიც მეტყველებს. იმასაც დავამატებთ, რომ პირველ ეტაპზე იყო ისეთი „მონაკვეთიც“, როცა გუნდმა ზედიზედ ექვსი მატჩი ნააგო.

ლიდერი

ახალი და „ორიგინალური“ რა უნდა ვთქვათ: როცა გუნდში ამირან მუჯირი თამაშობს, ლიდერობაზე პრეტენზია სხვას ვის უნდა ჰქონდეს?!. XXIV ჩემპიონატის ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი, ისე როგორც თავის საუკეთესო ნლებში, კვლავაც გამორჩეულად თამაშობს. მოედნის ხედვა, „საფირმო“ დრიბლინგი თუ ასევე „საფირმო ცაციათი“ შესრულებული დარტყმები თუ უზუსტესი გადაცემები, - ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება ხოლმე, თითქოს, ისევ იმ, „ძველი მუმუს“ თამაშებს ვუცქერთ, 90-იანი ნლების დასაწყისში რომ იყო...

მიზანი

ბათუმის „დინამოს“ ერთადერთი და კონკრეტული მიზანი აქვს: უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება!

გია ტუხაშვილი

დინამო (ბთ)-ის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

I ტური	სიონი - დინამო	2:2
II ტური	ზუგდიდი - დინამო	2:0
III ტური	დინამო (ბთ) - დინამო (თბ)	0:3
IV ტური	ზესტაფონი - დინამო	0:0
V ტური	დინამო - მეტალურგი	0:2
VI ტური	ტორპედო - დინამო	5:1
VII ტური	დინამო - მერანი	4:0
VIII ტური	დინამო - კოლხეთი	3:1
IX ტური	დილა - დინამო	2:0
X ტური	დინამო - ვიტ ჯორჯია	0:1
XI ტური	ჩიხურა - დინამო	3:0
XII ტური	დინამო - სიონი	0:1
XIII ტური	დინამო - ზუგდიდი	0:3
XIV ტური	დინამო (თბ) - დინამო (ბთ)	5:3
XV ტური	დინამო - ზესტაფონი	3:3
XVI ტური	მეტალურგი - დინამო	2:1
XVII ტური	დინამო - ტორპედო	0:2
XVII ტური	მერანი - დინამო	2:1
XIX ტური	კოლხეთი - დინამო	1:2
XX ტური	დინამო - დილა	1:2
XXI ტური	ვიტ ჯორჯია - დინამო	1:1
XXII ტური	დინამო - ჩიხურა	0:2

მეკარეები: შოთა მამინაშვილი - 9, ივან პიცანი - 7, გიზო შენგელია - 5, რომან ტაკიძე - 1;

მცველები: ზვიად ლობჟანიძე - 21, ვალერიან თევდორაძე - 20, ნიკა ხუხია - 18, კარენ მაკარიანი - 11, ვაჟა ქორიძე - 8, არჩილ ბაჯელიძე - 6, ლაშა თოთაძე - 6, მირზა ფარტენაძე - 4, ლაშა რამიშვილი - 3, კახა თოდაძე - 2, ლაშა ზოიძე - 1;

ნახევარმცველები: ამირან მუჯირი - 17 (2), თორნიკე ბერიძე - 17 (3), ბორის მახარაძე - 12, ოლექსანდრ ტიჩიშინი - 12 (1), გელა გოგიტიძე - 11 (1), ირაკლი კვეკვესკირი - 11, ირაკლი ცანავა - 10, ბექა ვარშანიძე - 8, ამირან აბუსელიძე - 6, პაატა ბალაძე - 4, ერეკლე კილაძე - 3, გიორგი ზოიძე - 1.

თავდამსხმელები: ნიკა დიასამიძე - 16 (4), დათა სიჭინავა - 15 (1), ირაკლი ცნობილაძე - 13 (2), მიხეილ ჯორბენაძე - 12 (6), ალექსანდრე ბაციკაძე - 10 (2), ტიერი ანს კლოვისი - 6, ნიკა ნასუაშვილი - 1

მწვრთნელი: გია გურული (I - XXII)

	სულ							შინ							სტუმრად							
ად	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ	თ	მ	ფ	ნ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ	თ	მ	ფ	ნ	ბურთები გატ	ბურთები გაშვ	ქ
1	დინამო (თბ)	22	16	4	2	63	19	52	11	11	0	0	43	11	33	11	5	4	2	20	8	19
2	დილა	22	16	1	5	36	15	49	11	7	0	4	18	9	21	11	9	1	1	18	6	28
3	ტორპედო	22	14	3	5	41	18	45	11	9	1	1	25	7	28	11	5	2	4	16	11	17
4	ჩიხურა	22	13	4	5	35	21	43	11	8	2	1	18	5	26	11	5	2	4	17	16	17
5	ზესტაფონი	22	11	4	7	30	20	37	11	6	2	3	11	7	20	11	5	2	4	19	13	17
6	ზუგდიდი	22	10	5	7	27	26	35	11	8	2	1	19	10	26	11	2	3	6	8	16	9
7	მეტალურგი	22	9	4	9	21	26	31	11	5	2	4	13	14	17	11	4	2	5	8	12	14
8	მერანი	22	7	2	13	23	36	23	11	6	1	4	16	13	19	11	1	1	9	7	23	4
9	ვიტ ჯორჯია	22	5	7	10	15	29	22	11	1	5	5	7	12	8	11	4	2	5	8	17	14
10	სიონი	22	4	6	12	14	38	18	11	1	5	5	5	18	8	11	3	1	7	9	20	10
11	*დინამო (ბთ)*	*22*	*3*	*4*	*15*	*22*	*47*	*13*	*11*	*2*	*1*	*8*	*11*	*21*	*7*	*11*	*1*	*3*	*7*	*11*	*26*	*6*
12	კოლხეთი	22	0	4	18	11	43	4	11	0	3	8	6	19	3	11	0	1	10	5	24	1

● ლეგიონერები

ჭესჭების პერიოდი: ქართველები საქმეში

ფინეთში სეზონი ლიგის თასის მატჩებით დაიწყო. "ინტერ ტურკუ" საკუთარ მოედანზე ტას-ს შეხვდა და 1:1-ს დასჯერდა. "ინტერის" შემადგენლობაში **ირაკლი სირბილაძემ** შეუცვლელად ითამაშა. ბოლო დროს ბევრ საუბრობდნენ სირბილაძის სავარაუდო ტრანსფერის შესახებ, მაგრამ ამ მხრივ ახალი ჯერ არაფერია. თუმცა მაინც არ არის გამორიცხული, ფინეთის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი და საუკეთესო ბომბარდირი უახლოეს პერიოდში სხვა კლუბში აღმოჩნდეს.

უკრაინული "დნიპრო" ესპანურ "ლინენსეს" 1:1 დაუზავდა. დნეპროპეტროვსკელთა რიგებში მეორე ტაიმი სრულად ჩაატარეს **ჯაბა კანკავამ** და **ალექსანდრე კობახიძემ**. შეგახსენებთ, ეს უკანასკნელი "დნიპროს" კიევის "არსენალში" ჰყავდა განათხოვრებული, სადაც ნარმატებული თამაშით საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს "დნიპროში" დაბრუნების შანსი მიეცა.

გერმანული "ბოხუმი" ამხანაგურ შეხვედრაში "კოლონთან" 0:4 განადგურდა. ამ თამაშში მონაწილეობა ორივე ბოხუმელმა ქართველმა მიიღო, მაგრამ ისინი მოედანზე ერთდროულად არ ყოფილან – **ნიკოლოზ გელაშვილმა** პირველი ტაიმი ჩაატარა, ხოლო **ალექსანდრე იაშვილმა** – მეორე. გელაშვილი მოედანს ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ეს ნლეულს მისთვის პირველი შეხვედრა იყო.

დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ მეორე მატჩი ჩაატარა **ლევან კობიაშვილმა**. მისი "ჰერტა" ამხანაგურ შეხვედრაში 1:2 დამარცხდა "ჰამბურგთან". "კობი" ძირითად შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს. პირველი ტაიმი ბერლინელებმა 0:2 ნააგეს, ლევანმა კი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე იქნება ოფიციალურ მატჩებშიც. გავრცელებული აზრით, კობიაშვილს ამ ამპლუაში უფრო დიდი შანსი აქვს საიმისოდ, რომ "ჰერტას"

ლევან კობიაშვილი (უკანა პლანზე) ჰერტას ძირითადში გუნდის კაპიტნად დაბრუნდა

სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნოს.

პოლონური "იაგელონია", რომლის ღირსებასაც **ნიკა ძალამიძე** იცავს, ლატვიურ "დაუგავას" 2:2 დაუზავდა. ქართველი ნახევარმცველი სასტარტო თერთმეტეულში იყო და პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ შეცვალეს.

შვეიცარიული "ბელინცონა" საკონტროლო მატჩში გერმანულ "ზანკტ პაულისთან" 1:2 დამარცხდა. "ბელინცონას" შემადგენლობიდან ერთადერთი გოლი **გიორგი ივანიშვილმა** გაიტანა.

ბაქოს "ინტერი" თურქეთშია შეკრებაზე, სადაც საკონტროლო შეხვედრა გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ბინადარ "აალენთან" ჩაატარა. **კახა ცხადაძის** გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ **გიორგი ლომაია** და **ილია კანდელაკი**, ხოლო შეცვლაზე **რევაზ თევდორაძე** შევიდა. "ინტერის" ქართველი თავდამსხმელი **გიორგი ადამია** მწყობრში ჯერ არ დაბრუნებულა და სარეაბილიტაციო კურსს გერმანიაში გადის. **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილი "სიმურგი" თურქულ შეკრებაზე გამართულ სპარინგში ყაზახურ "აკჟაიკთან" 0:1 დამარცხდა. "ორი განსხვავებული შემადგენლობა ვათამაშე, რადგან საქმეში მაქსიმალურად ბევრი ფეხბურთელის ნახვა მსურდა. უპირატესობას ვფლობდით და უაზრო გოლი მივიღეთ", - განაცხადა ჩიხრაძემ ნამატჩევს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრემიერლიგა. XVII ტურის გამოტოვებული მატჩი

რიკი ლამბერტს თანაგუნდელები გოლს ულოცავენ

გაკვეთილი სახელად ასტონ ვილა

ჩელსი-საუთჰემპტონი 2:2

გოლები: 1:0 ბა (25), 2:0 აზარი (45), 2:1 ლამბერტი (58), 2:2 პანჩეონი (75)

ჩელსი (4-2-3-1): ჩეხი - კოული, ლუისი, კეჰილი, ასპილიკუეტა - რამირესი, ლამპარდი (79. ტორესი) - აზარი, ოსკარი, მატა - ბა

საუთჰემპტონი (4-3-2-1): ბორუცი – კლაინი, ჰოიველდი, იოშიდა, შოუ – კორკი, ს. დევისი (67. ჩაპლოუ), შნაიდერლინი – პანჩეონი, დო პრადო (74. რამირესი) – როდრიგესი (55. ლამბერტი)

გაფრთხილება: ლუისი -

კარში დარტყმა: 12-5 (5-2) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 11-9 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

მაყურებელი: 38 484

პრემიერლიგის **XVII** ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში "ჩელსიმ" "საუთჰემპტონს" უმასპინძლა და 2:2 ითამაშა. პირველ რიგში იმაზე გვინდა თქვენი ყურადღების გამახვილება, რომ "სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნები ოდნავ შეთხელებული იყო. მოგეხსენებათ, "ლურჯების" ერთ-ერთი ფანკლუბი იქამდე არ აპირებს საყვარელი გუნდის საშინაო შეხვედრებზე დასწრებას, ვიდრე მას სათავეში **რაფა ბენიტესი** უდგას. შედეგი სახეზეა, "ჩელსის" მატჩს საშუალო მაჩვენებელზე 2 ათასით ნაკლები ადამიანი ეწვია.

პირველ ნახევარში მასპინძლებს უზარმაზარი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ, რაც მათ გოლებშიც ასახეს. ჯერ **დემბა ბამ** გამოიჩინა თავი, მერე **ედენ აზარმა**. არადა, "წმინდანები" ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ და მჭიდროდ ეთამაშათ, ორჯერვე შეიძლებოდა შეტევის მოგერიება. მეორე ტაიმში **ნაიჯელ ედკინსმა** შეტევის გაძლიერება გუნდის საუკეთესო ბომბარდირით სცადა. **რიკი ლამბერტმა** მოედანზე გამოჩენიდან ზუსტად 3 წუთში **ნათან კლაინის** ფლანგური ჩაწოდება თავურით დააგვირგვინა. მასპინძლებმა ტემპს უმატეს და მომენტების გაფუჭებას მიჰყვეს ხელი. 75-ე წუთზე **ჯეისონ პანჩეონმა** ფლანგური ჩაწოდება დაამუშავა და ეფექტური გოლით გაათანაბრა. "ჩელსის" ამის მერე ცდა არ დაუკლია, მაგრამ... ცა ეს აუცილებლად უნდა გაგვეკეთებინა. ეს რომ არა, ამ შეხვედრას უეჭველად მოვიგებდით. მეტოქემ კი კონტრშეტევები იდეალურად გამოიყენა. ჩვენმა თამაშმა მათ ქულის გადარჩენის იმედი მისცა და მათ ამით ისარგებლეს კიდეც. შესვენებისას ფეხბურთელებისთვის იმის ახსნა ვცადე, რომ აუცილებელი იყო მესამე გოლის გატანა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ეს ვერ დავაჯერე. საკუთარ მოედანზე ქულების დაკარგვა გულდასაწყვეტია, მით უფრო, როცა ვიცი, რომ ბიჭებს ბევრად უფრო მეტის გაკეთება შეეძლოთ. ახლა მთავარი უკვე "არსენალთან" მომდევნო ტურში გამარჯვებაა".

ნაიჯელ ედკინსი (საუთჰემპტონი): "ჩელსი" ძალიან ძლიერი გუნდია და მისთვის მეტი სივრცე რომ მიგვეცა, აუცილებლად დავისჯებოდით. ფეხბურთელებს კონკრეტული გეგმა დავუსახე: მათ მაქსიმალურად უნდა შეეზღუდათ მეტოქე. რიკი ლამბერტის სათადარიგოთა შორის დატოვება რთული გადასაწყვეტი იყო, მაგრამ მაინც ნავედი ამ რისკზე, რათა წინასამატჩო გეგმას იდეალურად ემუშავა. შესვენებაზე ფეხბურთელებს ვთხოვე, რომ ძველებურად გაეგრძელებინათ, რადგან მთელი ძალებით წინ წასვლის შემთხვევაში "ჩელსი" "ასტონ ვილას" დაგვამსგავსებდა".

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იუნაიტედი	22	18	1	3	56-29	55
2. სიტი	22	14	6	2	43-19	48
3. ჩელსი	21	12	5	4	43-19	41
4. ტოტენჰემი	22	12	4	6	39-27	40
5. ევერტონი	22	9	10	3	35-26	37
6. არსენალი	21	9	7	5	40-24	34
7. ვესტ ბრომვიჩი	22	10	3	9	31-30	33
8. ლივერპული	22	8	7	7	35-28	31
9. სუონსი	22	7	9	6	31-26	30
10. სტოკ სიტი	22	6	11	5	21-24	29
11. ვესტ ჰემი	21	7	5	9	24-27	26
12. ნორვიჩი	22	6	8	8	24-34	26
13. ფულჰემი	22	6	7	9	33-38	25
14. სანდერლენდი	22	6	7	9	24-29	25
15. საუთჰემპტონი	21	5	6	10	28-38	21
16. ნიუკასლი	22	5	6	11	27-39	21
17. უიგანი	22	5	4	13	23-40	19
18. ასტონ ვილა	22	4	7	11	17-42	19
19. რედინგი	22	3	7	12	26-42	16
20. ქუინზ პარკი	22	2	8	12	17-36	14

ბომბარდირები: 17 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 15 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი), 13 - მიგელ მიჩუ (სუონსი)

მატჩის შემდეგ

რაფა ბანიტესი (ჩელსი): "ადრეც არაერთხელ გამისვამს ხაზი, რომ მომენტების უკეთესად რეალიზება გვმართებს. ხომ ხედავთ, ისტორია განმეორდა, ვერ გავიტანეთ მაშინ, რო-

● ასოციაციის თასი. გამოხმაურება

ფავორიტები IV ეტაპზე

არსენალი-სუონსი 1:0

გოლი: 1:0 უილშირი (86)

არსენალი: შჩესნი, სანია, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი, უილშირი, დიაბი (82. რემსი), კასორლა, კოკლენი, უოლკოტი, ჟირუ

სუონსი: ვორმი, ტიენდალი, ბარტლი, ჩიკო, რიჩარდსი, აგუსტიენი (59. ჰ. ერნანდესი), დე გუზმანი (61. კი), ბრიტონი, რუტლეჯი, გრემი (71. მიჩუ), დაიერი

იუნაიტედი-ვესტ ჰემი 1:0

გოლი: 1:0 რუნი (9)

იუნაიტედი: ლინდეგორი, ბიუტნერი, ჯონსი, სმოლინგი, რაფაელი, გიგზი, ანდერსონი (67. კერიკი), ნანი (77. სქოულზი), ვალენსია, ერნანდესი, რუნი

ვესტ ჰემი: იასკელაინენი, სპენსი, ტომკინსი, რიდი, პოტსი, დიამე (65. კოლისონი), დიარა, ონილი, ტეილორი, ჯ. კოული (65. ნოლანი), ვას ტე (78. ლი)

"არსენალს" "სუონსისთან" 90 წუთის განმავლობაში უდიდესი უპირატესობა ჰქონდა და შეხვედრა სხვა სცენარით რომ დასრულებულიყო, ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა. ამის დასტურად სტატისტიკაც კმარა. "მეთოფეებმა" "გედების" კარის მიმართულებით 25-ჯერ დაარტყეს და აქედან 15-ჯერ ზუსტად. სტუმრები რამდენჯერმე ძელმაც გადაარჩინა.

ჯეკ უილშირმა საგოლე გადაცემა ოლივიე ჟირუსგან მიიღო

მატჩის შემდეგ

არსენ ვენგერი (არსენალი): "სუონსისთან" შედარებით ბევრად უფრო აქტიური ფეხბურთი ვითამაშეთ და მის კართან მომენტს მომენტზე ვქმნიდით. დაუჯერებელი იყო, თუ როგორ მომენტებს ვერ ვიყენებდით. თუმცა არა უშავს, მთავარია, ბოლომდე არ დავნებდით და მიზანს მაინც მივაღწიეთ. უმნიშვნელოვანესია, რომ შემდეგი თამაშებიც ასეთივე დონეზე ჩავატაროთ. ჩემი ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ მათ შორის ჯეკ უილშირი მაინც გამორჩეული იყო, რადგან "სუონსის" კარს რეგულარულად ემუქრებოდა. ეს იმის დამსახურებაა, რომ ის ცოტა უფრო წინ წავწიეთ და შეტევებში მეტი თავისუფლება მივეცით. ჯეკი სრულყოფილი ნახევარმცველია, რადგან ყველგან შეუძლია თამაში. ეხერხება დრიბლინგიც და უკანასკნელი პასის გაკეთებაც. რაც მთავარია, აქვს უმაღლესი კლასი, ფლობს ამოუწურავ ენთუზიაზმს და უყვარს თავისი საქმე. ჩემი აზრით, ფეხბურთელისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებია.

ასოციაციის თასი უმნიშვნელოვანესი გათამაშებაა, თუმცა პრემიერლიგა ამით ნაკლებად პრიორიტეტული არ ხდება. კვირას "სიტისთან" წაგების შემდეგ ფეხბურთელებში საკუთარი ძალების რწმენა შეირყა. იმის მიუხედავად, თუ რომელი ტურნირის ეგიდით ხდება, ეს ყოველთვის ასეა. შესაბამისად დღეს წარმატების მიღწევა უბრალოდ აუცილებელი იყო".

ნამიც და უეინ რუნი ანგარიშს გახსნის

■ ■ ■

ასოციაციის თასის მე-3 ეტაპის შეხვედრა გამართა "მანჩესტერ იუნაიტედმაც" და "არსენალის" არ იყოს, მანაც მინიმალურად სძლია პრემიერლიგელ მეტოქეს. „ოლდ ტრეფორდზე" მატჩის გმირი **უეინ რუნი** იყო და მარტო იმიტომ არა, რომ მისმა გუნდმა ტრავმის შემდეგ დაბრუნებული ვარსკვლავის გოლით იმარჯვა. 27 წლის თავდამსხმელი მინდორზე ნამდვილად საუკეთესო იყო. რუნიმ ერთი ნაღდი გოლი მაინც "დალუპა": მეორე ტაიმში **ჯორდან სპენსის** მიერ ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი ხარიხას გადააცილა. არ ვიქნებით მართლები, თუ არ აღვნიშნავთ, რომ არბიტრმა **ფილ დაუდმა** "ჩაქუჩებს" სპენსის მომენტზე "არანაკლები ხელით თამაშისთვის" 11-მეტრიანი არ დაუნიშნა. **რაფაელმა** ბურთი აშკარად წესის დარღვევით, ხელით გამოიტანა საჯარიმოდან და უსწრაფეს კონტრშეტევაზე გაიქცა, რომელიც კინაღამ **ჩიჩარიტოს** გოლით დასრულდა. მსაჯი ამ მომენტში იმდენად ახლოს იდგა, რომ შეუძლებელი იყო, ეს ვერ დაენახა. "იუნაიტედს" მომდევნო თამაში ლონდონში "უაით ჰართ ლეინზე" ელის. უეინ რუნის ფეხზე დადგომა უმნიშვნელოვანესი შეხვედრის ნინ სნორედ რომ დროული იყო.

მატჩის შემდეგ

ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერ იუნაიტედი): "ჯონსმა და სმოლინგმა ფანტასტიკურად ითამაშეს. მათით იმდენად კმაყოფილი ვარ, როგორც არასოდეს აქამდე. ახალგაზრდა მცველებს ტრავმის შემდეგ სათამაშო პრაქტიკა სჭირდებოდათ, რაც მიიღეს კიდეც და დარწმუნებული ვარ, რომ დიდად გამოადგებათ სამომავლოდ. თამაში სჭირდებოდათ ნანის, რუნის, ანდერსონსა და ბიუტნერსაც, მით უფრო, როცა "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი გვიახლოვდება".

● ამბები

რაიან გიგზი

გიგზის ჯიდევ ერთი წელიწადი

რაიან გიგზი 39 წლისაა, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლაზე ჯერ კიდევ არ ფიქრობს. მან უკვე დაამყარა ყველანაირი რეკორდი, რომლის დამყარებაც კი შეიძლებოდა. ჩაატარა 900-ზე მეტი თამაში "მანჩესტერ იუნაიტედში", პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული კი 11-ჯერ მოიგო. საოცარია, თუ როგორ ახერხებს ის ასეთ ასაკში უმაღლეს დონეზე თამაშის მოტივაციის შენარჩუნებას. გიგზის კონტრაქტს "იუნაიტედთან" ვადა მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს გასდის. „ვესტ ჰემთან" ასოციაციის თასის მე-3 ეტაპის მატჩის დასრულების შემდეგ "ეშმაკების" მთავარმა მწვრთნელმა **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ ის პრაქტიკულად დარწმუნებულია, ვეტერანი კლუბთან ახალ ერთწლიან კონტრაქტს ხელს მაღე მოაწერს: "ასაკის მიუხედავად რაიანის თამაშში რაიმე ნიშანი იმისა, რომ გადაღლილია, არ შეინიშნება. სათამაშო კლასს კი ის უმაღლეს დონეზე ინარჩუნებს. "იუნაიტედს" ის მომავალშიც გამოადგება წარმატებების მისაღწევად".

წარმატებული ოპერაცია



სანდრო

"ტოტენჰემისა" და ბრაზილიის ნაკრების 23 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **სანდრომ** (სანდრო რანიერ გიმარაეშ კორდეირო) "ქუინზ პარკთან" შეხვედრის (0:0) 25-ე წუთზე მეტოქესთან შეჯახებისას მუხლი იტკინა, რის გამოც **ანდრე ვილაშ ბოაშმა** მის ნაცვლად მოედანზე **სკოტ პარკერი** შეუშვა. ექიმებს თავდაპირველად დაზიანება უმნიშვნელო ეგონათ, მაგრამ შემოწმების შემდეგ მუხლის ჯვარედინი მყესების სერიოზული ტრავმა და გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის საჭიროება დაინახეს. გუშინ დილას ფეხბურთელს ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების თქმით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ სანდრო ფეხბურთს აუცილებლად დაუბრუნდება. ეს პროცესი კი, მათი პროგნოზით, მინიმუმ 5-6 თვეს მოითხოვს. ბედს შეეგუა თავად ბრაზილიელიც. აი, რას წერს ის "ტვიტერში": "ოპერაციამ გართულების გარეშე ჩაიარა. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი სწორი მკურნალობა და დასვენებაა. დიდი მადლობა ყველა მხარდაჭერისთვის. აუცილებლად ჩავდგები მწყობრში, რათა ოდესმე ისევ ჩავება ბრძოლებში. "მიდი, "სპურს!"

გვერდი მოამზადა

ლევან გიგილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

ჯეიმი რედნაპის მოსაზრებები ინგლისურ ფეხბურთზე

შიში ინგლისური ფეხბურთის მომავლის გამო

ჩვენ საუკეთესო პირველობა გვაქვს მსოფლიოში, მაგრამ აქ საუკეთესო ფეხბურთელები ნამდვილად არ თამაშობენ

ჯეიმი რედნაპი სახელოვანი საფეხბურთო ოჯახიდანაა. ის ჰარი რედნაპის ვაჟი და ფრენკ ლამპარდის ალალი ბიძაშვილია. მიუხედავად დიდი პოტენციალისა, ფეხბურთელობისას მან ბოლომდე საკუთარი სათქმელი ვერ თქვა, რისი უმთავრესი მიზეზიც გაუთავებელი ტრავმები იყო. აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ მან "დეილი მეილის" საფეხბურთო მიმომხილველობა დაიწყო. თამამად ვიტყვით, რომ ის ტაბლოიდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია. მცირე შემოკლებით გთავაზობთ მის ერთ-ერთ სტატიას, რომელიც საინტერესოდ მოგვეჩვენა.

ჯეიმი რედნაპი ინგლისური ფეხბურთის ბუნდოვანი მომავლით შეშფოთებულია

- მართლა მეშინია ბრიტანული ფეხბურთის მომავლის. ამის საფუძველი ფიფას მიერ მსოფლიოს ნლის სიმბოლური ნაკრების დასახელება გახდა, სადაც 11 ფეხბურთელი მოხვდა ესპანეთის ჩემპიონატიდან. ანუ ამ ქვეყანამ დანარჩენ მსოფლიოს 11:0 მოუგო. მიყვარს პრემიერლიგა იმ დრამის გამო, რისი ნახვაც აქ ხშირად შეიძლება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საუკეთესო პირველობა გვაქვს მსოფლიოში, მაგრამ ფაქტია, რომ საუკეთესო ფეხბურთელები ნამდვილად არ თამაშობენ ჩვენს ქვეყანაში.

სად არის მომავალი უეინ რუნი? როგორც წესი, წინდაწინ ვცნობთ ხოლმე ტალანტებს, რომლებიც ნლების მერე მსოფლიოში დაიქუხებენ. თუმცა ახლა იმ ეტაპს მივადექით, როცა ჩვენი ჩემპიონატის დონეს უცხოელები სწევენ მაღლა. რაჰემ სტერლინგი (ლივერპული), როს ბარკლი ("ლიდსში" "ევერტონიდან" არის განათხოვრებული. რედ) ნამდვილად უნიჭიერესი ფეხბურთელები არიან, ისევე როგორც ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, მაგრამ მე ვსვამ შეკითხვას, სად არიან ინგლისელი მატა, სილვა და კასორლა?

მიმაჩნია, რომ დღევანდელი ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელები უფრო მეტად კონტრაქტების ფინანსურ მხარეს აქცევენ ყურადღებას. მათ ალბათ ძალიან ბევრს უხდიან, რადგან 18 ნლის ასაკში საშუალება აქვთ, "რეინჯ როვერი" იყიდონ. და როგორ გგონიათ, ეს დადებითად აისახება ახალგაზრდა ფეხბურთელების მონდომებასა და ამბიციებზე? სამწუხაროდ, ჩვენს დროში უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, როცა პატარა ბიჭები ნელ-ენლა იკარგებიან ვარჯიშებზე. არადა, მეტი მუშაობის ნაცვლად ისინი ფულს დასდევენ უკან.

კასორლა შეუდარებელია „არსენალში", მაგრამ ესპანეთის ნაკრებში მის პოზიციაზე 2-3 ფეხბურთელი სხვაც ჰყავთ. ესპანელებს ნამდვილი კონვეიერი აქვთ აწყობილი ტალანტების გასაზრდელად. და სად არის ჩვენი კონვეიერი? ხშირად ვუყურებ ახალგაზრდა ინგლისელების თამაშებს და არც ერთი მათგანი არ ტოვებს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას.

"ჩელსი" ევროპის სუპერთასზე "ატლეტიკოსთან" განადგურდა, მაგრამ ჩვენთან ამას მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრაში ნაგება უნოდეს. მე არ ვეთანხმები მსგავს დასკვნას. ეს იყო საფეხბურთო გაკვეთილი, რომელსაც ამ ბოლო ხანს ხშირად ვიღებთ. მაგალითისთვის შორს წასვლას საჭირო არ არის: "მანჩესტერ სიტი" და "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზევე გამოვარდნენ. წინა სეზონში ლუკა მოდრიჩი ალბათ პრემიერლიგის საუკეთესო ნახევარმცველი იყო, მაგრამ გადავიდა "რეალში" და მას მერე აღარაფერი უჩვენებია. მეტიც, ის სეზონის ყველაზე ცუდ შენაძენად დასახელდა. ეს იმ დროს, როცა საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელები ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი და სტივ ჯერარდი მალე გავლენ პენსიაზე.

იქამდე, ვიდრე საფეხბურთო ასოციაცია რამეს რადიკალურად არ შეცვლის, ვფიქრობ, სიტუაცია მხოლოდ დამძიმდება. ნამდვილად მინდა მომდევნო ნლის სიმბოლურ ნაკრებში პრემიერლიგელი ფეხბურთელები ვნახო, მაგრამ ამაზე ფსონს ვერ ჩავალ.

მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ამბები

ანაზღაურების ახალი სისტემა

ინგლისური ფეხბურთი და იქაური სახელფასო სისტემა დიდი ხანია, საფეხბურთო ექსპერტების განსჯის საგანია. სწორედ ახლახან გამოქვეყნდა სტატისტიკა, რომლის თანახმადაც ყველაზე დიდი ფონდი სწორედ პრემიერლიგის გრანდებს აქვთ. მაგალითად, "მანჩესტერ სიტი" ნლის განმავლობაში 200 მილიონ ფუნტზე მეტს იხდის. მართალია, "ლივერპული" ამ მხრივ ლიდერთა შორისაა, მაგრამ პირველ სამეულს ("სიტი", "ჩელსი", "იუნაიტედი") ის მაინც ბევრით ჩამორჩება. გაზეთ Liverpool Echo-ს ცნობით, მერსისაიდელთა მენეჯმენტი მალე დანერგავს ახალ სისტემას, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მოთამაშის ხელფასის ავტომატურ გაზრდას ყოველი ახალი ხელშეკრულების დადების შემდეგ. ფეხბურთელს მხოლოდ იმის მიხედვით მოემატება ანაზღაურება, რამდენად წარმატებული იყო ის იქამდე ჩატარებულ შეხვედრებში. "წითლები" ამ დასკვნამდე მას მერე მივიდნენ, როცა გააანალიზეს, რომ ნლების განმავლობაში უხდიდნენ უზარმაზარ ხელფასებს ისეთ ფეხბურთელებს, რომელთაც კლუბისთვის სარგებელი თითქმის არ მოუტანიათ.

სელტიკის ახალწვეული

SCOTTISH DAILY RECORD-ის ცნობით, შოტლანდიის ჩემპიონმა "სელტიკმა" 4,5-ნლიანი კონტრაქტი გაუფორმა ავსტრალიის ნაკრების ნევრს, სერბული წარმოშობის **ტომ როგიჩს**, ვისი განაცხადში შეყვანაც მხოლოდ მას მერე გახდება შესაძლებელი, როცა ის ბრიტანეთის შრომის სამინისტროსგან ქვეყანაში მუშაობის უფლებას მიიღებს. 20 ნლის შემტევი ნახევარმცველი აქამდე "სენტრალ ქოუსტ მარინერზის" ღირსებას იცავდა. ავსტრალიის ნაკრებში პირველად ის შარშან ხელოვანმა **ჰოლგერ ოსიეკმა** მიიწვია. ტომს ასახელებენ, როგორც უაღრესად ტექნიკურ ფეხბურთელს. ეს ალბათ იმის დამსახურებაა, რომ როგიჩი დიდ ფეხბურთში ფუტზალიდან მივიდა.

კინის ახალი კონტრაქტი

SkySports-ის ცნობით, "ლოს ანჯელეს გალაქსისა" და ირლანდიის ნაკრების 32 ნლის თავდამსხმელმა **რობი კინმა** MLS-ის კლუბთან ხელშეკრულება 2 ნლით, 2014 ნლის დეკემბრის ბოლომდე, გაახანგრძლივა. კინის ძველ კონტრაქტს ვადა მიმდინარე ნლის ბოლოს გასდიოდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარიგების ფინანსური დეტალები საიდუმლო დარჩება.

ლევან ბიბილაშვილი

მოსალოდნელი ტრანსფერი

გალა სნეიდერის პასუხს 5 თებერვლამდე დაელოდება

თურქულ „გალათასარაის" გაუჭიანურდა მოლაპარაკების პროცესი მილანის „ინტერის" ჰოლანდიელ ნახევარმცველ **ვესლი სნეიდერთან.** შეგახსენებთ, რომ თურქული და იტალიური კლუბები უკვე შეთანხმდნენ 28 ნლის ფეხბურთელის ტრანსფერზე - „გალა" „ინტერს" 10 მილიონ ევროს გადაუხდის ჰოლანდიელი პლეიმეიქერის სანაცვლოდ, მაგრამ შესათანხმებელი იყო პირადი კონტრაქტი თავად ვესლისთან. ჰოლანდიელთან იმდენი პრობლემა არ წარმოიშვა, რამდენიც იტალიურ გრანდსა და სნეიდერს შორის, რამდენიმე ფინანსური საკითხი მოსალაპარაკებელია.

„გალათასარაის" კონსულტანტი **ბიულენთ თულუნი** ამბობს, რომ სნეიდერს 5 თებერვლამდე მისცეს ვადა, რათა მან „ინტერთან" ფინანსური პრობლემები მოაგვაროს: *„ჩვენ არ გვაქვს რაიმე სახის პრობლემა „ინტერთან" ან სნეიდერთან. უბრალოდ, ველით, როგორ მოაგვარებენ პრობლემებს ისინი ერთმანეთში. ჩემი ინფორმაციით, სნეიდერი და „ინტერი" დაახლოებით 2 მილიონ ევროზე დავობენ, რაც ტრანსფერის განხორციელებას აფერხებს. „გალათასარაი" სნეიდერის პასუხს 5 თებერვლამდე დაელოდება".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტრანსფერი

რივალდო სან კაეტანოში გადავიდა

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა **რივალდო**, რომელიც ბოლოს ანგოლის კლუბ „კაბუსკორპში" თამაშობდა, კარიერას სამშობლოში, სერია B-ს ბინადარ „სან კაეტანოში" გააგრძელებს. 40 ნლის რივალდომ კლუბთან კონტრაქტი გუშინ გააფორმა და პრესას გაესაუბრა:

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ასაკში, საფეხბურთო კარიერის გაგრძელების საშუალება მეძლევა. კრიტიკოსებს ვეტყვი, რომ ფინანსური დაინტერესება არაფერ შუაშია და მთავარი სპორტული პრინციპები იყო. ძალიან ბევრს ვიშრომებ და ვეცდები, რომ ყველასთვის სამაგალითო ვიყო".

შეგახსენებთ, რომ „სან კაეტანოს" სერია A-ს საგზურამდე ძალიან ცოტა დააკლდა – გუნდმა სერია B-ში მეხუთე ადგილი დაიკავა და მესამე-მეოთხეზე გასულ „ატლეტიკო პარანაენსეს" და „ვიტორიას" მხოლოდ მოგებების რაოდენობით ჩამორჩა (ბრაზილიაში თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა იმ გუნდს ენიჭება, ვისაც მეტი მატჩი აქვს მოგებული).

ლეგენდარული ფეხბურთელის დებიუტი შესაძლოა უკვე 20 იანვარს შედგეს, როდესაც „სან კაეტანო" 2013 ნლის პაულისტას (სან პაულოს შტატის ჩემპიონატი) პირველ ტურში „ატლეტიკო სოროკაბას" დაუპირისპირდება.

ტატო ბაციკაძე

20-ნლამდელთა კოპა ამერიკა. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ბრაზილიის პირველი გამარჯვება

B ჯგუფი	
ბრაზილია-ვენესუელა	**1:0**

გოლი: 1:0 ფელიპე ანდერსონი (45-პენ).

ეკვადორი-პერუ	2:1

გოლები: 0:1 დესა (66-პენ), 1:1 ესტერილია (80), 2:1 სევალიოს ენრიკესი (83).

გაძევება: ა. ლედესმა (90) – მ. ბარიოსი (87).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ურუგვაი	3	1	2	0	8-7	5
2. ეკვადორი	4	1	2	1	5-5	5
3. პერუ	3	1	1	1	5-5	4
4. ბრაზილია	3	1	1	1	4-4	4
5. ვენესუელა	3	1	0	2	1-2	3

ბოლო ტური: ურუგვაი-ვენესუელა, ბრაზილია-პერუ.

ბომბარდირები: 3 – მ. ბორხა (კოლუმბია), ჯ. კორდობა (კოლუმბია), ნ. ლოპესი (ურუგვაი); 2 – ბენავენტე (პერუ), ნ. კასტილიო (ჩილე), კ. კუეკასი (ჩილე), დერლის გონსალესი (პარაგვაი), როლანი (ურუგვაი), ვიეტო (არგენტინა), ესტერილია (ეკვადორი).

ახალგაზრდული კოპა ამერიკის ბოლო სამი ტურნირის გამარჯვებულმა, ბრაზილიის ნაკრებმა პირველი მოგება გაიფორმა და მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. „სელესაომ" ვენესუელის ნაკრებს, „სანტოსის" ნახევარმცველის, **ფელიპე ანდერსონის** გოლი წყალობით მოუგო. 19 ნლის ფეხბურთელმა, რომლის შეძენითაც „მილანია" დაინტერესებული, გოლი 11-მეტრიანით, ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა.

ბოლო ტურში ბრაზილია პერუს შეხვდება, რომელსაც ასევე 4 ქულა აქვს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის, უფრო სწორად მეტი გატანილი ბურთის გამო, მესამე ადგილზეა. ამ ტურში პერუმ ეკვადორთან წააგო, არადა მე-80 წუთამდე **დესას** გოლის წყალობით იგებდა. ამის შემდეგ, „სანტოს ლაგუნას" და „ლდუ კიტოს" ფეხბურთელებმა, **ელი ესტერილიამ** (მეორე გოლი ტურნირზე) და **ხოსე სევალიოს ენრიკესმა** ორი გოლი გაიტანეს და ეკვადორს ტურნირზე პირველი გამარჯვება მოუტანეს.

ეკვადორელებმა გამოსვლა დაასრულეს და ახლა ბოლო ტურის შედეგებს დაელოდებიან. იმისთვის, რომ ეკვადორი მომდევნო ეტაპზე გავიდეს, უკანასკნელ ტურში ბრაზილიამ პერუს ვერ უნდა მოუგოს, ან მატჩი 0:0 უნდა დასრულეს, ხოლო ურუგვაიმ ვენესუელასთან არ უნდა წააგოს.

გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვს და ვარიანტი ძალიან ბევრია, მათი ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანს. უბრალოდ გეტყვით, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა ბურთების სხვაობას ენიჭება, შემდეგ მხედველობაში გატანილი ბურთების რაოდენობა მიიღება, ბოლოს კი ურთიერთშეხვედრის შედეგი.

ტატო ბაციკაძე

● კოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. I მატჩები

ყველა თამაშს ვერ მოიგებ

მესის ოთხი ოქროს ბურთი და ოთხი გოლი კამპ ნოუზე

უტევს სევილიას და ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ალვარო ნეგრედო

სარაგოსა-სევილია 0:0

სარაგოსა (4-2-3-1): ლეო ფრანკო - სეპუნარუ, ალვარო, პარედესი (88. ლოოვენსი), აბრაამი - მოვილია, აპონიო - ალამო, ვ. როდრიგესი (68. მონტანიესი), ვილჩესი (56. ე. ორიოლი) - პოშტიგა.

სევილია (4-2-3-1): პაულოპი - კოკე, ფასიო, სპაჰიჩი (84. ბოტია), ფ. ნავარო - მედელი, მადურო - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (87. სტევანოვიჩი), რეიესი (75. დელ მორალი) - ნეგრედო.

საპასუხო მატჩი 23 იანვარს

ბარსელონა-მალაგა 2:2

გოლები: 0:1 იტურა (25), 1:1 მესი (29), 2:1 პუიოლი (30), 2:2 ნაჩო კამაჩო (89)

ბარსელონა (4-3-3): პინტო - მონტოია, პუიოლი, მასკერანო, ადრიანო - ტ. ალკანტარა (77. ჩავი), სონგი, ინიესტა - სანჩესი (73. ფაბრეგასი), მესი, ტელიო (73. პედრო).

მალაგა (4-2-3-1): კამენი - გამესი, ს. სანჩესი, ველიგტონი, ელიზეუ - ნაჩო კამაჩო, იტურა - პორტილიო (46. მონრეალი), ბუონანოტე (68. დუდა), სება ფერნანდესი - სავიოლა (64. სანტა კრუსი).

გაძევება: მონრეალი (74)

საპასუხო მატჩი 24 იანვარს

„კამპ ნოუზე“ ყველაფერი ამოატრიალა მატჩის მიწურულს ნაჩო კამაჩოს მიერ გატანილმა - „მალაგამ“ მეოთხედფინალის პირველ მატჩში საპატიო და პერსპექტიულ 2:2-ს მიაღწია გრანდთან ბრძოლაში და ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსიც გაიჩინა. სარაგოსაში კი „სევილიას“ ახალი თავკაცის, უნაი ემერის დებიუტი შედგა, იქაც სტუმრებმა მისაღებ ანგარიშს გამოჰკრეს ხელი - 0:0.

უნაის უნარიანი დებიუტი

გასულ უქმეებზე მორიგი წარუმატებლობა აღარ აპატიეს **მიჩელს** და „რეალის“ ლეგენდარული ფეხბურთელის ნაცვლად „სევილიაში“ **უნაი ემერის** უხმეს. „ვალენსიას“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილ მწვრთნელს დებიუტი არაგონში ჰქონდა.

ემერის დებიუტის გარდა, არა გვგონია, ეს თამაში ვინმეს რამით დაამახსოვრდეს - მოსაწყენ შეხვედრაში ყველაზე კარგი მომენტი სტუმარ **ჰედვიგეს მადუროს** ჰქონდა, - თავით ააცილა ბურთი „სარაგოსას“ კარს, როცა გატანა უფრო ადვილი ჩანდა. პირველ ტაიმში ემერის გუნდი სჯობდა მასპინძლებს, მეორეში კი „სევილიაც“ გაჩერდა. პრინციპში, ბასკ მწვრთნელს „სევილიას“ თამაშში რამის შეცვლა არაფრით შეეძლო, მან ხომ მხოლოდ ერთი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა ამ მატჩამდე.

მანოლო ხიმენესი (სარაგოსა): *„მეორე ტაიმში მოგებაც შეგვეძლო, კარგი შანსი ჰქონდა პოშტიგას, რომელმაც პირველში სათანადოდ ვერ ითამაშა. საშინაო მატჩში გოლის გაშვება არ მსურდა და კარგია, რომ ეს თავიდან ავიცილეთ. საპასუხო მატჩის წინ, ვერავინ იტყვის, რომელი გუნდი უფრო კარგ მდგომარეობაშია“.*

უნაი ემერი (სევილია): *„საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა „ღიად“ რჩება. ჩვენ შევუტიეთ და ერთ გოლს ნამდვილად ვიმსახურებდით. დაცვაში სოლიდურად გამოვიყურებოდით“.*

პელეგრინიმ ბარსას საწინააღმდეგო წამალი ივოვა?

„მალაგასთან“ დაპირისპირების წინ „კამპ ნოუ“ ბრწყინვალე ხასიათზე იყო - **ლიონელ მესიმ** თავისი 4 „ოქროს ბურთი“ (მათ შორის, 7 იანვარს მოპოვებული) გამოფინა მინდორზე და ოვაციებიც დაიმსახურა.

თამაში მოკლედ ასე განვითარდა: „მალაგამ“ **ტიაგო ალკანტარას** დაუფიქრებელი ქცევის წყალობით გახსნა ანგარიში, ალკანტარამ მეკარის პასი მიიღო, მაგრამ ზურგს უკან **იტურა** ვერ შეამჩნია და დაისაჯა. „ბარსელონას“ პასუხი იყო სწრაფი და სასტიკი - მესიმ მარჯვენა ფრთაზე გააბითურა ყველა ვინც კი შემოხვდა და ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი კუთხური შესანიშნავი თავურით გუნდის კაპიტანმა, **კარლეს პუიოლმა** დააგვირგვინა. მეორე ტაიმში პედროს წაქცევისთვის მოედნიდან **ნაჩო მონრეალი** მიაბრძანეს, თუმცა 10 კაცით დარჩენილმა „მალაგამ“ აქეთ გაუტანა „ბარსას“, **ნაჩო კამაჩომ** საჯარიმოდან ჩაწოდებულს მიუჩინა **ხოსე პინტოს** კარში ადგილი.

მანუელ პელეგრინის ამ ორი გუნდის წინა (საჩემპიონატო) დაპირისპირებიდან სწორი დასკვნები გამოუტანია - შეუძლებელია, „ბარსას“ მისივე იარაღით ებრძოლო - „მალაგამ“ ზონები გადაკეტა, ძალიან კი უჭირდა მესის და კომპანიის გაჩერება, მაგრამ თუ პირველი ტაიმის 2-წუთიან მონაკვეთს არ ჩავთვლით, „მალაგამ“ მეტოქის გაჩერება მოახერხა და საბოლოოდ იდეალური ანგარიშიც დაიბევა 24 იანვრის საპასუხო მატჩისთვის.

ალექსის სანჩესმა საშინლად ითამაშა, 40 მილიონ ევროდ ნაყიდი ჩილელი ვერ ამართლებს იმედებს და პირველად „კამპ ნოუმ“ დაკარგა მოთმინება და სანჩესს უსტვინა (თუმცა ზოგიერთმა გულშემატკივარმა მაინც სცადა ჩილელის გამხნევება).

ტიტო ვილანოვა (ბარსელონა): *„პირველ და მეორე ტაიმებს შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორიც ცასა და დედამიწას შორის. პირველ ტაიმში ძალიან მაღალ დონეზე ვითამაშეთ, მეტოქის წელში გატეხაც შეგვეძლო. შეცდომებს ფეხბურთში დიდი ფასი აქვთ, თუმცა ჩვენ ამას ვერ ავიცილებთ თავიდან, ტიაგომ გარისკა და შეცდა, თუმცა ასეთი რამ ყოველთვის ხდება. ალექსის სანჩესს შესვენებისას ვუთხარი, რომ იოლად გავუგებ, თუ არაფერი გამოუვა მოედანზე, მაგრამ ვერ ვაპატიებ, თუ ბრძოლას და ცდას დააკლებს. რას ვიზამთ, ყველა თამაშს ვერ მოვიგებთ“.*

მანუელ პელეგრინი (მალაგა): *„ჩემი გუნდისგან ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ პირველი ტაიმის მერე არ დაიბნა და ძალები მოიკრიბა. ამ რაუნდის ბედი საპასუხო მატჩში გადაწყდება. „ბარსელონა“ ჩვენზე კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ და გამოგვივიდა კიდევაც ამ თამაშში მათთვის წინააღმდეგობის გაწევა“.*

ანდრეს ინიესტა (ბარსელონა): *„დასანანია, მაგრამ ეს თასის გათამაშებაა და ყველაფრის გამოსწორება შეგვიძლია - საპასუხო შეხვედრაში უნდა ვიმარჯვოთ“.*

კარლეს პუიოლი (ბარსელონა): *„მალაგა“ არ დანებდა და ბოლომდე იბრძოლა, მიზანსაც მიაღწია. პელეგრინის ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. პირველ ტაიმში ისე კარგად ვთამაშობდით, მეტი უნდა გაგვეტანა. აუცილებლად გავაანალიზებთ ჩვენს შეცდომებს და საპასუხო მატჩში მოსაგებად ვიბრძოლებთ“.*

ლიონელ მესი თამაშის წინ დიდი ნადავლით

● რეალი

ჟოზეს სიახლე: ორდღიანი შვებულება სამეფო კლუბში

მადრიდის „რეალის“ თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** „ვალენსიას“ დამარცხების შემდეგ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო - მან „რეალი“ ორი დღით შვებულებაში გაუშვა!

ჟოზე მიიჩნევს, რომ ფეხბურთელები გადაიღალნენ, მათ ცოტა ხნით საქმისგან მოწყვეტა და ძალების აღდგენა სჭირდებათ. ამის გამო ოთხშაბათს და ხუთშაბათს ისინი მწვრთნელმა გაათავისუფლა.

სხვათა შორის, რამდენიმე ფეხბურთელს მოურინიო მეტი შეღავათის მიცემას უპირებს. პირველ რიგში ეს ტრავმით მოთამაშე **ჩაბი ალონსოს** ეხება, რომელსაც მოურინიო გუნდში უდიდეს პროფესიონალად მიიჩნევს. ბასკი ნახევარმცველი მოურინიომ შეიძლება კვირას არ ათამაშოს, ან სათადარიგოთა სკამზე დატოვოს. შეგახსენებთ, რომ კვირას, „რეალი“ ჩემპიონატის ეგიდით ეწევა „მესტალიას“ „ვალენსიასთან“ სათამაშოდ, 23 იანვარს კი - „სამეფო თასის“.

● ამბები

კაკა მილანში გაფრინდა



კაკა

მადრიდის „რეალის“ 30 წლის ნახევარმცველ **კაკას** „სამეფო კლუბიდან“ წასვლის შესახებ ხმები ბოლო წლებია, არ ნყდება. მას მერე, რაც „ოსასუნასთან“ მატჩში კაკამ თავი 18 წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღებით „გამოიჩინა“, ესპანეთიდან მისი წასვლა უფრო სავარაუდო გახდა.

ესპანური მედია ავრცელებს კაკას კომენტარს, მისი „მილანში“ შესაძლო დაბრუნების შესახებ:

„ჩემთვის „რეალში“ დელიკატური სიტუაცია შეიქმნა, თუ „რეალი“ და „მილანი“ შეთანხმდებიან, მაშინ მე მზად ვარ ნავიდე გარკვეულ მსხვერპლზე, რომ ეს ტრანსფერი განხორციელდეს“, - განაცხადა ბრაზილიელმა.

კაკა მსხვერპლში, სავარაუდოდ, ხელფასის შემცირებას გულისხმობდა. კაკამ **ჟოზე მოურინიოს** მიერ გამოცხადებული 2-დღიანი შვებულებით ისარგებლა და მილანში **რობინიოს** სანახავად გაფრინდა.

ამავე დროს, ბრაზილიის ნაკრებში კაკას ყოფილი თანაკლუბელი **რონალდო** არ გამორიცხავს, რომ „რეალის“ ნახევარმცველი სამშობლოში დაბრუნდეს და „ფლუმინენსეში“ გადავიდეს.

პარეხო სამი ყვირით დაისვენებს

„ვალენსიას“ 23 წლის ნახევარმცველი **დანიელ პარეხო** „სამეფო თასის“ მატჩში „რეალის“ წინააღმდეგ დაშავდა და „ღამურებს“ დაახლოებით 3 კვირით დააკლდება. ფეხბურთელმა მარჯვენა ხელი დაიზიანა. პარეხომ ამ სეზონში 16 მატჩში მიიღო მონანილეობა, გაიტანა ერთი გოლი და გააკეთა 2 საგოლე გადაცემა, ის მსაჯებმა ხუთჯერ გააფრთხილეს.

ნაპოლის 2 ქულა დაუბრუნეს, ლანავარო გაამართლეს

„ნაპოლიმ“ მოიგო სარჩელი, რომელიც გუნდმა მას მერე შეიტანა, რაც მატჩების ჩაწყობასთან კავშირის გამო სამხრეთელებს ჩემპიონატში 2 ქულა დააკლეს. **ვალტერ მაცარის** გუნდს დაუბრუნეს 2 ქულა და ახლა „ნაპოლი“ ლიდერ „იუვენტუსს“ სულ რაღაც 3 ქულით ჩამორჩება. ასევე გაამართლეს ნახევარი წლით დასჯილები: **პაულო კანავარო** და **ჯანლუკა გრავა**.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ბოლო ტრანსფერები ლა ლიგაში

თარ.	ფეხბურთელი	საიდან	სად	თანხა
9 იან.	რესიო	მალაგა	გრანადა	ივჯარა
10 იან.	ხოან ტომასი	სელტა	ლარნაკა	თავ. აგენტი
10 იან.	მიგელ დე ლას კუევასი	სპორტინგი	ოსასუნა	ივჯარა
10 იან.	იონ ეჩაიდე	ოსასუნა	უესკა	ივჯარა
11 იან.	ვალდო (კაგო ვერდე)	ატლანტე	ლევანტე	ივჯარა
11 იან.	ხოსე კასესი	გრანადა	ალკორიანო	ივჯარა
11 იან.	ნური შაჰინი (თურ)	რეალი	დორტმუნდი	ივჯარა
11 იან.	ტიაგო პინტო (პორტ)	დეპორტივო	რიუ ავე	ივჯარა
14 იან.	მარტინ პეტროვი (ბულგ)	ბოლტონი	ესპანიოლი	თავ. აგენტი
14 იან.	გაბრიელ მაჩადო (ბრაზ)	სტიაუა	ვალეკანო	თავ. აგენტი
14 იან.	ხუან კარლოსი	დეპორტივო	უესკა	ივჯარა
15 იან.	როლან ლამბ (ბელგ)	ოსასუნა	სუონსი	ივჯარა
15 იან.	ხუანმი	მალაგა	რასინგი	ივჯარა
16 იან.	ლუკას პიაზონი (ბრაზ)	ჩელსი	მალაგა	ივჯარა

ფეხბურთი ძალიან მოგონაგრა

პეპი მიუნხენელებს ახალ წლამდე შეუთანხმდა!

გვარდიოლას მრჩეველი: პეპისთვის ფულზე მნიშვნელოვანი გუნდის სტრუქტურა და პერსპექტივა იყო!

ბოლო დღეებში ხოსეპ გვარდიოლას მიუნხენის „ბაიერნში" დანიშნა მთელ სადებუტო ვერონაში მთავარი თემა იყო, მაგრამ ოფიციალურ დასტურებამდე მაინც არავის სჯეროდა, რომ 41 წლის ესპანელი სპეციალისტი, რომელმაც „ბარსელონაში" ბრწყინვალე ეტაპი შექმნა და ფეხბურთში ახალი, უკვე ლეგენდად ქცეული სტილი დაამკვიდრა, რეკორდსმაფრქმელ „ბაიერნში" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა...

არა იმიტომ, რომ „ბაიერნი" არ შეეფერებოდა, არამედ იმის გამო, რომ „მანჩესტერ სიტისა" და ლონდონის „ჩელსის" ზღაპრული ნინადადები გვარდიოლასთვის, ლეგიონერად, ულრიხ მამზოდელი ეწოდა ყოფილიყო. თუმცა გაჩნია, რომელ ლეგიონს მივეგებით. თუ პეპისთვის ფული იყო მთავარი, „ჩელსის" უნდა ნასულიყო, ხოლო თუ ესპანელისთვის მთავარი პროფესიონალ იფეალურად ნყობილ და დალაგებულ გრანდის მუშაობა იყო, ასეკი მეშიფვეცი სმოდენ „ბაიერნ" გახდილი იფეალური ვარიანტი.

ყველას ჰკონია, რომ ფული ყველაფერთვის მთავარია და ალბათ ამიტომაც ფიქრობდი მთელი საფეხბურთო საქყარო, რომ პეპი ინგლისში ნავიდოდა - „ჩელსი" ნელინადში 22 მილიონ ევროს სთავაზობდა, „სიტი", საკარაფადოდ, იდდან ნალეტს, მაგრამ როგორც ეჩდადეთ, **გვარდიოლასთვის** ფული ყველაზე მნიშვნელოვანი არ ყოფილა და ამისათვის პეპი სხეანირის დაფასებას ინსახურებს. ცხადია, დიდალი ხელფასი არც „ბაიერნში" ექნება, მაგრამ დაეჭვება, რომ ბავარიელები მას „არაპოლიტკორეტენი" ხელფასს არ გადაუხდიან. ოთხმაგამთის ნიმერში ვნერდით, რომ იტალიური და ინგლისიური პრესა გადნყვეტილი ნერდა, ესპანელ ნასულ „ბარსელონაში" ინიშნებაო და მოუხედავად იმისა, რომ რეკორდმაფარტმა ინ დღეს ეს ინფორმაცია ეჩდა ფალიორი. ულად უარო, დაენერეთ, რომ არსებობდა მიზეზები, რის გამოც ბავარიელი გრანდის ფარაოფა არ უნდა დაგეკვირეთნა. აღმოჩნდა, რომ მარილეთი ეფაფთ, „ბაიერნის" ოფიციალური განცხადება რომ არ დადეკურეთ - მეორე ფლეს მოუხნეფრო გრანდის ოფიციალურმა ვებგვერდმა დანერა, რომ 67 წლის **ოუპ პაინკენი** „ბაიერნთან" კონტრაქტს არ გააგრძელებს და რომ მომავალი სეზონიდან რეკორდმატარებელმა 41 წლის გვარდიოლა ფეხბურთელეფლებს სამწვანან ბიენეფლებს მამწყობდა.

ფეხბურთის ლეგენდა დუკუბგარში ფიდგა!

ყველაზე სანტერესო კი ის არი, რომ გვარდიოლა „ბაიერნს" არა ახლა, არამედ ჯერ კიდევ ახალ წლამდე, დეკემბერში შეუთანხმდა! ანუ, ყველაფერი გაეცალებთ ადრე გადაწყდა და როგორც ჩანს, მუშხენერთო კლუბის ხელმძღვანელებმა ამ დღეებში აბეხილი ალაკოთის გამო იძულებულნი გახდნენ, პაინკენის ნასვლა და გვარდიოლას დანიშვნა დიდეკემბერშე ადრე გაეცხადებინათ. რაც შეეხება დეკემბრის ამბების დეტალებსაც: „ბოლი" ნეოს, რომ პაინკენსა „ბაიერნის" ბოსებს ჯერ კიდევ გაულია ნალის ბოლოს ანიმნა, ეფნსიაზე ეკისკენ მინდათ, რის შემდეგაც მათ „ბარსას" ეფსთაეკენს მიმართეს და ითანხმეს.კიდეკ. გვარდიოლა რეკორდმიატარის ბოსებისთვის თავიდანვე ნიმეტ პირველი კანდიდატი იყო.

მეხანამისდან დადგატერებულია „სკაი იტალიას" მორნოდად ფლნ ნინ გვერეკელებული ცნობაც იმის შესახებ, რომ პეპი ბავარიელებს დიდი ხნის ნინ მოურიგდა. ჩვენი იტალიელი კოლეგები ირმნეფნიდნენ, ესპანელს „მილანის" ბოსებისთვის მუუფელია, თქვენს ნინადადებას ვეღარ გინდოხოვე, რაგაკი მუმაობის გერმანიაში გაგრძელება გადაწყვეტდო.

სნორედ „სკაი იტალია" იტალიანელებდა ბუუნანინნ ნამუადლეესაც, ამ ნოეფბში „ბაიერნის" ოფიცერ ლეუბის ვიეკეპრუზიეტები **კარლ-პაინც რუმენიგე** და პრუზიეტები **ული ჰონესი**, სპორტდირექტორ **მათიას ზამერთან** ერთად, პაინკეს ელაპარაკებიან, რის შემდეგაც გვარდიოლას დანიშნის ოფიციალურად დაადასტურებენ. მოკლედ, ამიერდან, „სკაი იტალიას" ყველა საკეკლეც

სერთნულად უნდა შეეხედოთ!

ბუუნნ კომენტარი გააკეთა გვარდიოლას მრჩეველმა **ხოსე მარია ფორნაგმა**, რომელმაც აღნიშნა, „პეპმა გადაწყვეტილება არა ფულს, არამედ სპორტფელიოს სასარგებლო მიიღო. „გვარდიოლამ ამბავ „ბაიერნ" ამოცმთ ათრნა, რომ მოუხეფრო ლეუბი დაინტერესებენ ეფლ გუნდის შორის საუკეთესო პროგეკტი იყო, - აღნიშნა მან და დასძინა, - „ბაიერნის" მმართველ ყველაზე ტეტრი ფლეფ ნამდვილად არ ეუფლებინა! გუნდის სტრუქტურა, შესაძლებლობები და ფეხბურთელები - აი, ეს იყო პეპისთვის გადამწყვეტი ფაქტორები!"

ფორნაგმა ისიც დადასტურა, რომ პეპი და „ბაიერნის" ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ადგილ ნლამდე შეთანხმებულნ. ზუსტი თარიღი არ ქამხოვს, მაგრამ ფაქტია, რომ გვარდიოლა გერმანელი გრანდის შუფეს დეკემბრის მეორე ნახევარში შეუთანხმდა. მე მეორე, ეს 20 დეკემბერს მოხდა. "

უარი „მილანს", უარი „სიტის", უარი „ჩელსის"! ბავარიელებს კი მისალოცად ავეთ საკენ, რადგან თანამედროვეობის ყველაზე საინტერესო მწვრთნელი ჩადგეს ხელში - გვარდიოლა მოუნხენში მინიმუმ 3 წელი იმუშაებს. მოუხდადად ყველაფრისა, პეპს საუკეთესო სპეციალისტად მაინც არ მოეთხოვნები, რადგან მართალია, ბევრი რამ უკვე დამამტკიცა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ ადეს დასამტკიცებელი - მას ხომ „ბარსას" გარდა არსად უუუშავია. ერთ რამეს კი ნყალო არ გაუვა: „ასეთი მოუხნენის „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად" ძალიან საინტერესო ამბავია!

გიორგი ლენცი

მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ბავერელდა ინფორმაცია, რომ ხოსეპ გვარდიოლა მომავალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდება. „ბარსელონას" ყოფილი დამრიგებელი 7 ინვარს ციურიხში, „ოქროს ბურთის" დაჯილდოების ცერემონიაზე იმყოფებოდა, სადაც ფიფას ოფიციალურ საიტს საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა...

- პეპ, თქვენ "ფიფას ოქროს ბურთის" გალა ნარმოდგენის მუდმივი სტუმარი ხართ. რა დამოკიდებულება გაქვთ ამ დაჯილდოების მიმართ?

- როგორ გიფიხათ, მწვრთნელი ინსისეთის არ ხდები, რომ მეშედგა ასეთ დაჯილდოებაზე მოხვედ, მაგრამ ეს მაინც ძალიან დიდი პატივია. მე ვამაყობ ამით, რომ უკვე ზედიზედ მესამედ ვარ ნომინირებული. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეზე უკეთესი ვარ, უბრალოდ მე გამიმარჯვა, რადგან ძალიან ძლიერი და კარგი გუნდის მწვრთნელი ვიყავი, რამაც ამ მოხეკეფის საშუალება მომეცა.

- როდესაც თქვენ "ბარსელონა" დატოვეთ, განაცხადეთ, რომ სიცარიელეს გრძნობდი. ახლა როგორ ხართ?

- ახლა კარგად ვარ. ბოლო ოთხი წელი მართლაც ძალიან რთული და დატვირთული იყო და შესაბამისად მჭირდებოდა. ეს ექნი თვე შესანიშნავი იყო - ჩვენ ერთად ბევრი დრო გავატარეთ და უამრავი ახალი რამ აღმოვაჩინეთ. არ დავგიანდეთ, მე მხოლოდ 41 წლის ვარ, რაც მწვრთნელთვის საკმაოდ ახალგაზრდული ასაკია. საქმისათვის ნელს ეუცილებლად დავუთრგდები.

- ნოე ორაუნი ცხოვრებამ ფეხბურთისაგან დასვენების საშუალება მოგცაო?

- როდესაც ფეხბურთელი ან მწვრთნელი ხარ, სულ ფეხბურთზე ფიქრე ფიქრი. ამშ კი ის ადგილია, სადაც ფეხბურთი საორმის პირველი სახეობა არ არის. ნოე ორაკუნ 14 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ყველა თავის საქმეს აკეთებს. ჩვენც ვცდილობდეთ, რომ ახალი გამოცდილება მიგვეღო და იქ გაგტარებული თითოეული წუთით ბეკესიამოვნა.

- იქ ქუჩაში მშვიდად შეგაქცევთ სიარული და არავინ გაგიხეფდათ?

- მეწყენებით ბარსელონაშიც არავინ მანუხებდა, თუმცა ნოე ორკუნ შესანლია მთელი დღე იარო და ეერავინ შეგაჩნიოს.

- ფეხბურთის რომელი კომპონენტი მოგეწყარო ყველაზე მეტად?

- მე თავად ფეხბურთი მომეწყარა. მოხეხაგრა ფიერ მეგოუს ტატეკაზე, ჩემი ეკიფის ტატეკაზე, ფეხბურთელეფის სალაკეკეიაზე და ჩემიფის დამარცხების გზებზე. სხეა არაფეის ქეს ჩემთვის მნიშვნელობა, მთავარი თამაშია და ფეხბურთის ეს კომპონენტები, რომელთა გამოც ვარ კიდევეც მწვრთნელი.

- "ბარსელონაში" მიღნეული წარმატების გამო, ახლა თქვენგანან დიდი მოლოდინია. ეს თქვენთვის დამატებითი ზეწოლაა?

- კი, მაგრამ მე არაფერს შევეცალდი. მორჩენია, ჩემგან დიდი მოლოდინი ქონდეთ, ეიდე არაფერს ელოდენენ და მე ხალხის გულის მოგება მინეეფდეს. როდესაც "ბარსელონაში" ვიყავი, ეკულესმაგლერების 86-87 პროცენტს ჩემი არ სჯეროდა და ჩემი მთავარ მწვრთნელად ხილეკ არ სურდა, მაგრამ სამთლიანად ყველაფერი ძალიან კარგად დასრულდა.

- მოდი ბერლიდში, თქვენ შესახებ ბევრი ჭორი გავრცელდა. გვარდიოლას სახელს უამრავ კლუბს და ბრაზილია-არგენტინის ნაკრებებსაც კი უკავშირებდნენ. იგებდით თუ არა, ამ ამბების შესახებ ნოე ორკენ?

- ადრე ეს ბერლინში იქნე ბოდა, მაგრამ ჩვენს ეგოისტნი, როდესაც ტექნოლოგიები ასეა განვითარებული, ინფორმაციისა მიღება არანაირ პრობლემას არ ნარმნოდა. ეს ალბათ ეკ ამ მხოლოდ ჩემზე ეკიფეცეეზეთ ინფორმაციას არ ვეუფლებოდა. ინფორმაციის ნარეცხი ეკ ეკ ეკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიგურული ციგურაობა

მარცხნიდან: სალომე ჩიგოგიძე, ოტავიო ჩიკვანტო (ციგურაობის საერთაშორისო გაერთიანების პრეზიდენტი), მაკა გიორგობიანი

ევროპით იწყებენ

ზაგრები (ხორვატია) 22-დან 27 იანვრამდე ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ქართველი სპორტსმენებიც ჩაებმებიან. 23 იანვარს სპორტულ ცეკვებში ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა იასპარეზებენ, ორი დღის შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილი გამოვა ყინულზე მოკლე პროგრამით. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მზადების შესახებ გუშინ ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ მაკა გიორგობიანს ვესაუბრეთ.

- ახალი სეზონის სტარტი ელენე გედევანიშვილმა შარშან იაპონიაში აიღო, სადაც მასპინძლების, ევროპისა და ამერიკის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ელენე ევროპის ნაკრებში გამოდიოდა ევგენი პლუშჩენკოს და ალიონა ლეონოვასთან ერთად. ქართველმა მოციგურავემ გრან პრის ეტაპებზეც მოსინჯა ძალები კანადასა და იაპონიაში. ბრაიან ორსერის ხელმძღვანელობით გედევანიშვილმა ამ ჩემპიონატისთვის ახალი მოკლე (ჯონ უილიამსის „შინდლერის სია") და თავისუფალი (ლეონ მინკუსის „დონ კიხოტი") პროგრამები მოამზადა, რამაც საერთაშორისო ტურნირებში გულშემატკივრების მონონება დაიმსახურა.

ზაგრებში იასპარეზებს ჩვენი მოცეკვავეთა წყვილიც. 2011 წლის მარტში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ოთარ ჯაფარიძისა და ელისონ რიდის დუეტი დაიშალა. ოთარმა თავის მწვრთნელთან - ოლიმპიურ ჩემპიონ ოლეგ პლატოვთან დაიწყო მუშაობა ნიუ ჯერსის შტატის ნიუ ვარკში. 2012 წლის მაისში პლატოვისვე ინიციატივით ყინულზე ცეკვებში ოთარ ჯაფარიძეს ანგელინა ტელეგინა შეუწყვილდა. შარშან წლის ბოლოს მათ ბრატისლავას და ზაგრების სალიცენზიო ტურნირებში იასპარეზეს და ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად სარეიტინგო ქულები მოაგროვეს...

საგულისხმოა, რომ კონტინენტის პირველობაზე მსაჯად არის მიწვეული ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **სალომე ჩიგოგიძე**. იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ერთეულებში, 1998-1999 წლებში ევროპის ჩემპიონატებზეც იასპარეზა. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ მსაჯობა დაიწყო. 2003 წლიდან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია, გრან პრის ტურნირებსა და სხვადასხვა შეჯიბრებაში უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა, ბოლო წლებში საერთაშორისო არბიტრის უმაღლესი კატეგორია მიენიჭა როგორც სპორტულ ცეკვებში (2009), ისე ქალვაჟთა და წყვილთა სრიალში (2011), რითაც ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მსაჯობის უფლებაც მიიღო. დებიუტი შარშან ჰქონდა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე. წლეულს მეორედ მიიწვიეს.

ვაჟა დანელია

ჭიდაობა. მეტოქე

ბაროევი რჩება

უნდა ეშინოდეთ თუ არა ამის ქართველებს?

რობერტ ირკვევა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰასან ბაროევმა (120) სპორტიდან წასვლა გადაიფიქრა. ამის შესახებ მედიას რუსეთის ამ სტილის მოჭიდავეთა ნაკრების ქართველმა მთავარმა მწვრთნელმა გოგი კოლუაშვილმა განუცხადა. „ჩვენ ვესაუბრეთ ჰასანს. მან გვითხრა, რომ სპორტიდან წასვლას არ აპირებს და აგრძელებს ვარჯიშს რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში. ეს ძალიან კარგია, რადგან მისი გამოცდილება დიდად წაადგება ახალგაზრდა სპორტსმენებს. ყველაფერთან ერთად, ბაროევი ჩვენი ნაკრების კაპიტანია" - განაცხადა კოლუაშვილმა.

31 წლის ოსი მძიმეწონოსანი ბაროევი სპორტიდან წასვლაზე ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ ალაპარაკდა, სადაც მას მორიგი გაწბილება ელოდა - პირველივე შეხვედრა რუსეთიდან სომხეთში გადაბარგებულ ევროპის ოთხგზის ჩემპიონთან, მსოფლიოს ვერცხლისა და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსან **იური პატრიკეევთან** დათმო და გავარდა. ბოლო ხანებში სულ უფრო ბევრს ლაპარაკობენ, რომ რუს „თავისუფლებს" მძიმე წონაში საკადრო კრიზისი აქვთ, მაგრამ მათი პრობლემა არაფერია ბერძენ-რომაელთა საკადრო გასაჭირთან შედარებით, სადაც ეს ყველაფერი ბევრად ადრე დაიწყო და ავბედითი პროცესებიც ბევრად ერთაშორისო ასპარეზს თავი დავანებოთ და შიდა კონკურენციის დაძლევაც სულ უფრო უჭირდა - ევროპის პირველობებზე ნაკრებში მოხვედრას თუ ახერხებდა, 2011-ში მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატში ალექსანდრ ანუჩინმა იასპარეზა, თუმცა იმანაც - უშედეგოდ. სწორედ ამის შემდეგ უხმეს სალიცენზიო ტურნირებში ბაროევს და ისიც ოლიმპიური მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტა...

გოგი კოლუაშვილი (მარცხნივ) და ჰასან ბაროევი

რუსეთის ნაკრები ახლა ფრიად მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ემზადება - 19-20 იანვარს ტიუმენში გასამართი ივან პოდდუბნის მემორიალისთვის. საჭიდაო სამყაროში ეს ფრიად ავტორიტეტული შეჯიბრებაა, რუსებისთვის კი ის მთავარი შესარჩევია ევროპის პირველობისთვის, თუმცა ბაროევი მას გამოტოვებს. როგორც რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნებული კოლუაშვილის სიტყვებიდან ირკვევა, ბაროევს ოპერაცია გაუკეთებია და ახლა სარეაბილიტაციო პერიოდს გადის, მისთვის პირველი სტარტი კი მაისის ბოლოს პეტერბურგში გასამართი რუსეთის პირველობა იქნება -თავის მხრივ, ის შეჯიბრება მსოფლიოსთვის შესარჩევია.

შორს წავიდა - ბაროევის გარდა სხვა მეტ-ნაკლებად ღირებული ფალავანი არც ჰყავთ. კრიზისს ისიც ადასტურებს, რომ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება ფრიად გაუჭირდათ და საწადელს ისევ ბაროევმა მიაღწია ბოლო სალიცენზიო ტურნირზე. არადა, მისი მზეც თანდათან ესვენება იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორ წელიწადში, თუმცა ორივე დათმო. ათენის ოლიმპიადის ჩემპიონს განსაკუთრებით პეკინის თამაშების შემდეგ გაუჭირდა - ფინალში კუბელ **მიჯაინ ლოპეს ნუნიესთან** მარცხის შემდეგ წელის ტრავმამ შეანუხა და ლამის ორი წელიწადი გაუცდა. 2010-ში დიდ სპორტს კი დაუბრუნდა, მაგრამ საპროგნოზოს გავბედავთ და ვიტყვით, რომ ბაროევის დარჩენა ჩვენებისთვის დიდად საშიში არ გვგონია. ჯერ არც ისაა გარკვეული, ჩვენს ნაკრებში ვინ ჩაიბარებს მძიმე წონის ლიდერობას - ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანი **გურამ ფერსელიძე,** ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **შოთა გოგისვანიძე** თუ სხვა, მაგრამ აშკარად მორყეული და ცოტა მობერებული ბაროევი მათთვის დაუმარცხებელი არ უნდა იყოს... ტრავმებით გატანჯულ გოგისვანიძეს იქნებ ჯერ კიდევ გაუჭირდეს მასთან პაექრობა, მაგრამ ფერსელიძემ რა ფიზიკური მომზადებაც, რა გდებებიც სალიცენზიო ტურნირებში თუ აშშ-ში „ქერბის თასზე" აჩვენა, დღევანდელ ბაროევთან პრობლემები არ უნდა შეექმნას. მთავარია, ჩვენებმა სრულყოფილად მომზადება და საკუთარი შესაძლებლობების გამოყენება შეძლონ, რასაც ხშირად ვერ ახერხებდნენ.

კოლუაშვილის გაკვეთილი ქართველებისთვის

ზემოთ პოდდუბნის მემორიალი ვახსენეთ და კოლუაშვილის ერთი გადაწყვეტილება ფრიად ნიშანდობლივია ქართული რეალობისთვის - მთავარი მწვრთნელი ბაროევის გარდა, შეღავათს არავის აძლევს და მისი მკაცრი მოთხოვნით, ლონდონის ოლიმპიადის უკლებლივ ყველა მედალოსანი იჭიდავებს: ჩემპიონები - **რომან ვლასოვი** (74) და **ალან ხუგაევი** (84), ვიცე-ჩემპიონი **რუსტამ ტოტროვი** (96) და ბრინჯაოს პრიზიორები, **მინგიან სემენოვი** (55) და **ზაურ კურამაგომედოვი** (60).

ეს მაგალითი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რომ სამწუხაროდ, აქ წარმატებულ სპორტსმენებს ხშირად აძლევდნენ შეღავათებს და შიდა ტურნირებში არ აჭიდავებდნენ, რასაც ცუდის მეტი არაფერი მოუტანია.

ამ ფაქტში კიდევ ერთი ნიშანდობლივი მომენტია - ლეგენდარული **ალექსანდრ კარელინის** აღმზრდელ **ვიქტორ კუზნეცოვის** მორიგი ტალანტი შეგირდი რომან ვლასოვი 22 წლისაა, თუმცა სამხედრო სამსახურს ახლა გადის და მშობლიურ ნოვოსიბირსკში სპეცნაზ „ერმაკში" მსახურობს. ჯარში ის ჩვეულებრივად ვარჯიშობს და ემზადება წლევანდელი სანაკრებო ბატალიებისთვის. სამწუხაროდ, ამას ჩვენი ჯარისკაცი სპორტსმენები მოკლებულნი არიან - ქართულ არმიაში მათ ვარჯიშის საშუალება არ ეძლევათ და სპორტს მოწყვეტილნი არიან. ცხადია, ეს მათ კარიერას დიდ ზიანს აყენებს, საერთოდ თუ არ აფერხებს. თან ეს პაუზა სპორტისთვის გარდამავალ ასაკში ხდება, როცა დამწყები ათლეტი სპორტსმენად ყალიბდება, ამ დროს კი ყოველი გაცდენილი დღე ავბედითად მოქმედებს მასზე. სახელმწიფომ როგორმე ეს პრობლემა უნდა გადაჭრას.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

ორ ფრონტს ვერ გასწვდა

თბილისელი ჩოგბურთელი **სოფიო ქვაცაბაია** ანთალიის საერთაშორისო ტურნირში ერთდროულად ორ ფრონტზე ცდიდა ძალებს. ერთეულთა თანრიგში ჩვენებურმა ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია (დუნია სანკიჩსა და მი იოოს) და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც, როგორც გაუწყეთ, ბელგიელ ბოეიკენსს დაუპირისპირდება.

წყვილთა პაექრობაში ქვაცაბაია ბულგარელ ისაბელა შინიკოვას შეუამხანაგდა. სტარტზე ისინი თავისუფალი იყვნენ, გუშინ მეოთხედფინალში კი რეკა-ლუკა იანის (უნგრეთი) და ნასტია კოლარის (სლოვენია) დუეტს შეხვდნენ. პირველი ხელი სოფიომ და მისმა მეწყვილემ 7:6 მოიგეს, მომდევნო ორი კი დათმეს - 2:6, 2:10 და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

ვაჟა დანელია

სოფიო ქვაცაბაია

სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

ტოჩინოშინის პირველი მარცხი

იანვრის ბაშოს მე-5 დღეს კარიერის რეკორდი ვერ დაამყარა **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**), ზედიზედ 4 გამარჯვების შემდეგ, ჩვენებურმა მონღოლ **ტოკიტენკუსთან** წააგო ორთაბრძოლა. მონღოლმა მოულოდნელად სასტარტო დაჯახებას აარიდა თავი, მართალია, ტოჩინოშინმა თავი შეიმაგრა, მაგრამ ტოკიტენკუმ ოშიდაშის ილეთით ის დოჰიოდან გაიყვანა. ლევანს 4-1 ბალანსი აქვს, მისი მომდევნო მეტოქე ოსი ფალავანი არანია, ვისაც ურთიერთშეხვედრებში 7:5-ს უგებს.

წააგო **თეიმურაზ ჯულელმაც** (**გაგამარუ**). ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტს ბრაზილიელმა **კაისეიმ** მოუგო. ქართველმა შეუტია, მაგრამ ბრაზილიელმა ფეხით კონტრილეთი ჩაუტარა. გაგამარუს 2-3 ბალანსი აქვს და მე-7 მაეგაშირა **ტაკაიასუს** ხვდება (3:1 ურთიერთშეხვედრებში ჩვენებურის სასარგებლოდ).

ჰაცუ ბაშოს 5-5 მოგებით დიდი ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** და მე-10 მაეგაშირა **კიტატაიკი** ლიდერობენ.

V დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტოიოჰიბიკი (უვატედაშინაგე), კისენოსატო-მიოგირიუ (ოშიდაში), კაკურიუ-ტოიონოშიმა (ცუკიდაში), გოეიდო-კოტოოშუ (სუკუინაგე), ამინიშიკი-კოტომოგიკუ (ჰატაკიკომი), ბარუტო-შოჰოზანი (უვატენაგე), არანი-კიოკუტენპო (იორიკირი), კაისეი-**გაგამარუ** (ცუკიოტოში), ტოკიტენკუ-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში).

საბურნირო მდგომარეობა

5-0: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კიტატაიკი (მაეგაშირა 10)... 4-1: ტოჩინოშინი (მ 6)... 2-3: გაგამარუ (მ 4).

VI დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაგფუჯი-შოჰოზანი, ჰაკუჰო-კიოკუტენპო, ბარუტო-კაკურიუ, კოტოოშუ-კაისეი, კოტომოგიკუ-მიოგირიუ, კისენოსატო-ტოიოჰიბიკი, გოეიდო-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-ტოიონოშიმა, **ტოჩინოშინი**-არანი, **გაგამარუ**-ტაკაიასუ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● წერილი „ლელოს“

დაუბრუნეთ ხელბურთს სპორტული კომპლექსი!

ქართული ხელბურთის საამაყო ტრადიციებს საფუძველი 1956 წლიდან ჩაეყარა, როცა თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი სსრ კავშირის ჩემპიონატში ჩაება. 1962 წელს კი საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი გაიმართა და პირველი ჩემპიონი თბილისელთა გუნდი გახდა. ორი წლის შემდეგ „ბურევესტნიკმა“ კვლავ გაიმეორა ეს წარმატება, სამჯერ კი ჩემპიონატი პრიზიორმა დაასრულა. იმ თაობის ხელბურთელებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. 1968 წელს მსოფლიო უნივერსიადა მოიგეს **ჰამდო ფხაკაძემ** და **ალექსანდრე ხუციშვილმა, ალექსანდრე ანპილოგოვი** კი ოლიმპიური ჩემპიონი (1976) და მსოფლიოს ჩემპიონი (1982) გახდა.

აი, ამ და სხვა წარმატებებმა ქართული ხელბურთის მესვეურებს მისცა სტიმული მოეთხოვათ საკუთარი სპორტული კომპლექსი, რაც რეალობად იქცა - გლდანში გაშენდა ხელბურთის შესანიშნავი ხუთდარბაზიანი ბაზა საკუთარი სასტუმროთი და კვების ბლოკით, ტარდებოდა შეჯიბრებები. კომპლექსს ეწოდა ჩვენი ლეგენდარული ხელბურთელის, ჯემალ ცერცვაძის სახელი.

ზემოთქმული იმიტომ გავიხსენე, რომ საზოგადოებას შევახსენო ის დამსახურება და სარგებელი, ხსენებულმა კომპლექსმა რომ მოუტანა ქართულ ხელბურთს. სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი მოგონებად დარჩა. კომპლექსი გასხვისდა, რითაც ქართულმა ხელბურთმა თითქმის სასიკვდილო დარტყა მიიღო.

დღეს, როცა სამართლიანობის აღდგენის დრო დადგა, მინდა ყველას, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ევალება, ჩვენი და ჩვენი მომდევნო, დღევანდელი და მომავალი თაობების ხელბურთელთა სახელით მივმართო ერთადერთი თხოვნით: დაუბრუნეთ ხელბურთს თავისი სპორტული კომპლექსი!

ჯანსუღ ბაგრატიონი,
ვეტერანი ხელბურთელი,
დამსახურებული მწვრთნელი



მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ხელბურთელს, მონრეალის 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონსა და ვერცხლისმედალოსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერს **ალექსანდრე ანპილოგოვს** და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

● თარიღები და მოვლენები

18 - 19 იანვარი

18. 1954 წ. დაიბადა **ალექსანდრე ანპილოგოვი** - ხელბურთი.

18. 1972 წ. დაიბადა **გიორგი ჯინჭველაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა.

18. 2008 წ. ზურაბ საკანდელიძის და **მიხეილ ქორქიას** მემორიალის ფინალში „თბილავიამშენის“ კალათბურთელებმა მოუგეს რუსთავის „ენერჯი-ინვესტს“ 80:78.

19. 2006 წ. ფიგურულ ციგურაობაში **ელენე გედევანიშვილმა** V ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატში.

19. 1971 წ. სამბოსა და ძიუდოს ერთიანმა საკავშირო ფედერაციამ პირველად 1970 წლის შედეგების მიხედვით გამოავლინა რესპუბლიკების, ქალაქების და მწვრთნელთა საუკეთესო ათეულები. რესპუბლიკებში რსფსრ-ის შემდეგ მეორე ადგილზე საქართველო გავიდა, ქალაქებში მოსკოვის შემდეგ ასევე მეორე ადგილი ხვდა თბილისს, მწვრთნელთა ათეულს კი სათავეში ჩაუდგა **ბიძინა მაზიაშვილი,** მესამე იყო **გურამ პაპიტაშვილი.**

● ჭადრაკი

ფურცელაძემ ლიდერობა შეინარჩუნა

მაკა ფურცელაძე

ტალინში დასასრულს უახლოვდება პაულ კერესის საჭადრაკო მემორიალი, რომელიც ორ წრიულ ტურნირს აერთიანებს. შეჯიბრებაში ქართველებიც მონაწილეობენ.

A ტურნირში დიდოსტატი **მაკა ფურცელაძე** ასპარეზობს. მე-7 ტურში იგი შავი ფიგურებით მასპინძელ ოტომარ ლანდას შეუთანხმდა ყაიმზე და 5 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. გუშინ ასევე დაზავდნენ: მიხაილ აგაპოვი (ფინეთი)-პაველ დრუგოვი (რუსეთი), ანდრეი შიშკოვი (ესტონეთი)-ალექს ანჟუხინი (რუსეთი), ტომას ლაურუსასი (ლიტვა)-მარკ ლაპიდუსი (ესტონეთი), ხოლო დინა ბელენკაიამ (რუსეთი) იგორ შვირჟოვი (ესტონეთი) დაამარცხა.

შვიდი ტურის შემდეგ: ფურცელაძე-5, ლანდა-4.5, დრუგოვი, ბელენკაია, შვირჟოვი-4-4, ანჟუხინი, შიშკოვი-3.5-3,5, ლაპიდუსი-2.5, ლაურუსასი, აგაპოვი-2-2 ქულა. მე-8 ტურში ითამაშებენ: ანჟუხინი-ლაპიდუსი, ფურცელაძე-ლაურუსასი, დრუგოვი-ლანდა, ბელენკაია-აგაპოვი, შიშკოვი-შვირჟოვი.

B ტურნირში ვარლამ ვეფხვიშვილი უწევს მეტოქეობას სამი ქვეყნის წარმომადგენლებს. გუშინდლამდე იგი ლიდერთა შორის იყო, მაგრამ მე-7 ტურში მარცხის შემდეგ მე-4 ადგილზე გადაინაცვლა - ჩვენებურს ესტონელმა სანდერ კუკმა აჯობა, არადა, ვეფხვიშვილს შუა თამაშში მოსაგები პოზიცია ჰქონდა. გუშინ დანარჩენი პარტიებიც შედეგიანი აღმოჩნდა: ილია სიროში (ესტონეთი)-ვალენტინა ფედოსეევა (რუსეთი) 1:0, კესტუტის კაუნასი (ლიტვა)-იური მალინინი (რუსეთი) 0:1, მონიკა ციგანოვა (ესტონეთი)-კირილ ჩუკავინი (ესტონეთი) 1:0, გეორგ აბოზენკო (ესტონეთი)-ჰენრიკ ჰაავამაე (ესტონეთი) 1:0.

შვიდი ტურის შემდეგ: კუკი, სიროში-5.5-5.5, მალინინი-5, ვეფხვიშვილი, კაუნასი-4.5-4.5, აბოზენკო-3, ფედოსეევა, ჰაავამაე, ციგანოვა-2-2, ჩუკავინი-1 ქულა. მე-8 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ფედოსეევა-აბოზენკო, მალინინი-სიროში, ჩუკავინი-კაუნასი, ვეფხვიშვილი-ციგანოვა, კუკი-ჰაავამაე.

ვაჟა დანელია

● ქორქია-საკანდელიძის მემორიალი. მესამე დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა გამყრელიძე ზეზვა ლილუაშვილს გაურბის

დინამოს ომახიანი სიგყვა: არმია დავამარცხეთ!

ბოლოდან უნდა დავიწყოთ. გუშინდელი დღის მეოთხე მატჩში ერთმანეთის პირისპირ „არმია“ და „დინამო“ წარდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა რიგები იანვარში ხუთმა კალათბურთელმა დატოვა, მაინც ძლიერი შემადგენლობა დარჩა და დინამოელებთან ფავორიტის სტატუსით გავიდა.

თავის მხრივ **ირაკლი ხოშტარიას** შეგირდებსაც აქვთ ამბიციები - „დინამო“ ხომ ლეგიონერების, გამოცდილი ქართველებისა და ახალგაზრდების კარგი ნაზავია. „ნარინჯისფრებმა“ არმიელებს თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და 8 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა მეორე პერიოდში **კოტე ტულუშის** გუნდს ზონურმა და ამავე დროს აგრესიულმა დაცვამ შედეგი მოუტანა და დიდი შესვენების წინ ანგარიში გათანაბრდა. შედეგიანად ირჯებოდა **ლაშა გამყრელიძე,** რომელმაც საბოლოოდ 15 ქულას 9 მოხსნა და 7 პასი „შეუამხანაგა“.

მესამე ათწუთეულის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში შეხვედრის ბომბარდირმა, დინამოელმა **ბექა ჩიკვილაძემ** ზედიზედ 8 ქულა (ორი სამქულიანი, ერთი ორიანი) ჩააგდო და 63:56, მისი გუნდის სასარგებლოდ. წუთშესვენების შემდეგ „არმია“ პრესინგზე გადავიდა და მეტოქეს პერიმეტრიდან ზუსტად ტყორცნა გაუჭირდა. შესაბამისად ძალოვნებმა 8:0 გაქცევა მოანყვეს და **ბექა წივნივაძის** ზუსტი ტყორცნის შემდეგ 64:63 დანინაურდნენ. მან დარჩენილ დროში კიდევ არაერთხელ გაიბრწყინა, პირველი სამქულიანით „არმია“ 67:64 დაანინაურა, ხოლო სირენამდე 37 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა - 75:75. მანამდე არანაკლებ მნიშვნელოვანი სამიანი გამყრელიძემ გამოიყენა.

შეხვედრის გადამწყვეტი ტყორცნა კი დინამოელი ლეგიონერის ანგარიშზე ჩაინერა: საფინალო ზარამდე 18 წამით ადრე **ლამარ კარიმმა** სამქულიანით საბოლოო ანგარიში დაფიქსირა - 78:75.

ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენ „დინამომ“ დიდი ნაბიჯი გადადგა, თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა, მას და „არმიას“ „ოლიმპთან“ სერიოზული ბრძოლები ელით...

მეორე ჯგუფში კი ფავორიტებმა პირველი ტაიმები დათმეს. თსუ-მ „შსს აკადემიასთან“ მატჩი კარგად დაიწყო, ისევე, როგორც „სოხუმმა“ - „რუსთავთან“, თუმცა საქმის გამარჯვებამდე მისაყვანად სტუდენტებსა და სოხუმელებს გამოცდილება არ ეყოთ.

ვაჟა სიმონიშვილი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ოლიმპის ახალწვეული მარტინას ანდრიუკაიტისი

17 იანვარი

სტუ-ოლიმპი 58:76

17:17, 13:14, 10:27, 18:18

სტუ: ჩაჩიბაია (6ქ, 6პ), თევზაძე (6ქ), კორკოტაძე (12ქ, 8მ), ლ. მინაშვილი (5ქ), მაჩალაძე (4ქ, 7მ, 4ჩ), პირველაშვილი (17ქ, 5მ), დ. დვალიშვილი (1ქ), კუჭავა (5ქ), ქორიძე (2ქ).

ოლიმპი: გულისაბედაშვილი (5ქ, 3პ), ტომარაძე (12ქ, 7მ), სოკი (8ქ, 8მ, 3პ), ბერიშვილი (14ქ, 10მ, 3პ), ფაცაცია (12ქ, 11მ, 5პ, 3დ), ცირეკიძე (1ქ), ლობჟანიძე (5ქ), მილოშევიჩი (12ქ, 12მ, 3პ, 4დ), ანდრიუკაიტისი (7ქ, 5მ).

თსუ-შსს აკადემია 62:75

20:12, 17:12, 14:27, 11:24

თსუ: გ. ბაქაძე (1ქ, 3პ), ასელაინი (6ქ, 9მ), კოხრეიძე (2ქ), თავამაიშვილი, ტეტელაშვილი (6ქ, 3პ), კობიძე, თვაური (5ქ), ნ. ბაქრაძე, ბერუაშვილი (19ქ), ჩქარეული (15ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), ხიზანიშვილი, ნოზაძე (8ქ, 9მ).

შსს: ჩიტაშვილი (5ქ), ვონი (19ქ, 6მ, 5პ, 4ჩ), როგავა (2ქ, 3ჩ), ბოქოლიშვილი (8ქ), ლონდარიძე (13ქ, 6მ), ისიანი, პრევიტი (3ქ), იმნაძე, ლომოური (2ქ), ანთაძე, ბექაური (2ქ), არჩიბეკი (21ქ, 9მ, 3პ).

რუსთავი-სოხუმი 80:72

21:26, 17:20, 15:17, 27:9

რუსთავი: ბოუი (17ქ, 4პ, 5ჩ), ცეკავა (18ქ, 4პ), ვატადი, აბაიშვილი, ნელსონი (9ქ, 12მ), ჭოჭუა (20ქ, 6მ, 3ჩ), ტუჯანი (6ქ, 5მ), ათანელიშვილი (4ქ), მაჭავარიანი, ხმელიძე (6ქ).

სოხუმი: მეგენეიშვილი, ბულიავა (1ქ), ჩლაიძე (29ქ, 3პ), კოპალიანი (6ქ, 7მ), შვანგირაძე (9ქ, 5მ), დეკანოიძე (8ქ, 5მ), ბაკაშვილი (8ქ, 9პ, 3ჩ), ქადარია (11ქ, 12მ).

არმია-დინამო 75:78

21:26, 16:11, 19:21, 19:20

არმია: გამყრელიძე (15ქ, 9მ, 7პ), ბაბიაშვილი (10ქ), ა. ბოისა (10ქ, 8მ), უგრეხელიძე (2ქ, 5მ), წივწივაძე (11ქ, 4მ), საყვარელიძე (8ქ), შარაბიძე (7ქ, 9მ), ჯგერენაია (9ქ, 9მ), ფარღალავა (3ქ).

დინამო: კარიმი (12ქ, 5პ), ჩიკვილაძე (23ქ, 5მ, 3პ), ლილუაშვილი, კობაიძე (2ქ0, ნინიაშვილი (7ქ, 6მ), კეიდია (13ქ, 6მ), ორმოცაძე (2ქ), გელაზონია, კლაიმენი (17ქ, 6მ), ღუდუშაური (2ქ).

A ჯგუფი

გუნდი	თ	მ	ნ	ქ
1. არმია	3	2	1	5
2. ოლიმპი	2	2	0	4
3. დინამო	2	2	0	4
4. სტუ	3	0	3	3
5. სამედიცინო	2	0	2	2

B ჯგუფი

გუნდი	თ	მ	ნ	ქ
1. შსს აკადემია	1	1	0	2
2. რუსთავი	1	1	0	2
3. სოხუმი	1	0	1	1
4. თსუ	1	0	1	1

TimeLine

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, რუკაზე ვინ მიპოვის რუსეთის?

ბრივეტ! - ასე გვესალმება „ბრუკლინ ნეთსის“ კალათბურთელი **მარშონ ბრუკსი**, რომელმაც **თორნიკე შენგელიასა** და სხვა თანაგუნდელებთან ერთად სახალისო პროექტში მიიღო მონაწილეობა. ჟურნალისტი ბრუკლინელებს რუსეთის შესახებ ეკითხებოდა (შეგახსენებთ, რომ გუნდის მფლობელი რუსი **მიხაილ პროხოროვია**).

პირველი კითხვა ასე ულერდა:

- როგორ ესალმებიან რუსულ ენაზე?

მარშონ ბრუკსმა, **რეჯი ევანსმა** და **ბრუკ ლოპესმა** მხრები აიჩეჩეს.

- პრივეტ!

ევანსი: - What?

ბრუკსი: - ბრივეტ. იოლი სათქმელი ყოფილა.



ჟურნალისტმა მსოფლიოს რუკა გაშალა და კალათბურთელებს რუსეთის მოძებნა სთხოვა. **ტაიშონ ტეილორს** მხარში თორნიკე შენგელია ამოუდგა და რომ შეატყო, თანაგუნდელს რუსეთის პოვნა გაუჭირდა, იდაყვზე ხელი მოჰკიდა და პირდაპირ „მოსკოვში მიიყვანა“.

მარშონ ბრუკსმა ჯერ ყაზახეთი შემოხაზა, შემდეგ ჩინეთი... უფრო ჩრდილოეთით, მიანიშნა ჟურნალისტმა და მარშონიც ბოლოს-დაბოლოს რუსეთში „აღმოჩნდა“. არადა იგი სექტემბერში ანდრეი კირილენკოსთან ერთად მოსკოვში გამართულ კემშში მონაწილეობდა.

ლოპესსა და ევანსს არაფერი შეშლიათ - გეოგრაფიის ცოდნა გამოავლინეს.

ბრუკლინელებს ჩიბურაშკა წარმოუდგინეს და მისი ვინაობა ჰკითხეს:

ევანსი: - რუსული „სპანჩ ბობი“ იქნება.

ლოპესი: - ღრუბელს ჰგავს, მაგრამ ფაფუკია. ვერ ვხვდები...

ბრუკსი: - ასეთი რამ პირველად ვნახე. საინტერესო ცხოველია.

- მისი სახელია ჩიბურაშკა.

ევანსი: - ჩოოლ, ჩიბრეშკა!

სიმპათიურმა ჟურნალისტმა რუსული შრიფტით დაბეჭდილი რამდენიმე ფრაზა ამოქექა. პირველზე ეწერა: Хеллои Бруклин.

ბრუკსი: - ზინო...

ლოპესი: - ზენო ბიუქნო.

ევანსი: - ჰელოუ, ბრუკლინ!

მეორე ფურცელზე ქართული გვარი ეწერა: Токо Шенгелия. თორნიკეს ფარული მინიშნების შემდეგ ტეილორმა გამართულად წაიკითხა.

რეჯი ევანსმა აქაც ყველას აჯობა, რუსული შრიფტით დაბეჭდილი ორი გვარი იმდენად იოლად გაშიფრა, შამპოლიონს შეშურდებოდა: **ჯო ჯონსონი** და **კრის ჰამპრისი**. ბრუკ ლოპესს დამაბნეველი წარწერა ერგო: Брук Лопез. კალათბურთელს „არ შეშლია“:

- ჯონს... მეორე სიტყვას ვერ ვკითხულობ.

ბრუკსი: - ბრუკ ლოპესი წერია, ხომ?!

ბრუკლინელები რუსულად დაგვემშვიდობნენ, თითქმის უშეცდომოდ გაიმეორეს „დო სვიდანია“. მხოლოდ ტეილორს გაუჭირდა, რომელსაც შენგელიას ორჯერ კარნახმაც ვერ უშველა.

რუსული კულტურის უკეთ გაცნობის მიზნით ხელმძღვანელობამ ბრუკ ლოპესი და **დერონ უილიამსი** რესტორან „რუსულ სამოვარში“ დაპატიჟა. მათ ჩაიც დააგემოვნეს, კიევური კატლეტიც მოეწონათ... „ხალადეცის“ ჩაყლაპვა კი ლოპესს ძალიან გაუჭირდა.

კალათბურთი. ქართველები NBA-ში

ზაზას თითქმის სამმაგი და პასების რეკორდი

ფაჩულია VS შენგელია, დუელი 18 იანვრისთვის გადაიდო

ამერიკული გაზეთების სპორტულ გვერდებზე გუშინ **ზაზა ფაჩულიას** გვარს არაერთხელ შეხვდებოდით. შინაარსი ყველგან მსგავსი იყო: „ატლანტა ჰოქსის“ ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიას კარიერის პირველ სამმაგ დუბლამდე მხოლოდ ორი პასი დააკლდა. მისი, **ჰორფორდის** (17 ქულა, 13 მოხსნა) და **ტიგის** (28 ქულა, 11 პასი) ეფექტური თამაშის წყალობით ჯორჯიელებმა აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი „ბრუკლინ ნეთსი“ 109:95 დაამარცხეს.

■ ■ ■

*მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ფაჩულიამ თავის „ფეისბუკზე“ დაწერა: „ხვალ დიდი და საამაყო დღეა - რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთის წინააღმდეგ NBA-ში ორი ქართველი წარდგება. ატლანტაში ჩემი ძმა, **თორნიკე შენგელია** ჩამოდის“. ვფიქრობთ, საჭიროა ზაზას ნათქვამის გავრცობა: NBA-ში ქართული დუელებით განებივრებულები ნამდვილად არ ვართ. ბოლოს ერთმანეთის წინაშე ფაჩულია და **ნიკა ცქიტიშვილი** წარდგნენ - 2003 წლის 15 ნოემბერს. მაშინ ზაზა „ორლანდოს“ ღირსებას იცავდა, ნიკა - „დენვერის“. პირველმა 13 წუთი ითამაშა, მეორემ - 5. ორივემ 2-2 ქულა ჩააგდო.*

ფაჩულიას და ჩვენი მოლოდინის მიუხედავად გუშინ ქართული დუელი არ შედგა: „ბრუკლინის“ თავკაცმა **პიჯეი კარლესიმომ** შენგელია განაცხადში არ შეიყვანა. შესაძლოა, ეს ფაჩულიასთვის დამატებითი მოტივაცია იყო „ბრუკლინთან“ მატჩის წინ. მის სათამაშო დროზე კი **ჯოშ სმიტის** არყოფნამ იმოქმედა, რომელიც გუნდისთვის საზიანო საქციელისთვის დისკვალიფიკაციით იყო დასჯილი.

ფაჩულია სასტარტოში იყო და 39 წუთში კარიერის მორიგი რეკორდი დაამყარა - 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მანამდე მას ყველაზე მეტი, 7 პასი ჰქონდა გაცემული. „ატლანტამ“ კი წინა შეხვედრაში, ჩიკაგოში განცდილი სირცხვილი (58:97) ბოლომდე ჩამოირეცხა და „ბრუკლინთან“ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. თავად განსაჯეთ: მესამე პერიოდის დასაწყისისთვის მასპინძლები უკვე 22 ქულის სხვაობით იგებდნენ (64:42).

- კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს, - განაცხადა ზაზამ ნამატჩევს, - იანვრის დასაწყისიდან დღემდე „ატლანტასთვის“ რთული პერიოდი იყო. ერთმანეთის მიყოლებით წაგებები ყველას გვაფიქრებდა, თუმცა ვაცნობიერებდით, რომ კალათბურთში მსგავსი ჩავარდნები ხდება. მთავარია, საქმეს სწორად მიუდგე და მსგავსი პრობლემების გადალახვა შეუძლებელი არ არის.

18 იანვარს „ატლანტა“ საპასუხო მატჩისთვის „ბრუკლინს“ ესტუმრება. ვნახოთ, იქნებ ამჯერად მაინც ვიხილოთ ქართულ-მეგობრული დუელი.

ატლანტა-ბრუკლინი	109:95

ზაზა ფაჩულია (ატლანტა): 39 წუთი, 13 ქულა (8/5 ორქულიანი, 6/3 საჯარიმო), 11 მოხსნა, 8 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 3 ფოული.

თორნიკე შენგელია (ბრუკლინი): განაცხადში არ იყო.



ფაჩულიამ 13 ქულა დააგროვა

I პერიოდი		
11:37	0-0	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
10:03	2-7	პასი: 1 (ჰარისი 2ძ)
7:56	4-11	მოხსნა: შეტ-0, დაც-2
5:33	10-18	საჯარიმოები: 2/1 (1ძ)
4:50	12-20	პასი: 2 (ტიგი 2ძ)
4:09	14-20	შეცდომა: 1
2:43	18-20	ჰარისმა შეცვალა
0:08	20-27	ჰორფორდი შეცვალა
II პერიოდი		
7:56	28-36	სტივენსონი შეცვალა
7:03	31-40	ორძულიანი: არაზუსტი
7:03	31-38	მოხსნა: შეტ-1, დაც-2
7:03	31-40	ორძულიანი: 3ძ
5:20	31-42	მოხსნა: შეტ-2, დაც-2
5:20	31-42	ორძულიანი: არაზუსტი
4:43	33-42	მოხსნა: შეტ-3, დაც-2
4:39	33-44	პასი: 3 (კორვერი 2ძ)
2:34	38-50	პასი: 4 (სტივენსონი 2ძ)
1:00	40-54	ორძულიანი: 5ძ
0:28	40-54	ჩაჭრა: 1 (გრეგანსს აარჩია)
0:01	40-56	მოხსნა: შეტ-3, დაც-3
III პერიოდი		
11:15	42-58	ფოული: 1
11:15	42-58	შეცდომა: 2
10:22	42-60	მოხსნა: შეტ-3, დაც-4
10:18	42-62	პასი: 5 (ტიგი 2ძ)
9:42	42-64	პასი: 6 (ჰორფორდი 2ძ)
8:17	47-69	პასი: 7 (კორვერი 3ძ)
7:56	47-71	ორძულიანი: 7ძ
5:48	51-75	ორძულიანი: 9ძ
5:01	53-75	მოხსნა: შეტ-3, დაც-5
4:37	55-75	მოხსნა: შეტ-4, დაც-5
4:26	56-75	ფოული: 2
4:13	57-76	საჯარიმოები: 2/1 (10ძ)
2:10	63-82	ფოული: 3
1:53	65-84	პასი: 8 (ი. ჯონსონი 2ძ)
0:55	67-86	ორძულიანი: 12ძ
IV პერიოდი		
10:47	70-90	ი. ჯონსონი შეცვალა
8:49	78-94	ი. ჯონსონმა შეცვალა
7:43	82-94	სტივენსონი შეცვალა
5:45	87-99	მოხსნა: შეტ-5, დაც-5
3:32	89-103	ორძულიანი: არაზუსტი
1:46	93-106	საჯარიმოები: 2/1 (13ძ)
0:51	93-106	მოხსნა: შეტ-6, დაც-5

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ინტერვიუ თედო ზიბზიბაძესთან

შემიძლია, საქართველოს ნაკრებს კიდევ მოვუტანო სარგებელი

საქართველოს ნაკრების შუამარბი თედო ზიბზიბაძე საფრანგეთში ათ წელიწადზე მეტია თამაშობს. აქედან ექვსი წელიწადი ჩვენებურმა ამჟამად ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „პერიგოში“ გაატარა და ახლაც ამ გუნდის ღირსებას იცავს. შეგახსენებთ, რომ პერიგოელებმა მრავალჯერადი მცდელობის შემდეგ ელიტური, მეორე დივიზიონის საგზური მოიპოვეს, თუმცა პირველივე წელიწადს ხელი მოეცარათ და ისევ ფედერალ 1 დივიზიონში დაბრუნდნენ.

თედო ზიბზიბაძე ინგლისელი მანუ ტუილაგის წინააღმდეგ

დღესდღეობით „პერიგო“ ფედერალ 1 დივიზიონის C ჯგუფში ასპარეზობს და ამჟამად მესამე ადგილზეა, რაც საშუალებას აძლევს პლეი ოფში მოხვდეს და ელიტარულ დივიზიონში დაბრუნებისთვის იბრძოლოს. აღსანიშნავია, რომ **თედო ზიბზიბაძე** საქართველოს ნაკრებში საუკუნის დასაწყისიდან ასპარეზობს და მსოფლიოს თასის ორ, 2003 და 2011 წლების გათამაშებაში იცავდა „ბორჯღალოსნების“ ღირსებას. საკლუბო კარიერის დეტალებსა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ თედო ზიბზიბაძეს პერიგოში დავუკავშირდით.

- საფრანგეთში დიდთოვლობაა. მოედანი ისე იყო დაფარული, რომ ვარჯიში ვერ შევძელით. ამიტომ ძალოსნობის დარბაზს მივაშურეთ. იმედი გვაქვს, საწვრთნელი პროცესი არ ჩაიშლება და მორიგი ტურის თამაშსაც არ გადაიტანენ.

- სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, „პერიგო“ ცუდ მდგომარეობაში არ უნდა იყოს. თუმცა ჯგუფში მესამე ადგილი მეორე დივიზიონიდან დაქვეითებული გუნდისთვის რამდენადაა მისაღები...

- ახალი წლის წინ ზედიზედ შვიდი თამაში მოვიგეთ და სატურნირო მდგომარეობა ამით მნიშვნელოვნად გავიუმჯობესეთ. გასულ უქმეებზე შინ გათამაშების ლიდერს, „ტიროსს“ ვეთამაშეთ და მინიმალური სხვაობით დავმარცხდით.

სატურნირო მდგომარეობას, ცხადია, არა უშავს რა, მაგრამ ამის მიღმა კლუბში სერიოზული პრობლემებია. „პერიგოს“ ფინანსურად გაუჭირდა. ხელფასების გაცემას აგვიანებენ. მეორე დივიზიონიდან რომ გამოვვარდით, ბიუჯეტი შეგვიმცირდა, სპონსორები საჭირო რაოდენობით ველარ მოიზიდეს. ამას გუნდში დაძაბულობა მოჰყვა. მოთამაშეებსა და მწვრთნელთა შტაბს შორის დაპირისპირებაა.

- იმედია, თქვენ მაგ ორომტრიალში არ მონაწილეობთ...

- არა, ჩემი საქამე მაქვს. გუნდის მორაგბეები დიდი ხანია ერთად ყოფნით კარგად შეთამაშებული ვართ, გავდივართ და ვიგებთ. ახლა კლუბის ხელმძღვანელებმა ორწლიანი პროგრამა შეიმუშავეს. წლეულს პლეი ოფში აუცილებლად უნდა ვითამაშოთ და თუ მეორე დივიზიონში გადასვლა ვერ მოვახერხეთ, მომდევნო სეზონში გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებას და წარმატებით ასპარეზობას გეგმავენ.

- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მომდევნო სეზონში მაინც გადახვიდეთ მეორე დივიზიონში?

- ვერაფერს გეტყვით. მე რომ „პერიგოში“ მოვედი, მეორე დივიზიონში გადასასვლელად ექვსი წელი დაგვჭირდა წვალება და ახლა ასე სწრაფად იმავეს გამეორება, ვფიქრობ, ძალიან გაგვიჭირდება.

- შარშან ელიტურ, მეორე დივიზიონში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძელით. რა იყო ამის მიზეზი?

- შარშან, როცა მეორე დივიზიონში თამაშის უფლება მოვიპოვეთ, სეზონი გვიან დამთავრდა. გუნდებს მაღალი დონის მოთამაშეები თითქმის ყველა განაწილებული ჰყავდათ. ამიტომ სათანადოდ გაძლიერება ვერ მოვასწარით. კი მოიყვანეს რამდენიმე კარგი მოთამაშე, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მეორე დივიზიონში, ფაქტობრივად, იმავე გუნდით მოგვიწია თამაშმა და ამიტომაც ვერ შევინარჩუნეთ ადგილი.

- სხვა გუნდში გადასვლის შანსი არ გქონდათ, ან ახლა ხომ არ გაქვთ რაიმე ახალი შეთავაზება?

- დიახ, როგორ არა. მაშინ ორ გუნდთან, „ბრივთან“ და „ალბისთან“ ვაწარმოებდი მოლაპარაკებას. „ბრივში“ არ გამოვიდა, რადგან ვისი ადგილიც უნდა დამეკავებინა ის კლუბში დარჩა. „ალბიმ“ კი იმდენად არახელსაყრელი პირობები შემომთავაზა, რომ ვარჩიე ისევ „პერიგოში“ დავრჩენილიყავი. ახლახან ერთ-ერთი გუნდის აგენტი დამიკავშირდა, თუმცა ჯერ სერიოზული საუბარი არ გვქონია. გამორიცხული არ არის ისევ „პერიგოში“ დავრჩე.

- რაგბის გარდა სხვა საქმიანობითაც ხართ დაკავებული?

- მწვრთნელთა კურსები გავიარე. ლიცენზია ავიღე და უფლება მაქვს, ფედერალ 1 დივიზიონის გუნდებთან ვიმუშაო. მინდა სწავლა განვაგრძო, უფრო მაღალი კვალიფიკაციის ლიცენზია ავიღო, რათა სამომავლოდ მწვრთნელად სერიოზულ გუნდში ვიმუშაო. თუმცა ჯერჯერობით კიდევ შემიძლია და თანაც ძალიან მინდა რაგბი ვითამაშო.

- ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბროთ. შარშან ნოემბრის ტესტებზე თბილისში „ბორჯღალოსნებმა“ ორივე თამაში წააგეს. როგორ შეაფასებდით ამ მატჩებს?

- ცოტა უფრო შორიდან დავიწყოთ. ივნისის ტესტებზე აშშ-სა და კანადასთან ვიასპარეზეთ. ვერც თამაში ვანახვეთ და შედეგიც ცუდი გვქონდა. ნოემბერში იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან თითქოს კარგად ვითამაშეთ, მაგრამ დადებითი შედეგი ვერც იქ ვაჩვენეთ. ვფიქრობ, ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო. ახალზელანდიელი მწვრთნელი მილტნ ჰეიგი აზრიანი რაგბის თამაშს კი გვთავაზობს, მაგრამ მის ასათვისებლად დრო და ძალიან ბევრი მუშაობა გვჭირდება.

გული მწყდება, რომ ნოემბრის მატჩებში თამაშმა არ მომიწია. მალე ერთა თასის გათამაშება იწყება, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. კლუბში საქართველოს რაგბის კავშირიდან ნაკრების მომავალი გეგმების პროგრამა კი მოვიდა, მაგრამ ნაკრებში გამოძახება ჯერ არ მიმიღია.

- ისე ამბობთ, რომ ეჭვობთ, არ გამოგიძახებენ?

- დიახ, ეჭვი გამიჩნდა. იყო თამაშები, რომელშიც გამოძახებული ვიყავი, მაგრამ 22-კაციან განაცხადში ვერ მოვხვდი. ვხედავ, რომ მწვრთნელი ჩემზე აქცენტს არ აკეთებს, უფრო ახალგაზრდებს ანიჭებს უპირატესობას, რაც ასეც უნდა იყოს, მაგრამ მე მაინც გული მწყდება. შემიძლია და, თანაც მინდა, რომ საქართველოს ნაკრებს კიდევ მოვუტანო სარგებელი.

თედო ზიბზიბაძე (პურთით)

ევროპის ჩემპიონატი, U-18

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-ესპანეთი. 2012 წელი

ევროპის ჩემპიონატზე ირლანდიით ვიწყებთ

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ელიტური ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ილია მაისურაძემ თავდაპირველად 54 კანდიდატი შეკრიბა.

სელექციის ჩატარების შემდეგ იმ მორაგბეთა ვინაობა გაირკვევა, რომლებიც ჯერ ინგლისში გაემგზავრებიან საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც ჰართფურის კოლეჯთან და ინგლისის 17-წლამდელთა ნაკრებთან ითამაშებენ. მერე კი გეზს საფრანგეთისკენ აიღებენ. გრენობლში ევროპის რვა საუკეთესო გუნდი შეიკრიბება. საქართველოს ნაკრების მეტოქე ირლანდიის გუნდი იქნება. გამარჯვების შემთხვევაში „უმცროსი ბორჯღალოსნები“ ნახევარფინალში საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

თუ ჩვენმა მორაგბეებმა ვერაფერი გააწყვეს, მაშინ მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში იმავე გუნდებს შორის წაგებულს შეხვდებიან. შეგახსენებთ, რომ შარშან გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა იტალიელ თანატოლებს სძლია და მეექვსე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი ექსპერიმენტულია და ასეთად კიდევ ერთი წელიწადი იქნება.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ზაურ ხარებავა (რაინდები), დათო ფხაკაძე (ივერია), ალეკო კოპაძე (აკადემია), ლუკა ბლიაძე (უნივერსიტეტი), გიორგი ტორაძე (აია), ერეკლე მაღრაძე (ხარები), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), დავით სახელაშვილი (ილიაუნი ჯიქი), ბადრი ალხაზიშვილი (ინგლისი).

მეორე ხაზი: ზაურ ზოიძე, გიორგი ჯიბუტი (ორივე-აკადემია), გუგა ხანთიძე, გიორგი ბარაბაძე, მირიან კამლაძე (სამივე-აია), მიხეილ ჩიხრაძე (ლოკომოტივი), მიხეილ ლომიძე, გიორგი ცოცხალაშვილი (ორივე-ხულიგანა), გიორგი როყვა (ყოჩები), როლანდ კვაჭაძე (ლელო), ბესო გოგოლაძე (უნივერსიტეტი).

მესამე ხაზი: თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო), დათო პაპავაძე (ილიაუნი ჯიქი), გაგა არაბული (ლოკომოტივი), გიორგი მღებრიშვილი, ბექა გორგაძე (ორივე-ხარები), კახა ელბაქიძე (უნივერსიტეტი), გიორგი ჯოხია (არმია), გიორგი ხვისტანი (ყოჩები), საბა ჩაჩხიანი, იური კენჭაძე, ბადრი დანგაძე (სამივე-აია).

№9: თემურ თუთბერიძე (აია), ვასო ლობჟანიძე (არმაზი), დავით გულიტაშვილი (ხარები), ბექა მაზმიშვილი (აკადემია).

№10: რეზო ჯინჭველაშვილი (აია), სოსო ტუკვაძე (ყოჩები), გურამ ლაფერაშვილი (ლელო), თორნიკე ხურცილავა (არმაზი), მიხეილ ჭელიძე (უნივერსიტეტი).

№12-13: თემურ ირემაძე (აია), სანდრო ილურიძე (აკადემია), ბექა ნონიაშვილი, ირაკლი დევსურაშვილი (ორივე-ხულიგანა), ჯონი ხეცურიანი (ტორნადო), ივანე ხელაია (აკადემია).

№11-14: დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), იოსებ კიკვაძე (აია), დათო ლობჟანიძე (არმაზი), ბადრი ლიპარტელიანი (ივერია).

№15: გიორგი ბაბუნაშვილი (აია), ირაკლი სვანიძე, სოსო ჯაფარიძე (ორივე-ხულიგანა).

ევროპის ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

22 მარტი

საქართველო-ირლანდია
ინგლისი-პორტუგალია
საფრანგეთი-იტალია
უელსი-შოტლანდია

რაგბი. ლეგიონერები

ჯაბა ბრეგვაძე (ცენტრში)

ჯაბა ბრეგვაძე მალე ითამაშებს

საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** შესაძლოა მომავალ უქმეებზე „ტულუზის“ შემადგენლობაში გამოჩნდეს. ჩვენებურმა სეზონის დაწყების წინ კისრის ურთულესი ოპერცია გაიკეთა და ინდივიდუალურად ვარჯიშს დეკემბერში შეუდგა.

როგორც სარაგბო კლუბ „ტულუზის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული კომუნიკე იუწყება, ბრეგვაძემ უკვე კონტაქტით ვარჯიში დაიწყო და გამორიცხული არ არის „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში, კვირას სტუმრად ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზთან“ გუნდის შემადგენლობაში ვიხილოთ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რაგბი. ექვსი ერი

ჯიმი ჰისლიპი (ბურთით)

ოდრისკოლი ჰისლიპმა შეცვალა

ირლანდიის ნაკრებმა ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილე გუნდებიდან ყველაზე გვიან გამოაქვეყნა გაფართოებული შემადგენლობა. „სამყურების“ თავკაცმა **დეკლან კიდნიმ** ის 39 მორაგბე დაასახელა, ვინც ორშაბათიდან ტურნირისთვის მზადებას შეუდგება. მათ შორის ექვსი დებიუტანტია.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც ირლანდიის ნაკრების კაპიტნად **ჯიმი ჰისლიპის** დანიშვნა იყო, რადგან ტრავმამოშუშებული **ბრაიან ოდრისკოლი** უკვე მწყობრშია. კიდნიმ ბევრი იფიქრა და უპირატესობა მაინც „ლენსტერის“ მესამეხაზელს მიანიჭა. მაშინ როცა ოდრისკოლი ტრავმას იშუშებდა, ჰისლიპი გუნდს ნოემბრის ტესტებზეც კაპიტნობდა და ამ ამპლუაში ცუდად სულაც არ გამოიყურებოდა.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო, როცა ნოემბერში მწვრთნელმა ეროვნული ნაკრების კაპიტნობა შემომთავაზა. არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, როცა შენი ქვეყნის მთავარი გუნდის წინამძღოლი ხარ. ძალიან კარგად ვიცნობ ბრაიან ოდრისკოლს, როგორც მოთამაშეს და როგორც მეგობარს. ის ჭეშმარიტი ლიდერია. იმედი მაქვს ბრაიანი და სხვა მოთამაშეებიც დამეხმარებიან“ - თქვა ჯიმი ჰისლიპმა

ლეგენდარულმა ირლანდიელმა შუამარბმა ბრაიან ოდრისკოლმა აღიარა, რომ ძალიან დასწყდა გული კაპიტნობის ჩამორთმევის გამო, თუმცა ისიც დაამატა, რომ ყოველმხრივ დაეხმარება ჰისლიპს.

„ეროვნული ნაკრების კაპიტნობა ჩემი სპორტული კარიერისა და ზოგადად, ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. გაწბილებული ვარ, წლეულს გუნდს ექვსი ერის გათამაშებაში რომ ვერ წარვუძღვები. ნაკრების მწვრთნელს პირისპირ ველაპარაკე და მესმის მისი. ყოველთვის ვიცოდი, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასზე ვერ ვითამაშებ. ჩემთვის იქ გამოსვლა ძალიან შორეული პერსპექტივაა. ამიტომ, მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე გუნდს გამოცდილი კაპიტანი უნდა ჰყავდეს. ჯიმის საკმარისი დრო აქვს საამისოდ. მეც და ნაკრების სხვა გამოცდილი წევრებიც მას ყველანაირად დავეხმარებით“ - დასძინა ბრაიან ოდრისკოლმა.

ცხადია, თავისი არგუმენტი „სამყურების“ თავკაცმაც გააცხადა: *„ნოემბრის ტესტებისას ჯიმი ჰისლიპი კაპიტნის ამპლუაში შესანიშნავად გასარჯა. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ სწორედ ახლაა დრო ის არა დროებითი, არამედ გუნდის ნამდვილი კაპიტანი იყოს. ბრაიან ოდრისკოლს ბოლო თვეების განმავლობაში ცოტა თამაშმა მოუწია. ამიტომ, გვინდა, ის ზედმეტად არ გადავტვირთოთ ფსიქოლოგიურად და საშუალებას მივცემთ სრულად აღიდგინოს სათამაშო ფორმა.*

ბრაიანს დიდი წვლილი აქვს ირლანდიურ რაგბიში. მას ვიცნობთ, როგორც ნამდვილ ლიდერს, თავდადებულ მოთამაშეს და უნარიან კაპიტანს. მან აღგვითქვა, რომ ცდას არ დაიკლებს და ახალ კაპიტანს დაეხმარება.

ექვსი ერის გათამაშებას უელსის ნაკრებთან მატჩით ვიწყებთ. ამიტომ მთელი ყურადღება ამ შეხვედრისკენ გვაქვს მიმართული. „წითელ ურჩხულებთან“ თამაშის შედეგზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი სატურნირო ბედი. გვაყავს რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე, თუმცა მათ პოზიციებზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ახალბედებს შანსი მიეცემათ თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ“ - თქვა ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

ირლანდიის ნაკრები

შერკინება: **მაიკლ ბენეტი, შონ კრონინი, კიან ჰილი, ჯიმი ჰისლიპი, შონ ობრაიანი, მაიკ როსი, რიჩარდ სტარუსი, დევინ ტონერი (ყველა - „ლენსტერი“), რორი ბესტი, ტომ კარტი, დიკლან ფიცპატრიკი, იან ჰენდერსონი, კრის ჰენრი, ლუის სტივენსონი (ყველა - „ალსტერი“), დავიდ კილკოინი, დონჩა ოკალაჰანი, პიტერ ომაჰონი, დონჩა რაიანი (ყველა - „მანსტერი“), მაი მაკარტი („ქონოთი“).**

უკანახაზი: **ისააკ ბოსი, გორდონ დარსი, ლუკ ფიცჯერალდი, იან მადიგანი, ფერგიუს მაკფადენი, ბრაიან ოდრისკოლი, ევან რიდანი, ჯონათან სექსტონი (ყველა - „ლენსტერი“), დარენ სეივი, კრეიგ გილორი, პედი ჯექსონი, პოლ მარშალი, ენდრიუ ტრიმბლი, საიმონ ზებო (ყველა - „ალსტერი“), ქის ირლზი, კონორ მურეი, რონან ოგარა (ყველა - „მანსტერი“), რობი ჰენშოუ, დეივ მაქშერი (ორივე - „ქონოთი“).**

ბესო ჯანგავაძე

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ყველაზე ახალგაზრდა 20-ათასიანი

ღირსშესანიშნავი დღე ჰქონდა გუშინ „მაიამი ჰიტის“ ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს**. ამერიკის 2012 წლის საუკეთესო კალათბურთელმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისი მონაგარი 20 ათას ქულამდე აიყვანა.

„გოლდენ სტეიტ უორიორზთან“ მატჩის წინ, ჯეიმსის ანგარიშზე 19 982 ქულა იყო. „მეომრების“ წინააღმდეგ ლებრონმა 25 ქულა დააგროვა, რითაც გადალახა 20-ათასიანი ზღვარი. თავად შეხვედრა „ჰიტმა“ 92:75 მოიგო.

ჯეიმსმა ამ ზღვარს 28 წლისა და 17 დღის ასაკში მიაღწია, რაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეკორდი გახლავთ. წინა რეკორდის მფლობელი იყო **კობი ბრაიანტი** „ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან“, რომელმაც 20 ათასი ქულა მაშინ დააგროვა, როცა 29 წლისა და 122 დღის იყო.

ლებრონ ჯეიმსი გახდა 38-ე მოთამაშე ლიგის ისტორიაში, ვინც 20 ათას ქულას გადააჭარბა.

„ყველაზე მთავარი ის არის, რომ საჭირო ქულები თამაშიდან ტყორცნით მოვიპოვე, - ამბობს ESPN-თან კომენტარში ჯეიმსი. - *მე სპეციალურად არ გავუყვანივარ პარტნიორებს სასროლად, უბრალოდ ასეთი იყო სათამაშო სიტუაცია“.*

ადრე, ჯეიმსმა ასევე დაამყარა რამდენიმე ასაკობრივი რეკორდი: ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი იყო NBA-ში, რომელმაც საუკეთესო ახალბედას პრიზი დაიმსახურა, შეასრულა სამმაგი-დუბლი, მოიპოვა მეათასე ქულა, 10 ათასი ქულა, აგრეთვე გახდა „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ უძვირფასესი მოთამაშე.

■ ■ ■

გასული დღე რეგულარულ ჩემპიონატში იმითაც იყო გამორჩეული, რომ „ნიუ ორლეანის“ მცველმა **ოსტინ რივერსმა** პირველად ითამაშა თავისი მამის, „ბოსტონ სელტიქსის“ მთავარი მწვრთნელის **დოკ რივერსის** კლუბის წინააღმდეგ. დებიუტანტი მცველი პირველი ტაიმის ბოლოს სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე. ოსტინმა 8 ქულა და ერთი შედეგიანი პასი დააგროვა.

დოკ და ოსტინ რივერსის წყვილი მეოთხე შემთხვევაა NBA-ის ისტორიაში, როცა მოედანზე ერთმანეთს ხვდებოდნენ მამა და შვილი. სამი სხვა დუეტი ასეთი იყო: **მაიკ დანლივი** და **მაიკ დანლივი-უმცროსი, ჯორჯ კარლი** და **კობი კარლი**, აგრეთვე **ბუტჩ ვან ბრედ კოლფი** და მისი ვაჟი **იანი**.

ორლანდო-ინდიანა 97:86

22:17, 29:18, 26:29, 20:22

ო: ვუჩევიჩი (16+15 მოხსნა), აფლალო (15+5 პასი), ნელსონი (14+6 პასი+4 ჩაჭრა), რედიკი (14+6 პასი), დევისი (11).

ი: ჯორჯი (20+10 მოხსნა), ჰილი (15+6 პასი), უესტი (14+7 მოხსნა), ჰიბერტი (11+7 მოხსნა), ჰენსბრო (10), გრინი (10).

ატლანტა-ბრუკლინი 109:95

27:20, 29:20, 32:29, 21:26

ა: ტიგი (28+11 პასი), ჰარისი (18+5 პასი+4 ჩაჭრა), ჰორფორდი (17+13 მოხსნა), ფაჩულია (13+11 მოხსნა+8 პასი), კორვერი (11), უილიამსი (11).

ბ: ლოპესი (22+9 მოხსნა), ჯონსონი (15), უილიამსი (12+9 პასი), ბლეტჩი (12), ჰემფრიზი (10+7 მოხსნა).

ბოსტონი-ნიუ ორლეანი 78:90

25:20, 18:24, 20:24, 15:22

ბ: გარნეტი (15), პირსი (12+10 მოხსნა), ტერი (12), რონდო (7+11 პასი+3 ჩაჭრა).

ნ-ო: ამინუ (18+9 მოხსნა), ლოპესი (17+6 მოხსნა), ვასკესი (15+11 მოხსნა), დევისი (10+10 მოხსნა), ანდერსონი (10+6 მოხსნა).

ოკლაჰომა-დენვერი 117:97

34:18, 33:29, 28:23, 22:27

ო: უესტბრუკი (32), დურანტი (20+5 ჩაჭრა), მარტინი (20).

დ: კუფოსი (16+9 მოხსნა), მაკგი (15), იგუოდალა (12+5 პასი), გალინარი (11), მილერი (6+10 პასი).

დალასი-პიუსტონი 105:100

29:18, 23:26, 28:29, 25:27

დ: ნოვიცკი (19+8 მოხსნა), მერიონი (18+9 მოხსნა), მაიო (18+6 მოხსნა+8 პასი), ბრენდი (11+10 მოხსნა), კოლისონი (10), კრაუდერი (10).

პ: ჰარდენი (20+8 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ლინი (19), პარსონსი (18+6 მოხსნა), აქიში (12+15 მოხსნა), სმიტი (0+10 მოხსნა+3 დაფარება).

სან ანტონიო-მემფისი 103:82

19:25, 38:29, 25:15, 21:13

ს-ა: დანკანი (19+8 მოხსნა+5 დაფარება), პარკერი (17+11 პასი), დიაო (14), ლეონარდი (13), სპლიტერი (10+9 მოხსნა).

მ: გეი (17+8 მოხსნა), გასოლი (12), რენდოლფი (11), ალენი (11), კონლი (10).

საკრამენტო-ვაშინგტონი 95:94

32:31, 16:25, 24:21, 23:17

ს: კაზინსი (21+16 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ტ. ევანსი (21+8 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), სალმონსი (21), ფრედეტი (12).

ვ: ბილი (26+6 პასი), სერაფინ (16), ნენე (15+9 მოხსნა+6 პასი), უოლი (14+10 პასი+3 ჩაჭრა), უებსტერი (10+9 მოხსნა).

პორტლენდი-კლივლენდი 88:93

21:26, 15:27, 29:21, 23:19

პ: ბატუმი (23+12 მოხსნა), მეტიუზი (17+6 მოხსნა), ოლდრიჯი (15+10 მოხსნა+4 დაფარება), ჰიქსონი (13+11 მოხსნა), ლილარდი (13+7 პასი).

კ: ირვინგი (31+5 პასი+4 ჩაჭრა), ტომპსონი (19+14 მოხსნა), ზელერი (11+9 მოხსნა).

გ. სტეიტი-მაიამი 75:92

21:28, 17:24, 12:28, 25:12

გ-ს: ჯეკი (16), ლი (12+11 მოხსნა), ლენდრი (10+11 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (25+7 მოხსნა+10 პასი), უეიდი (15+8 მოხსნა+6 პასი+5 ჩაჭრა), ჩელმერსი (15+3 ჩაჭრა), ბოში (11+6 მოხსნა), ჰასლემი (6+10 მოხსნა).

ჯორჯეტო-ჩიკაგო 105:107 (ო)

22:29, 22:23, 29:27, 27:21, 5:7

ტ: ანდერსონი (27), ლოური (26+7 პასი), დეროზანი (18), დევისი (11+6 მოხსნა), ჯონსონი (5+10 მოხსნა).

ჩ: ბუზერი (36+12 მოხსნა), დენგი (19+6 მოხსნა+7 პასი), ნოა (16+14 მოხსნა), ჰემილტონი (15+5 პასი), ბელინელი (10).

ალმოსავლეთი

1. მაიამი	25/12*
2. ნიუ იორკი	24/13*
3. ინდიანა	24/16*
4. ჩიკაგო	22/15
5. ბრუკლინი	23/16
6. ატლანტა	22/16
7. ბოსტონი	20/18
8. მილუოკი	19/18
9. ფილადელფია	16/23
10. ორლანდო	16/24
11. დეტროიტი	14/24
12. ტორონტო	14/25
13. კლივლენდი	10/31
14. შარლოტი	9/29
15. ვაშინგტონი	7/29

დასავლეთი

1. ოკლაჰომა	31/8*
2. კლიპერსი	30/9*
3. სან ანტონიო	30/11*
4. მემფისი	24/13
5. გ. სტეიტი	23/14
6. დენვერი	24/17
7. იუტა	21/19
8. ჰიუსტონი	21/19
9. პორტლენდი	20/19
10. მინესოტა	16/19
11. ლეიკერსი	17/21
12. დალასი	17/23
13. საკრამენტო	15/24
14. ნიუ ორლეანი	13/26
15. ფინიქსი	13/27

* - *დივიზიონის ლიდერი*

გია თვალაბეიშვილი

ლებრონ ჯეიმსი

რაშიდი ვეღარ ითამაშებს?

„ნიუ იორკ ნიქსის“ ფორვარდმა **რაშიდ უოლასმა**, შესაძლოა, ვეღარ ითამაშოს წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში და ხელმეორედ დაასრულოს კარიერა, - იტყობინება ESPN.

38 წლის ვეტერანი 15 დეკემბრის შემდეგ არ გასულა მოედანზე, როცა მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო. გუნდში ვარაუდობენ, რომ კალათბურთელის დაზიანება სერიოზულია და რაშიდის მონაწილეობა ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

მიმდინარე სეზონში, უოლასი საშუალოდ მატჩში 7.2 ქულასა და 4.2 მოხსნას აგროვებს. შეგახსენებთ, რომ რაშიდმა ამ სეზონის წინ, ორწლიანი შესვენების შემდეგ განაახლა კარიერა.



რაშიდ უოლასი

■ ■ ■

ESPN-ის ინფორმაციით, „კლივლენდ კავალიერზის“ ცენტრის **ანდერსონ ვარეჯაოს** კონტრაქტი მილიონი დოლარის ოდენობის პრემიას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელი გახდება „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილე.

ვარეჯაოს „ოლ სტარზე“ გამოსვლის კარგი შანსი ჰქონდა იქამდე, სანამ 18 დეკემბერს, მარჯვენა ფეხის კუნთი არ გაიწყვიტა. იმ მომენტისთვის, ბრაზილიელი საშუალოდ მატჩში 14.1 ქულასა და 14.4 მოხსნას აგროვებდა. საშუალოდ ერთ შეხვედრაში დაგროვილი მოხსნებით ის ლიგის ლიდერი იყო.

ამ დღეებში, ვარეჯაომ წარმატებით გადაიტანა ოპერაცია და მისი აღდგენითი კურსი მინიმუმ ექვსი კვირით განისაზღვრა.

■ ■ ■

„ფილადელფია სიქსერზის“ ცენტრმა **ენდრიუ ბაინუმმა** პირველი ვარჯიში ჩაატარა პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით. ვარჯიშზე „ლეიკერსის“ ყოფილი კალათბურთელი ტყორცნების შესრულებაზე მუშაობდა, რის შემდეგაც ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.

„დღემდე შეზღუდული ვარ მოძრაობის მხრივ, მაგრამ სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდება, - განაცხადა ბაინუმმა. - *დიდი ხანი ველოდი, ისევ როდის მომეცემოდა ჩემი საყვარელი საქმის კეთების საშუალება და ბედნიერი ვარ, რომ ეს მომენტი დადგა. მუხლები თითქმის აღარ მტკივა, ამიტომაც ვფიქრობ, რომ დროა, მოედანზე დასაბრუნებლად ვიმუშაო. ჯერ არ ვიცი, როდის დავბრუნდები, მაგრამ ორიენტირებული ვარ „ყველა ვარსკვლავის მატჩზე“.*

გია თვალაბეიშვილი

ავტოსპორტი. დაკარი 2013

დაკარი დაიგბორა

რალი-რეიდ „დაკარზე“ მე-11 ეტაპი გაიმართა, თუმცა „გაიმართა“ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ავტომობილების კლასში რბოლის დასრულება ვერ მოხერხდა. საქმეში უამინდობა ჩაერია და წვიმის გამო წარმოქმნილი წყალდიდობის მიზეზით, დისტანციის გავლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამიტომაც, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მხედველობაში მიეღოთ საშუალედო ფინიშის შედეგები, რომელსაც სერიოზული ცვლილებები არ მოუტანია. ეტაპის გამარჯვებულად გამოცხადდა ამერიკელი **რობი გორდონი**, ხოლო გენერალურ კლასიფიკაციაში ისევ **სტეფან პეტერანსელი** ლიდერობს.

XI ეტაპი

1. **რობი გორდონი** (აშშ, Hammer) - 50.21; 2. **რონან შაბო** (საფრანგეთი, SMG) - +1.08; 3. **ლუსიო ალვარესი** (არგენტინა, Toyota) - +2.17; 4. **ბერნარ ერანდონეა** (ანდორა, SMG) - +3.59; 5. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +4.25...

საერთო ჩათვლა

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 29:07.25; 2. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +51.59; 3. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +1:26.40; 4. **ხოან რომა** (ესპანეთი, MINI) - +1:37.09; 5. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +2:01.27...

■ ■ ■

მოტომრბოლებმა მოასწრეს მე-11 ეტაპის დასრულება. პირველი რბოლა მოიგო ამ დაკარზე ამერიკელმა **კურტ კასელიმ**, ხოლო საერთო ჩათვლის ლიდერმა **სირილ დეპრემ** მესამე ადგილი დაიკავა. ამან ფრანგს საშუალება მისცა კიდევ უფრო გაეზარდა თავისი უპირატესობა გენერალურ კლასიფიკაციაში - ახლა ის უახლოეს მდევარს, პორტუგალიელ **რუბენ ფარიას** 13 წუთზე მეტს უგებს.

XI ეტაპი

1. **კურტ კასელი** (აშშ, KTM) - 2:55.01; 2. **პაულო გონკალვეში** (არგენტინა, „ჰუსკვარნა“) - +4.45; 3. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +6.24; 4. **ხუან პედრერო** (ესპანეთი, KTM) - +10.18; 5. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +10.51...

საერთო ჩათვლა

1. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 33:48.29; 2. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +13.16; 3. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +18.08; 4. **ივან იაკეში** (სლოვაკეთი, KTM) - +23.33; 5. **ალესანდრო ბოტური** (იტალია, „ჰუსკვარნა“) - +29.32...

ფორმულა 1

ალონსოს რჩეული ლუისია

ესპანელ პილოტს თავის ყველაზე სახიფათო მეტოქედ ჰემილტონი მიაჩნია

ალონსო და ჰემილტონი

„ფერარის“ პილოტ **ფერნანდო ალონსოს** კვლავინდებურად მიაჩნია, რომ მის ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ **ლუის ჰემილტონი** რჩება, მიუხედავად იმისა, რომ შარშან, **სებესტიან ფეტელმა** თავისი მესამე ტიტული მოიპოვა.

„ვინ იქნება ჩემი მეტოქეებიდან ყველაზე ძლიერი? ვფიქრობ, რომ ჰემილტონი, - განაცხადა ფერნანდო ალონსომ, რომელიც ამჟამად „ფერარისთან“ ერთად სამთო კურორტ მადონა დი კამპლიოში თოვლის ფესტივალზე იმყოფება. - ეს შარშანაც დადასტურდა და წელსაც ასე იქნება. ეს ჩემი პირადი აზრია და მას არანაირი კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან“.

კითხვაზე - რატომ არ დაასახელა საუკეთესოდ ფეტელი, ალონსომ უპასუხა: *„მე არ ვამბობ, რომ ის არ არის ყველაზე ძლიერი პილოტი. 2011 წელს, სებასტიანი ფანტასტიკურ შედეგებს აჩვენებდა. მართლაც, პირველ რიგში, საქმე მანქანაში იყო, რადგან „რედ ბულის“ პილოტები სტაბილურად გადიოდნენ პირველ და მეორე ადგილებზე, ხოლო, როცა მანქანა ასეთი ძლიერია, ჩვეულებრივ რბოლებში მოდუნების საშუალებაც არსებობს.*

მაგრამ მე მახსოვს 2011 წლის რთული რბოლებიც, რომლებიც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში იმართებოდა და მაშინ ფეტელს არც ერთი შეცდომა არ დაუშვია. რა თქმა უნდა, ამ სამი წლის განმავლობაში იყო მომენტები, როცა ის სხვებზე მაღლა იდგა და დამსახურებულად მოიგო სამი ტიტული“.

ალონსოს აზრით, ჰემილტონს უკვე წელს შეეძლება მოგებისთვის ბრძოლა: *„დარწმუნებული ვარ, ის შეძლებს ეტაპების მოგებას. ლუისი - შესანიშნავი პილოტია, რადგან მას განსხვავებული მანქანების საჭესთან მოუპოვებია გამარჯვებები. ის იგებდა 2007 და 2008 წლებში. 2009 წლის დასაწყისში „მაკლარენი“ ლიდერებს ორი წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ ლუისი ახერხებდა გრანპრის მოგებას. იგივე განმეორდა 2010 წელს.*

გასულ წელს ჩვენ ვნახეთ, როგორ მოიგო ჩინეთში ნიკო როსბერგმა „მერსედესის“ მანქანით. ასე რომ, ჰემილტონიც მოახერხებს არაერთ რბოლაში პირველ ადგილზე გასვლას“.

ამბები

ავტოსპორტი

კუბიცა DTM-ს მოსინჯავს?

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ **რობერტ კუბიცა** განიხილავს „სიტროენისა“ და „ფორდის“ წინადადებებს რალიში ევროპის ჩემპიონატზე გამოსასვლელად. თუმცა პოლონელი პილოტი აგრეთვე DTM-ის სერიაში აპირებს ძალების მოსინჯვას.

ბრიტანული Autosport იტყობინება, რომ მომავალ კვირას, კუბიცა მონაწილეობას მიიღებს DTM-ში მოასპარეზე „მერსედესის“ მანქანის ტესტებში, რომელიც 23 იანვარს ვალენსიაში გაიმართება.

გერმანულ გუნდში ამ ჭორს ჯერჯერობით კომენტარს არ უკეთებენ. „მერსედესში“ მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ ტესტებზე ჩავლენ **გარი პეფეტი** და ახალგაზრდა ესპანელი **რობერტო მერხი**.

მძლეოსნობა

ოლიმპიური პრიზიორის ტრაგედია

სპორტულ სიარულში სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის პრიზიორი, მექსიკელი **ნოე ერნანდესი** 35 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ იტყობინება მექსიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური ვებგვერდი.

როგორც იტყობინებიან, 2012 წლის 30 დეკემბერს, ერნანდესი ქალაქ ლოს რეიეს ლა პასის ერთ-ერთ ბარში მომხდარი გარჩევის მსხვერპლი გახდა. სპორტსმენს ტყვია თავში მოხვდა, რის გამოც მარცხენა თვალი დაკარგა და საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა მარჯვენა თვალიც.

მექსიკური პრესა იმ ვარიანტსაც არ გამორიცხავს, რომ ერნანდესმა თვალების დაკარგვის გამო თვითმკვლელობა გადაწყვიტა.

ნოე ერნანდესმა სიდნეიში ვერცხლის მედალი მოიგო 20 კილომეტრ დისტანციაზე.

ევროპის ჩემპიონი ოთხი წლით დასაჯეს

ევროპის 2010 წლის ჩემპიონი 5000 მეტრ დისტანციაზე სარბილში, თურქი **ალემით ბეკელე** ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა მის ბიოლოგიურ პასპორტში სისხლის აბნორმალური ჩვენებების გამო. 35 წლის სპორტსმენი 2016 წლის 14 თებერვლამდე ვერ შეძლებს ტურნირებზე გამოსვლას, ხოლო მისი შედეგები 2009 წლის 17 აგვისტოდან მოყოლებული ანულირებული იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბეკელეს ჩამოართმევენ ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებულ ოქროს მედალს და ჩემპიონად გამოცხადდება თურქეთის კიდევ ერთი ნარმომადგენელი **ელვან აბეილეგესე**.

ფორმულა 1

ორი პრეზენტაცია დაინიშნა

ფორმულა 1-ის საჯინიბოები - „მერსედესი“ და „ტორო როსო“ თავიანთ ბოლიდებს ერთ დღეს წარმოადგენენ. პრეზენტაცია წინასასეზონო ტესტების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, 4 თებერვალს, ხერეზში შედგება.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს „მერსედესის“ ღირსებას დაიცავენ **ნიკო როსბერგი** და **ლუის ჰემილტონი**, „ტორო როსოს“ ბოლიდებით გამოვლენ - **ჟან-ერიკ ვერნი** და **დანიელ რიკიარდო**.

ველოსპორტი

არმსტრონგს ბრინჯაოც წაართვეს

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამერიკელ ველომრბოლ **ლენს არმსტრონგს** სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი ჩამოართვა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ლენსთან დაკავშირებული გახმაურებული დოპინგსკანდალია.

სოკ-მა უკვე გაუგზავნა ამერიკელს მედლის დაბრუნების თხოვნა. წერილი მას შემდეგ გაიგზავნა, რაც არმსტრონგმა უარი თქვა აპელაციის შეტანაზე და დოპინგის მიღება აღიარა.

2000 წლის ზაფხულის თამაშებზე არმსტრონგმა მესამე ადგილი დაიკავა დროზე განცალკევებით რბოლაში. მაშინ ოქროს მედალი რუსმა **ვიაჩესლავ ეკიმოვმა** მოიპოვა, მეორეზე გერმანელი **იან ულრიხი** გავიდა.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა **დიკ პაუნდმა** გამოაცხადა, რომ ველოსპორტი, შესაძლოა, ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან მოკვეთონ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დადგინდება, რომ არმსტრონგის სადოპინგო მაქინაციებში ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირიც იყო გარეული.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სტ. პაული-ბელინცონა	2:1
აალენი-ინტერი (გ)	1:1
ბრეშა-კიასო	7:1
პკ35-მიუპა	2:1
ჰაველსე-დუისბურგი	1:2

ესპანეთის თასი

1/4 ფინალი. I მატჩი

ატლეტიკო-ბეტისი	2:0

პორტუგალიის თასი

1/4 ფინალი

არუკა-ბელენენსეში	1:4
აკადემიკა-ბენფიკა	0:4

ფინეთი

ლიგის თასი

ინტერი-ტპს	1:1
ჰონკა-ჰიკ	0:1

საბერძნეთის თასი

1/8 ფინალი. I მატჩები

ლევადია-კერკირა	2:1
ვერია-ძსანტი	2:1

თურქეთის თასი

ანტალია-ესძისეჰირი	1:0

კალათბურთი

NBA

დეტროიტი-ნიუ იორკი	87:102

ევროლიგა

ბამბერგი-ეფესი	76:94
ბეშიძთაში-ბარსელონა	59:73
ჟალგირის-ცსკა	73:87
უნიკახა-რეალი	64:72

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

კაცები

სლოვენია-ბელარუსი	27:26
ალჟირი-ავსტრალია	39:15
ს. კორეა-ს. არაბეთი	22:24
ესპანეთი-უნგრეთი	28:22
პოლონეთი-სერბეთი	25:24
ხორვატია-ეგვიპტე	24:20

პოლო

კალ

ავტომობილისტი-ნეფტიხიმიკი	3:2
მეტალურგი (მ)-ს. იულიანევი	1:4
ტრაქტორი-აკ ბარსი	3:2
სევერსტალი-მეტალურგი (ნ)	2:1
ვიტიაზი-ამური	2:3 (გ)
დინამო (მნ)-სიბირი	1:3

ნორვეგია

რუსენბორგი-სტავანგერი	2:6
ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი	5:2
ლორენსკოგი-სტორჰამარი	2:1
ტონსბერგი-სტრიერნენი	1:3
სპარტა-ვოლერენგა	1:5

ჩეხეთი

კლადნო-ბრნო	2:1

შველეთი

აიკ-ლულეო	2:3 (გ)
ვექსიო-ფელეფტეო	1:2
ჰვ71-მოდო	4:3

TV პროგრამა

18 იანვარი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ტვენტე.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. მანჩესტერ სიტი.
14:00 ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი. ლივერპულიინგა ბოიზი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შალკე-ლიმპიაკოსი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ეინდჰოვენი.
19:30 ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. მანჩესტერ იუნაიტედი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
23:00 ყოველკვირეული ტელეეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. შალკე-ჰანოვერი (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-მალაგა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-მაიამი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-საუთჰემპტონი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ბენეტონი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ფილადელფია სიქსერზი. 1979-80 წწ.
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-მაიამი.
23:00 NBA ACTION.
00:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. IV ტური. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი (LIVE).

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.
12:50 სპორტ-NEWS.
13:20 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჰობარტი. ავსტრალია.
14:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. კახა ლაბორალი-ბეშიქთაში.
16:40 სპორტ-NEWS.
17:10 ფეხბურთი. ეროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ვიდეოტონი-გენკი.
19:10 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მინესოტა.
21:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჰობარტი. ავსტრალია.
23:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ეინდჰოვენი-ცვოლე (LIVE).

ამინდის პროგნოზი

თბილისი	-3	10	(მზე)
ქუთაისი	8	13	(მზე)
ბათუმი	8	13	(მზე)
ფოთი	7	12	(მცირე წვიმა)
ზუგდიდი	6	12	(წვიმა)
გორი	-6	8	(მზე)
თელავი	-5	11	(მზე)
სიღნაღი	-6	10	(მზე)
ბაკურიანი	-14	3	(მზე)
ბორჯომი	-8	3	(მზე)
მესტია	-11	1	(მცირე თოვლი)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.2141
1 ამერიკული დოლარი	1.6565
1 ბრიტანული ფუნტი	2.6539
100 რუსული რუბლი	5.4592

კრივი

ვერ მოილაპარაკეს

უკრაინელმა და რუსმა სუპერმძიმეწონოსნებმა - **ვლადიმერ კლიჩკომ** და **ალექსანდრ პოვეტკინმა** WBA-ის მიერ დათქმულ დროში ვერ შეძლეს მოლაპარაკება ბრძოლის ორგანიზებაზე. ახლა, შეხვედრის ორგანიზატორს აუქციონის მეშვეობით გამოავლენენ.

სუპერმძიმეწონაში IBF-ის, WBO-სა და WBA-ის ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონის **ვლადიმერ კლიჩკოსა** და აუცილებელი პრეტენდენტის **ალექსანდრ პოვეტკინის** ბრძოლა 2013 წლის 24 თებერვლამდე უნდა გაიმართოს. მოკრივეთა პრომოუტერებს 17 იანვრამდე უნდა მოეგვარებინათ ორთაბრძოლის ორგანიზებისთვის საჭირო ყველა საკითხი.

ცოტა ხნის წინ, კლიჩკომ WBA-ის ხელმძღვანელობას ბრძოლის თარიღის გადაწევა სთხოვა, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიუღია. თავის მხრივ, რუსი მოკრივის გუნდმა გააპროტესტა უკრაინელის თხოვნა და სურს შეხვედრა დათქმულ ვადებში ჩატარდეს. პოვეტკინის მენეჯერები WBA-სგან პროტესტის შესახებ პასუხს ელიან. სავარაუდოდ, სწორედ ამ პასუხის შემდეგ გაიმართება აუქციონი ბრძოლის ორგანიზებაზე.

■ ■ ■

ამასობაში, ძმები კლიჩკოების გუნდის წარმომადგენელმა **ტომ ლეფლერმა** განაცხადა, რომ WBC-ის ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო**, შესაძლოა, მაისში დაბრუნდეს რინგზე. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ვიტალი მაინც გადაწყვეტს კარიერის გაგრძელებას.

„ერთი თვის განმავლობაში გახდება ცნობილი, გააგრძელებს თუ არა ვიტალი კრივში გამოსვლას, - განაცხადა ლეფლერმა. - თუ ის კიდევ ერთხელ გადაწყვეტს რინგზე გასვლას, ეს მაისამდე მოხდება. ვიტალის ძალიან უნდა დევიდ ჰეის ნოკაუტში გაგზავნა. ვფიქრობ, მათ შორის ბრძოლაში კლიჩკოს ვადაზე ადრე გამარჯვების კარგი შანსი აქვს“.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

ფავორიტები სეტსაც არ აგებენ

უკან დარჩა ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე დღე და მასთან ერთად - მეორე რაუნდი...

დღის ფავორიტები

ჯერჯერობით, ყოველგვარი ინტრიგის გარეშე მიმდინარეობს მთავარ ფავორიტთა მატჩები. სასწაულად შეიძლება მოვნათლოთ ისეთი შემთხვევა, როცა ისინი საათ-ნახევარზე მეტხანს შერჩებიან კორტს. უფრო მეტიც, განთესვის ლიდერებს, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში, ჯერ არც ერთი სეტი არ წაუგიათ. ეს ტენდენცია გუშინაც გაგრძელდა და **სერენა უილიამსმა, ვიქტორია აზარენკამ, ენდი მიურეიმ, როჯერ ფედერერმა, ხუან მარტინ დელ პოტრომ** იოლად გააღწიეს მესამე წრეში.

დღის მატჩი

შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბევრი გულშემატკივარი გატაცებით ადევნებდა თვალს დღის ბოლო მატჩს, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ აშკარა კრიზისში მყოფი **პეტრა კვიტოვა** და ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრისხანე ბრიტანელი **ლორა რობსონი**. ამ უკანასკნელს სხვა ნიჭიერი ჩოგბურთელებისგან ის სასარგებლო თვისება გამოარჩევს, რომ მას ყველაზე ძლიერი ჩოგბურთელების წინააღმდეგაც შეუძლია საკუთარი თამაშის ჩვენება.

მაგრამ, გუშინდელი მატჩი უფრო კარგად ჩეხმა ჩოგბურთელმა დაიწყო და ძალიან დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტი, თუმცა უკვე მაშინ ჩანდა პეტრას პრობლემები მოწოდებასთან დაკავშირებით. ეისებს ორმაგი შეცდომები ენაცვლებოდა, „ვინერსებს“ - უნებლიე შეცდომები, მაგრამ თამაში მაინც მას მიჰყავდა და კანონზომიერად აიღო პირველი სეტი. მეორე პარტიაში, კვიტოვამ მოწოდება გამოასწორა, მაგრამ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საერთო გამარჯვებისთვის. ამიტომაც, საჭირო გახდა მესამე სეტის ჩატარება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა მთელ ტურნირზე.

თავდაპირველად, ინიციატივა მერვე ნომრად განთესილ კვიტოვას ჰქონდა, რომელიც ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ რობსონი არ ნებდებოდა და ყოველ ჯერზე, როცა ჩეხი გაქცევას ახერხებდა, ლორა პასუხის გაცემას არ აგვიანებდა. ბრიტანელმა ამ მონდომებისთვის საჩუქრად მე-11 გეიმში ბრეიკი მიიღო და 6:5-ზე მატჩზე ჩასაწოდებლად გაემზადა. თუმცა პირველი ცდა რობსონს არ გამოუვიდა, მაგრამ არ გატყდა და ისევ თანაბრად ბრძოლა გააგრძელა. იქამდე, სანამ 9:9-ზე კიდევ ერთი ბრეიკი არ გააკეთა. ამჯერად, საკუთარი გეიმის წაგება ჩეხისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ზღაპრის გაგრძელება

კიმიკო დატე არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას და მელბურნში აჩვენებს საუკეთესო თამაშს იქიდან მოყოლებული, რაც კორტზე ათწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. პრინციპში, ის, რომ 42 წლის იაპონელი ავსტრალიის ღიაზე სტატისტის როლში არ იქნებოდა, ერთი კვირის წინ გახდა ცნობილი, როცა დატემ შესანიშნავად ითამაშა სიდნეის ტურნირზე და იქ მხოლოდ ულაპარაკოდ საუკეთესოსთან - **აგნიეშკა რადვანსკასთან** დამარცხდა.

კიდევ უფრო ცხადი იყო ის, რომ პირველ წრეში **ნადია პეტროვაზე** მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, დატე არ დაუშვებდა **შაარ პეერთან** წაგებას. მართლაც, ისრაელის წარმომადგენელი არ ყოფილა კიმიკოსთვის სერიოზული ბარიერი და აი, 18-წლიანი (!) შესვენების შემდეგ, აზიელი ისევ ითამაშებს „დიდი სლემის“ მესამე რაუნდში.

მელბურნში ძალიან ცხელა

დღის კერპი

გარბინ მუგურუსა-ბლანკოს, რომელიც ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს დიდ ჩოგბურთში, ორიენტირად ყოველთვის **სერენა უილიამსი** ჰყავდა. და აი, გუშინ, გრძელფეხება ესპანელს პირველად მიეცა თავისი კერპის წინააღმდეგ თამაშის საშუალება. და იმის ჩვენება, რა ისწავლა 19 წლის ასაკისთვის.

გარბინმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, მაიამიში დაგვამახსოვრა თავი, როცა **ვერა ზვონარევა** და **ფლავია პენეტა** გამოეთიშნენ ბრძოლას. გუშინდელ უიმედო მატჩში კი ესპანელის ვარსკვლავური მომენტი გახდა მეორე სეტის სტარტი. პირველი გეიმი 18 წუთი გაიწელა, მაგრამ პირენეელმა ფავორიტის მოდუნებით ვერ ისარგებლა და საბოლოოდ, პარტია „მშრალი“ ანგარიშით წააგო. და მაინც, ესპანელის მონდომებამ და საკუთარი თამაშის ჩვენების მცდელობამ ბევრში მოწონება დაიმსახურა. რაც მთავარია, ის თავად გახდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა კერპი, რომლებსაც მუხლები უკანკალებთ სერენას დონის მოთამაშეების წინააღმდეგ. ესპანელს გუშინ ასეთი რამ არ დამართნია.

დღის ტემპერატურა

გუშინ მელბურნში ძალიან ცხელოდა. პირველი სამი დღისგან განსხვავებით, ძალიან მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა და გულშემატკივრები ყველანაირ ხერხს იყენებდნენ გასაგრილებლად.

დღის რეკორდი

დღისა და მთლიანად ტურნირის რეკორდი დაამყარა სერენა უილიამსმა. მუგურუსა-ბლანკოსთან მატჩში გამარჯვების ეისი ამ ამერიკელმა სპათში 207 კილომეტრი სიჩქარით მოაწოდა. ქალთა ბადეში ასეთი სიჩქარით წელს არავის ჩაუწოდებია.

II წრე

კაცები

ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:2, 6:4, 6:2; **ჟერომი შარდი (საფ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ, 30) 6:3, 3:6, 6:1, 6:2; **ანდრეას სეპი (იტა, 21)**-დენის ისტომინი (უზბ) 7:6(4), 5:7, 6:7(3), 7:6(3), 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 12)**-რაჯივ რამი (აშშ) 7:5, 6:2, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 14)**-ჯესი ლევინი (კან) 2:6, 6:3, 7:6(4), 6:2; **გაელ მონფილსი (საფ)**-იუენ-ჰსუე ლუ (ტაივ) 7:6(5), 4:6, 0:6, 6:1, 8:6; **რიკარდას ბერანკისი (ლიტ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 25) 6:2, 6:3, 6:1; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:2, 6:2, 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-გო სოედა (იაპ) 6:3, 7:6(1), 6:3; **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-ჯეიმს დაკუორტი (ავსტრა) 3:6, 6:3, 6:4, 6:7(3), 10:8; **ივან დოდიგი (ხორ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:7(4), 6:3, 6:7(4), 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 9)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 6:2, 6:2; **მილოშ რაონიჩი (კან, 13)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 7:6(2), 6:2, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 17)**-ამირ ვაინტრაუბი (ისრ) 6:2, 7:6(4), 6:4; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:7(4), 7:5, 7:6(3), 7:6(8); **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:3, 6:4, 6:4.

ქალები

ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)-ელენი დანილიდუ (საბ) 6:1, 6:0; **ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)**-ლუკსიკა კუმხუმი (ტაილ) 6:1, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ, 21) 6:4, 6:2; **რობერტა ვინჩი (იტა, 16)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:3, 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-დონა ვეკიჩი (ხორ) 6:1, 6:4; **ლესია ცურენკო (უკრ)**-დარია გავრილოვა (რუს) 7:5, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-სუ-ვეი ჰსიე (ტაივ, 26) 6:2, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-იულია პუტინცევა (ყაზ) 1:6, 7:6(5), 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 3)**-გარბინ მუგურუსა (ესპ) 6:2, 6:0; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ანიკა ბეკი (გერ) 6:2, 6:0; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 20)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 7:6(8), 7:5; **მარია კირილენკო (რუს, 14)**-შუაი პენგი (ჩინ) 7:5, 6:2; **კიმიკო დატე (იაპ)**-შაარ პეერი (ისრ) 6:2, 7:5; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 17) 7:5, 7:5; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 29)**-კარისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:4, 6:3; **ლორა რობსონი (ბრიტ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8) 2:6, 6:3, 11:9.

ვარდისფერ თასმებზე, ძროხაზე, ბერნარდ ტომიჩზე

როჯერ ფედერერის ინტერვიუ მესამე წრის ცენტრალურ მატჩამდე

დღეიდან ავსტრალიის ღია პირველობაზე მესამე წრე იწყება. ხვალ გაიმართება ამ ეტაპის ცენტრალური დაპირისპირება - შვეიცარიელი როჯერ ფედერერი მამაკაცთა ბადეში შემორჩენილ ერთადერთ ავსტრალიელს ბერნარდ ტომიჩს შეხვდება. კოშმარული შარშანდელი სეზონის შემდეგ, ავსტრალიელმა 2013 წელი შესანიშნავად დაიწყო - ჰოპმანის თასზე თვით ნოვაკ ჯოკოვიჩს მოუგო, თანაც ორ სეტში, ავსტრალიის ღიამდე კი კარიერაში პირველი ტურნირი მოიგო (სიდნეიში).

გუშინ, დავიდენკოს დამარცხების შემდეგ, როჯერ ფედერერმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. პირველი კითხვა შვეიცარიელის სპორტულ ფეხსაცმელებს, უფრო სწორად ვარდისფერ თასმებს მიეძღვნა, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა. „სპორტულ ფეხსაცმელებზე არაფრის თქმა არ შემიძლია. მთავარია, მაყურებელს ის მოსწონს“, უპასუხა როჯერმა.

შემდეგი შეკითხვა ძროხას ეხებოდა და მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ მთავარ თემაზე - ბერნარდ ტომიჩთან მომავალ შეხვედრაზე...

როჯერის ვარდისფერი თასმები

- ერთხელ, უიმბლდონის მოგების შემდეგ, უჩვეულო საჩუქარი მიიღეთ - ძროხა, სახელად „ჯულიეტა“. როგორ მიდის მისი საქმეები?

- ის აღარ არის ჩვენთან ერთად. ეს დიდი ხნის წინ მოხდა. ის მოკვდა. მოდი, დავივიწყოთ ეს ამბავი.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ ბერნარდ ტომიჩთან მომავალ დაპირისპირებაზე? რამდენად შეიცვალა ის თქვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ?

- სეზონი ახალი დაწყებულია და ჯერ რთულია იმის თქმა - ვინ რა ფორმაში იმყოფება. ვფიქრობ, ტომიჩმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ ისწავლა - ის ხომ ახალგაზრდაა და სწრაფად პროგრესირებს. მეც მაქვს იგივე გამოვლილი: წინსვლისა და დაცემის მომენტები, თამაში ცენტრალურ კორტზე და პატარა მოედნებზე, პირველი შეხვედრები ძლიერ მეტოქეებთან... ამაში მდგომარეობს ინტრიგა. მგონია, რომ წინ რთული შეხვედრა მელის, მით უმეტეს, რომ ეს ადრეული სტადიაა. მაგრამ მე მზად უნდა ვიყო ამისთვის, ასე რომ, მოუთმენლად ველი ამ მატჩს.

- როგორ ფიქრობთ, რომელ კომპონენტში მოუმატა მან და რისი წყალობით მიიღო მოგებათა შესანიშნავი სერია?

- ჩემი აზრით, ის უფრო სტაბილური გახდა, სხვა დეტალის გამოყოფა მიჭირს. მიმაჩნია, რომ ყველა კომპონენტში მოუმატა და ამის გამო მოიგო ცოტა ხნის წინ სიდნეის ტურნირი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მისი მატჩები არ მინახავს.

- ათი წლით უმცროს მეტოქესთან თამაშისას, ფიქრობთ იმაზე, რომ თქვენ ახლა იცით ისეთი რამ, რაც მაშინ არ იცოდით?

- რა თქმა უნდა, ტურში ცხოვრება ჩემთვის სხვანაირი გახდა - კორტზეც და მის მიღმა. უფრო გამოცდილი გავხდი, ვიცი, რას უნდა ველოდო საკუთარი თავისგან. ხანდახან, მატჩის წინ იმასაც კი ვგრძნობ, რომ საშინლად ვითამაშებ და ასეთი მომენტები ძალიან არ მიყვარს. დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ფიზიკურად უფრო ძლიერი გავხდი და ეს აუცილებლად დამეხმარება. ადრე, მეტოქეებმა იცოდნენ, რომ ორი საათი თამაშის შემდეგ ვსუსტდებოდი, მაგრამ მე ამაზე ვიმუშავე და ახლა, კორტზე გატარებული ორი საათის შემდეგ, კიდევ უფრო ძლიერი ვარ. აქამდე დიდი ხანი მივდიოდი.

- ტომიჩი - არაერთგვაროვანი ფიგურაა ავსტრალიელებისთვის, იმ დროს, როცა თქვენ აქ ყოველთვის მხარს გიჭერენ. ეს დაგეხმარებათ მის დამარცხებაში?

- ვფიქრობ, მაყურებლისთვის ყოველთვის ამაღელვებელია, როცა მათი ქვეყნის წარმომადგენელი თამაშობს. მე მას გასულ წელს ვეთამაშე და მოვიხიბლე მაყურებლის საქციელით. იმავე მოხდა დევისის თასზე მატჩის დროს. ახლაც იგივეს ველი. იმედია, მაყურებელი კარგი ხარისხის ჩოგბურთს იხილავს.

- იმედი გაქვთ, რომ თქვენი აურა დააფრთხობს ახალგაზრდა ჩოგბურთელს?

- ასეთი რამ პირველი შეხვედრის დროს ხდება - ჩვენი სადებიუტო მატჩი დევისის თასზე გაიმართა. მაგრამ ის მაშინაც ღირსეულად გამოიყურებოდა. ბერნარდი იმ ტიპის მოთამაშეებს განეკუთვნება, რომლებსაც უადვილდებათ ძლიერი ჩოგბურთელების წინააღმდეგ თამაში. მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი. 1998 წელს არ მჯეროდა, რომ ბაზელის ტურნირზე ჩემ წინ ანდრე აგასი იდგა. მაგრამ გავიფიქრე, რომ შემეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ეს გავაკეთე. ექვსი თვის შემდეგ, მარსელში მონტოია დავამარცხე, არადა, ის მაშინ მსოფლიოს მეოთხე ნომერი იყო. ასე რომ, ტომიჩისთვის მოსახერხებელი უნდა იყოს ცენტრალურ კორტზე ფავორიტის წინააღმდეგ თამაში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ISSN 2233-3827

9 772233 362000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***გია ტუხაშვილი***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608